


ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities



**პროფესორ კორნელი დანელიას დაბადებიდან  
90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი  
XVIII საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია**

**18<sup>TH</sup> FACULTY SCHOLARLY CONFERENCE  
IN HONOUR OF THE 90<sup>TH</sup> ANNIVERSARY  
OF THE BIRTH OF PROF. KORNELI DANELIA**

**თეზისები  
Abstracts**

ივლისი 10-11 July  
თბილისი 2024 Tbilisi

### **საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**

პროფესორი **ნანა გაფრინდაშვილი**

პროფესორი **რამაზ ქურდაძე**

ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე ნავროზაშვილი**

ასოცირებული პროფესორი **მაია ლომია**

ფილოლოგიის დოქტორი **ნინო პოპიაშვილი**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მაია გურაბანიძე**

ისტორიის დოქტორი **მანანა ლილუაშვილი**

ისტორიის დოქტორი **ზურაბ გაიპარაშვილი**

### **Organizing Committee:**

Professor **Darejan Tvaltvadze**

Professor **Nana Gaprindashvili**

Professor **Ramaz Kurdadze**

Assoc. Professor **Ekaterine Navrozashvili**

Assoc. Professor **Maia Lomia**

Doctor of Philology **Nino Popiashvili**

Doctor of Art History **Maya Gurabanidze**

Doctor of History **Manana Liluashvili**

Doctor of History **Zurab Gaiparashvili**

### **რეგლამენტი:**

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

### **Time Limit:**

Presentation at the section meeting – 15 minutes

Participation in discussions – 5 minutes

Working language – Georgian

პარენტეზა მხატვრულ ტექსტში  
და მისი გადმოცემა თარგმანში

PARENTHESIS IN LITERARY TEXT  
AND ITS TRANSMISSION DURING TRANSLATION

მარინე ალექსიძე

Marine Aleksidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ჩართული კონსტრუქციები, თარგმანი,  
სინტაქსური ტრანსფორმაციები

**Keywords:** parenthetical constructions, translation, syntactic  
transformations

ისეთი სინტაქსური მოვლენისადმი, როგორც არის პარენტეზა, ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებული ცოცხალი ინტერესის მიუხედავად, ენათმეცნიერებაში დღემდე არ არის მიღებული საერთო თეორიული გააზრება თუ გაგება ამ ფენომენისა. ამგვარი მდგომარეობა განაპირობებს საკითხის კვლევის აქტუალობას, განსაკუთრებით შეპირისპირებით ქრილში.

პარენთიკული ჩანართების – ე. გორბაჩევას ტერმინოლოგიით, ინტროდუქციის (вводность) და დევიაციის (вставочность) – დიფერენციაცია დღემდე საკამათო პრობლემაა ენათმეცნიერებისათვის. ზოგი მკვლევრის აზრით, მათ შორის საერთოა მათი კომპლემენტალური (საინფორმაციო-სემანტიკური თვალსაზრისით) ბუნება. განსხვავება კი შეიძლება დავინახოთ იმაში, რომ ე.წ. „ინტროდუქციური სიტყვების“ (вводные слова) ძირითადი ფუნქცია სუბიექტური მოდალობის გამოხატვაა, მაშინ, როდესაც „დევიაციური“ კონსტრუქციები (вставные конструкции) შეიცავენ პრაქტიკულად შეუზღუდავ სემანტიკურ ინფორმაციას (მათ შორის, მოდალურსაც). ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც აერთიანებს „დევიაციურ“ კონსტრუქციებს სინტაქსური ერთეულების ერთ კლასში, არის მათი პუნქტუაციური გაფორმება: „დევიაციური“ კონსტრუქციები გამოიყოფა ორმაგი ტირეთი ან ფრჩხილებით.

საინტერესოა ზოგიერთი მკვლევრის წინადადება – განვიხილოთ და შესაბამისად გავმიჯნოთ „ინტროდუქციური“ და „დევიაციური“ კონსტრუქციები, როგორც ენისა და მეტყველების მოვლენები თუ ფაქტები. კერძოდ, „ინტროდუქციური“ კონსტრუქციები მიეკუთვნება ენის ფაქტებს, ვინაიდან შეიძლება მათი წარმოდგენა შედარებით დახურული სიის სახით, ისინი კვლავწარმოებას ექვემდებარებიან; „დევიაციური“ კონსტრუქციები კი მოიცავენ ფუნქციურად, სემანტიკურად, სტრუქტურულად და ინტონაციურად განსხვავებულ ერთეულთა ნაკრებს და მიეკუთვნებიან მეტყველებას.

როგორც ცნობილია, რუსულ ენათმეცნიერებაში აღნიშნული კონსტრუქციების გამიჯვნა მოხდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოციან წლებში. თუმცა, როგორც ფუნქციურად და სტრუქტურულად მსგავსი მოვლენები, ისინი რჩებიან იმ ფაქტორების რიგში, რომლებიც ცვლიან (ართულებენ) მარტივი წინადადების სტრუქტურას.

ქართული გრამატიკული ლიტერატურის ანალიზმა კი აჩვენა, რომ ქართულ სინტაქსურ ტრადიციაში ეს ორი სხვადასხვა, მაგრამ

ფუნქციურად და სტრუქტურულად მსგავსი მოვლენა – ინტროდუქცია და დევიაცია – გაერთიანებულია ერთი ტერმინით – „ჩართვა“ და, შესაბამისად, ისინი განიხილებიან დიფერენციაციის გარეშე. გარდა ამისა, ცნება „გართულებული წინადადება“ არ არის დამკვიდრებული ქართულ სინტაქსში.

პარენტეზის ელემენტები არც ინგლისურ სინტაქსურ ტრადიციაში არის დიფერენცირებული, თუმცა რუსული ჩართული კონსტრუქციების ანალოგები, ქართულის მსგავსად, აქაც აღინიშნება.

ასეთ ვითარებაში ჩნდება კითხვები რუსული „დევიაციური“ კონსტრუქციების ქართულად არა მარტო სწორად გადმოცემის, სწორად გაფორმების შესახებ ზეპირ თუ წერით მეტყველებაში, არამედ იმ შინაარსის გადაცემის შესახებ, რომელსაც რუსული ენის მატარებლები დებენ ამგვარ სინტაქსურ აგებულებებში.

ქართულად თარგმნისას „დევიაციური“ კონსტრუქციების გადმოცემის საშუალებათა ანალიზი კვლევის პერსპექტიულ მიმართულებად მიგვაჩნია პრობლემის ნაკლებად შესწავლის გამო. წარმოდგენილ ნაშრომში ეს საკითხი შესწავლილია თანამედროვე მწერლის, დინა რუბინას რომან „პეტრუშკას სინდრომის“ და მისი ქართულად თარგმანის მიხედვით.

Despite the keen interest in the study of parenthetical additions, there is still no generally accepted theoretical understanding of this phenomenon in linguistic science. This fact determines the continued relevance of the issue in both Russian and Georgian linguistics.

The differentiation of parenthetical constructions – according to E. Gorbacheva’s terminology, of introduction and deviation constructions – is still a controversial problem for linguists. According to some scientist, they have in common their complementary (from the information-semantic point of view) nature. The difference, in particular, is that the main function of introductory units is to convey the meaning of subjective modality, while deviatory constructions convey an almost unlimited amount of semantic information (including modal).

The only criterion that unites deviation constructions into a single class of syntactic units is their punctuation design: deviation constructions are highlighted by double dash and brackets.

Of great interest is the proposal of some researchers to distinguish between introductory and deviatory constructions as phenomena of language and speech: introductory constructions are a phenomenon of language, since they can be specified in the form of a relatively closed list, they are reproducible; and deviatory constructions, which include a very large volume of functionally, semantically, structurally and intonationally heterogeneous units represent a phenomenon of speech.

In Russian linguistics, as is known, the distinction between introductory and deviatory constructions was made back in the first half of the 20th century, however, they, as functionally and structurally similar phenomena, continue to remain within the framework of factors that complicate the structure of a simple sentence.

An analysis of available research on the material of the Georgian language has shown that in the Georgian syntactic tradition, two different, but functionally and structurally similar syntactic phenomena – introductoryness and deviatoryness – are combined under one term „ჩართული“ and, as a result, are considered undifferentiated. In addition, in Georgian syntactic science there is no concept of a “complicated sentence”.

Elements of “introduction” are also not shared in the English syntactic tradition, although structural analogues to Russian constructions, as in the Georgian language, are present.

In connection with this state of affairs in the Georgian syntax of the relativity of the phenomenon of parenthesis, questions arise not only of the competent translation of inserted constructions, design in oral speech and writing, but also of the transmission of the special meaning that native speakers of the Russian language put into these syntactic constructions.

We consider the analysis of means of conveying “deviant” constructions when translating into Georgian to be a promising research direction due to the lack of study of the problem. In the presented work, the mentioned issue is studied on the basis of the novel “Petrushka’s Syndrome” by the writer Dina Rubina and its translation into Georgian.

ერნესტ ლავისის ახალი ისტორიის  
სახელმძღვანელო ინგლისის რევოლუციაზე

THE MANUAL OF NEW HISTORY BY ERNEST LAVISSE  
CONCERNING THE ENGLISH REVOLUTION

თამარ ანთაძე

Tamar Antadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ერნესტ ლავისი, ახალი ისტორიის  
სახელმძღვანელო, ინგლისის რევოლუცია

**Keywords:** Ernest Lavisse, The Manual of New History, English  
Revolution

წინამდებარე მოხსენება ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს, გამოარკვიოს ერთი კონკრეტული საკითხი – როგორ არის გაშუქებული გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის, აკად. ერნესტ ლავისის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში ინგლისის რევოლუცია. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და დღემდე სრულიად შეუსწავლელია, რაც იმით აიხსნება, რომ ის საბჭოთა წლებში ტაბუდადებულ წიგნთა სიაში აღმოჩნდა და მივიწყების სქელი ნისლი გადაეფარა. მხოლოდ პოსტსაბჭოთა წლებში მიიპყრო ამ წიგნმა ყურადღება. ეს არ ყოფილა შემთხვევითი და ამ სფეროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის რეანიმაციის ლოგიკური შედეგია.

1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნამ დღის წესრიგში დააყენა მშობლიურ ენაზე ხარისხიანი განათლების მიღება. დიდი ყურადღება მიექცა მშობლიურ ენაზე მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის სწავლებას. ამის ხარისხიანად გაკეთება წარმოუდგენელი იქნებოდა ახალი ისტორიის კვალიფიცირებული სასკოლო სახელმძღვანელოს გარეშე. მთელი ყურადღება ამ საკითხისაკენ აღმოჩნდა მიპყრობილი. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო გამოწვეული ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ბუმი 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს იყო ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესი, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, დაუსრულებელი დარჩათ.

ამ სფეროში არსებული ვაკუუმის შევსების ერთ-ერთ მცდელობად ფრანგი ისტორიკოსის ერნესტ ლავისის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე თარგმნა გვევლინება. მას კონკურენცია უნდა გაენია ახალი ისტორიის სხვა სახელმძღვანელოებისათვის, რომლებიც მაშინ მრავლად გამოდიოდა. ეს იყო წმინდა პრაგმატული ნაბიჯი, რომელსაც ქართული რეალობა ედო საფუძვლად.

სახელმძღვანელოში ინგლისის რევოლუციის განხილვას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება და ადგილი ეთმობა. ეს ასეც უნდა



იყოს. ვნახოთ, სახელმძღვანელოში როგორ არის განხილული ეს თემა.

დავიწყოთ გეგმით: ეს საინტერესოა და ამას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას გვაძლევს, წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, თუ როგორ იყო გაშუქებული სახელმძღვანელოში ინგლისის რევოლუცია. უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში ამ თემის გაშუქება უცნაურად მიგვაჩნია და გარკვეული უკმარობის გრძნობა გაგვიჩინა. აი ეს გეგმა. საკითხი ხუთ ნაწილადაა დაყოფილი: 1. პარლამენტი და მეფე. 2. პარლამენტის ბრძოლა მეფის წინააღმდეგ. 3. კრომველი. 4. 1688 წლის რევოლუცია. 5. პარლამენტის მმართველობა. უნდა ითქვას, რომ ინგლისის რევოლუციას სულ რაღაც სამი გვერდი აქვს დათმობილი. ჩვენი აზრით, ეს ძალიან ცოტაა. რამდენად შეუქმნიდა ის მოსწავლეებს ინგლისის რევოლუციაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას, ძნელი სათქმელია.

ინგლისის რევოლუციის თხრობის დაწყება 1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტიით, ასწლიანი ომით (1337-1453), ალისფერი და თეთრი ვარდების ომით, ძალიან შორეულად მიგვაჩნია. მასში ფრანგული კონტექსტის ჩართვა, ვფიქრობთ, ზედმეტია. ავტორი მოკლედ ეხება თიუდორთა მმართველობის ხანას, რომელმაც წერტილი დაუსვა ხანგრძლივ შინაომს და კურსი სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისკენ მიმართა. ამ პოლიტიკის მწვერვალად მას ელისაბედის მმართველობა (1558-1603) ესახებოდა. მოკლედ ჩერდება დაპირისპირებაზე ესპანეთს მეფე ფილიპე მეორესთან და შოტლანდიის დედოფალ მარიამ სტიუარტთან. არ იგრძნობა მარიამ სტიუარტის რომანტიზება, რაც შეინიშნებოდა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში (ფრიდრიხ შილერი, უოლტერ სკოტი, შტეფან ცვაიგი). ეს მონაკვეთი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

შემდგომში საუბარია პარლამენტის ბრძოლაზე მეფის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, ის განიხილავს ორ თემას: ინგლისი რევოლუციის წინ (1603-1642) და სამოქალაქო ომი ინგლისში (1642-1649), რაც ძალიან ცოტაა. ინგლისის რევოლუცია ჩაიკარგა მის წინაისტორიაში. ეს დამაჯერებლად არ გამოიყურება.

შემდგომი მონაკვეთი ეხება ოლივერ კრომველის მოღვაწეობას, თუმცა უნდა ითქვას, რომ თარიღი მითითებული არაა. ამის გაკეთება

სასურველი იქნებოდა. ამ თემას სულ ერთი აბზაცი, 11 სტრიქონი აქვს დათმობილი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა. იკითხება მინიშნება კრომველის მიერ ირლანდიისა და შოტლანდიის დაპყრობაზე, ინგლისის რესპუბლიკაზე, პროტექტორატზე. ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ ასეთი მსჯელობა ძალიან ზოგადია. სასურველი იქნებოდა, უფრო მეტი კონკრეტიკა. ფაქტობრივად, კადრში ვერ მოხვდა მისი საგარეო პოლიტიკური წარმატებები. ჩვენი აზრით, ის შეიძლება აქცენტსაკეთებდაკრომველზე, როგორც „რევოლუციის ნაპოლეონზე“, ხოლო კრომველზე, როგორც „რევოლუციის რობესპიერზე“, კრინტს არ ძრავს.

შემდეგი მონაკვეთი შეეხება 1688 წლის რევოლუციას. იგრძნობა უილიამ ორანელის პიროვნებისადმი სიმპათია. იგი მის სახელს მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიებს და მის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებს. შეიძლება ითქვას, რომ რესტავრაციის ეპოქა ერთგვარ ისტორიულ ფონს წარმოადგენს 1688 წლის რევოლუციისას. რამდენად მართლზომიერი იყო საკითხის ამგვარი გადანყვეტა, ცოტა ძნელი სათქმელია.

საინტერესოდ მიგვაჩნია სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის დასკვნითი ნაწილი, პარლამენტის მმართველობა. ფაქტობრივად, ავტორი ცდილობს, შეაჯამოს ინგლისის რევოლუციის შედეგები.

სახელმძღვანელოში ამ თემის განხილვის დროს საინტერესოდ ინგლისის რევოლუციის პერიოდიზაცია მიგვაჩნია. ჩვენ გვგონია, რომ ავტორი 1603 წლიდან დაიწყებს რევოლუციის წინაისტორიას, რევოლუციის მსვლელობას ის იწყებს 1642 წლიდან, როდესაც დაიწყო პირველი სამოქალაქო ომი და, როგორც ჩანს, ასრულებს 1688 წლის რევოლუციით. ამ მოსაზრებას ჰყავს თავისი მომხრეები, თუმცა პირადად ჩვენ უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ინგლისის რევოლუცია დავასრულოთ 1660 წელს, სტიუარტთა რესტავრაციით.

ერნესტ ლავისის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე თარგმანით კარგი საქმე გაკეთდა. ის ითვალისწინებდა იმ ვაკუუმის შევსებას, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა და ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში თავისი პატარა წვლილი შეიტანა. მას, ბუნებრივია, აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

After the establishing of Tbilisi State University on February 8, 1918, and declaration of Georgia's independence on May 26 of the same year, a new stage of studying of the world history started in Georgia. Before these events, the world history was taught in Georgia based on Russian textbooks, chiefly written from the reactionary viewpoint of the Black Hundreders. Since the establishment of the Georgian university, the issue of creation of the first national school manuals of the world history was put forward. The issue was important indeed, as adequate teaching of the world history at schools required qualified textbooks. This led to the boom of school manuals during the Democratic Republic of Georgia in 1918-1921.

In an attempt to fill the existing gap, the school textbook of new history by a famous French historian Ernest Lavissee was translated. This was a correct decision. The schools needed the coursebook of new history. Otherwise, there would be a gap in the given field. This manual, as well as other textbooks created in this period, filled the existing gap. This was the success of Georgian historiography of the given period, although scholars of the Soviet period ignored this fact.

It is not the aim of the given paper to review the manual. The mission is more concrete and focuses on the coverage of one topic in Lavissee's textbook.

In the manual of new history E. Lavissee speaks about the English Revolution. Hence, the paper analyzes his viewpoints regarding this historic event.

In my opinion, in the evaluation of the English Revolution, E. Lavissee revealed his progressive-liberal attitude. This can be proved by the fact that Lavissee ranked the 1688 "bloodless revolution" higher than the English Revolution. Besides, his position was liberal when assessing the leader of the English Revolution Oliver Cromwell. Lavissee ignores Cromwell's revolutionary activities and, instead, praises Cromwell as Lord Protector.

Lavissee focuses on the issue: the King and the Parliament. This issue, in fact, represents the historical background. Lavissee describes pre-revolutionary England. In the second part, Lavissee discusses the

Parliament's struggle against the King. The title of the third part is "Cromwell". Lastly, Lavisse speaks about the Revolution of 1688 and the governance of the Parliament. This part also summarizes the outcomes of the English Revolution.

ჯგუფი მ-ს „ზოგადი რიტორიკის“ ადგილი  
პოეტური ენის ლინგვისტურ თეორიაში

PLACE OF “GENERAL RHETORIC” BY GROUP M AND ITS  
PLACE AMONG THE LINGUISTIC THEORIES ON POETICS

თინათინ ბოლქვაძე

Tinatin Bolkvadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პოეტიკა, ლინგვისტური თეორიები, ჯგუფი მ,  
სალიტერატურო ნორმა, მეტაბოლები

**Keywords:** poetics, linguistic theories, Group M, literary norms,  
metabols

პროფ. კორნელი დანელიას რჩეულ ფილოლოგიურ ნაშრომებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მის კვლევებს პოეტური ენის სპეციფიკის შესახებ. იგი ცდილობდა აეხსნა ენის პოეტური ფორმის ინფორმაციული და მხატვრული ღირებულება და მისი როლი ლექსის რიტმულ-რიტმულ სტრუქტურაში.

პროფ. კორნელი დანელია ერთმანეთისაგან განარჩევდა პოეტის ენობრივ პოზიციას და ენობრივი ნორმიდან გადახვევას, როგორც ენის პოეტური შესაძლებლობის გამოვლენას. ამ სხვაობის ასახსნელად მეცნიერი დაეყრდნო ლიეჟის უნივერსიტეტის პოეტური კვლევების ცენტრის სემიოტიკის სპეციალისტებს, რომლებიც გაერთიანდნენ კოლექტიური ფსევდონიმით – „ჯგუფი μ-ს“. მათ შექმნეს ცნობილი ნაშრომი „ზოგადი რიტორიკა“, რომელიც მიზნად ისახავს რიტორიკული ფიგურების ახსნას ენის ყველა დონეზე – ცალკეული ბგერიდან წინადადების ჩათვლით.

მოხსენებაში განხილული იქნება ენობრივი ნორმისა და მეტა-ოლის მიმართების საკითხი.

Among the selected philological works of Korneli Danelia, a prominent place is occupied by his researches on the specifics of the poetic language. He tried to explain the content and artistic significance of the poetic form of the language and its role in the rhythmic and rhyming structure of the poem.

Prof. Korneli Danelia distinguished from each other the language position of the poet and the deviation from the language norm as a manifestation of the language's poetic potential. For the explanation of this difference, he relied on semioticians of the Center for Poetic Studies of the University of Liège, united under the collective pseudonym – “Group μ”. They created the famous work “General Rhetoric”, the purpose of which is to explain rhetorical figures at all levels of the language – from a separate sound to a sentence.

The paper will deal with the issue of the relationship between language norm and metabols.

მხატვრული ლიტერატურა და სოცრეალიზმის  
მანკიერებანი

FICTION AND THE VICIES OF SOCIAL REALISM

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მხატვრული ლიტერატურა, სოცრეალიზმი  
**Keywords:** fiction, Social Realism

საბჭოთა ხელისუფლებას ისეთი ლიტერატურა სჭირდებოდა, რომელიც მის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ საქმეს გააკეთებდა, ამიტომ მან დაიწყო ზრუნვა ლიტერატურის „მოთვინიერებაზე“:

ა. მორალურად და ფიზიკურად ანადგურებდნენ დაუმორჩილებელ მწერლებს.

ბ. მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით აკნინებდნენ ლიტერატურას, თემატურად და იდეოლოგიურად ზღუდავდნენ მას, უმკაცრეს ცენზურას უქვემდებარებდნენ, გემოვნებას უქვეითებდნენ მკითხველს და ა.შ.

„რკინის ფარდა“ ლიტერატურასაც ჩამოეფარა და საბჭოთა ხელისუფლებამ ლიტერატურასაც მოუსპო საშუალება პირდაპირი დიალოგისა დასავლეთთან.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა სისტემა ყველა საშუალებას მიმართავდა, ადამიანები ბოლომდე მოექცია თავის მარნუხებში, რათა ასე უფრო მარტივად ემართა. ბუნებრივია, რომ ის არც სოციალური ინჟინერიის შესაძლებლობების გამოყენებაზე ამბობდა უარს. ამაზე მეტყველებს „კომუნიზმის მშენებელი საზოგადოებისათვის“ კარგად ცნობილი ფორმულა „მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია.“

საბჭოთა ხელისუფლებამ თავის სამსახურში ჩააყენა სალიტერატურო კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, რასაც დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების დიდი უმრავლესობის ლიტერატუროცენტრიზმმა.

საბჭოთა კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ზრუნავდნენ დაეცვათ საბჭოთა ლიტერატურა, რათა რომელიმე მწერალს „იდეოლოგიური კონტრაბანდა“, ანუ სოცრეალისტური დოქტრინისათვის მიუღებელი იდეები არ „შემოეპარებინა“.

საბჭოთა ხელისუფლებამ საბჭოთა მწერალთა რიგები შეავსო ლიტერატურაში ნაკლებად გარკვეული მუშებითა და გლეხებით, რომლებიც დიდი ტალანტითა და განათლებით ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ პარტიის მთავარ მოთხოვნას ნამდვილად აკმაყოფილებდნენ, მისი კურსის ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ამით ხელისუფლებამ მწვანე შუქი აუნთო უნიჭო და გაუნათლებელ მწერალთა დამკვიდრებას სალიტერატურო ასპარეზზე.

საბჭოთა ადამიანზე ზენოლის, მისი ახალი ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად ხელისუფლებამ მის მიერვე დომინანტურ მდგომარეობაში ჩაყენებული რუსული ენა აქცია.



საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა იყო საბჭოთა ოკუპაციის სპეციფიკური ფორმა, ენობრივი ოკუპაცია, ენობრივი აგრესია, თავს მოხვეული ენა, რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური და იდეოლოგიური მისია დაეკისრა.

კომუნისტურმა რეჟიმმა მწერლობაზე ზეწოლის მიზნით კორუფციული სქემებიც გამოიყენა. მწერალთა მოსყიდვა სხვადასხვა გზით საბჭოთა კავშირში ჩვეულებრივი ამბავი იყო.

საბჭოთა სინამდვილემ ახალი ტიპის პოტიომკინის სოფლებიც შვა მოჩვენებითი კეთილდღეობისა და სიუხვის წარმოსაჩენად. პარტია და მთავრობა ისე შორს წავიდნენ, რომ უკვე ითხოვდნენ, მდიდრული სუფრები სარეკლამო გამოცემებიდან საბჭოთა მწერლებს მხატვრულ ლიტერატურაშიც გადაეტანათ და აესახათ.

წარმატებით აამუშავეს ლენინის ფუძემდებლური თეზისი: „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს“ და ლიტერატურა აქციეს „პარტიული საქმის“ ორგანიზაციულ ნაწილად, მშრომელი მასების იდეოლოგიური და პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის საშუალებად.

სოციალისტურმა რეალიზმმა მწერლობის მარწუხებში მოსაქცევად წარმატებით გამოიყენა ცენზურაც, თავისუფალი სიტყვისა და ხელოვნების ეს ქეშმარიტი ჯალათი და მესაფლავე.

ასე რომ, სოციალისტურმა რეალიზმმა, საბჭოთა ლიტერატურის მთავარმა ღერძმა და მეთოდმა, საბჭოთა ლიტერატურასა და სალიტერატურო ცხოვრებაში მრავალი მანკიერება დაამკვიდრა.

The Soviet government needed scientific literature that belonged to its ideological cause, so they had to start taking care of the “taming” of literature:

A. Disobedient writers were morally and physically destroyed.

B. Artistic-aesthetic views belittled literature, limited it thematically and ideologically, subjected it to the strictest censorship, reduced the taste of the reader, etc.

The “Iron Curtain” encurtained literature as well and the Soviet government deprived literature of a means of direct dialogue with the West.

The Soviet system, which was building communism, used all means to bring people into its fold so that it could be ruled more easily. It is natural that the system did not refuse to use the possibilities of social engineering

either. The well-known formula “the writer is the engineer of the human soul” of “communism-building society” speaks for itself.

The Soviet government put literary criticism and literary science into its service, which was greatly facilitated by the literary centrism of the great majority of the peoples of the Soviet Union.

Criticism and literary studies were concerned with protecting Soviet literature so that no writer would “sneak in” “ideological contraband”, i.e. ideas unacceptable to the socialist realist doctrine.

The Soviet authorities filled the ranks of Soviet writers with workers and peasants who were less certain in literature, who could not boast of great talent and education, but who really met the main requirements of the party, were distinguished by their loyalty to its course. With this, the government gave a green light to the establishment of mediocre and uneducated writers in the literary arena.

The government made the Russian language, which had been put in a dominant position, into one of the effective tools of putting pressure on the Soviet men and forming their new consciousness. The language policy of the Soviet Union was a specific form of Soviet occupation, linguistic occupation, linguistic aggression, a self-confessed language that was assigned an important political and ideological mission.

The communist regime also used corruption schemes to put pressure on writing. Bribing writers in various ways was commonplace in the Soviet Union.

The Soviet reality gave birth to a new type of Potemkin villages to represent the illusion of prosperity and abundance. The party and the government had gone so far that they were already demanding from Soviet writers to transfer the luxurious tables from advertising publications to their fiction.

They successfully developed Lenin’s basic thesis: “Literature must become party” and turned literature into an organizational part of “party work”, as a means of ideological and political education and upbringing of the working masses.

Socialist realism also successfully used censorship – the real executioner and gravedigger of free speech and art – to suppress writing.

So, socialist realism, the main axis and method of Soviet literature, established many vices in Soviet literature and literary life.

**შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“  
ინგლისური თარგმანების მიმოხილვა  
(მთარგმნელთა შემოქმედებითი  
გადაწყვეტილებები თარგმანთა  
წინასიტყვაობების მიხედვით)**

**A REVIEW OF ENGLISH TRANSLATIONS OF SHOTA  
RUSTAVELI'S "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN"  
(CREATIVE DECISIONS OF TRANSLATORS ACCORDING  
TO THE PREFACES OF THE TRANSLATIONS)\***

**მარიამ გობიანიძე**

**Mariam Gobianidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რუსთველოლოგია, თარგმანმცოდნეობა,

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანები

**Keywords:** Rustvelology, translation studies, “The Knight in the  
Panther’s Skin” and its English translations

---

\* „კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით (გრანტის ნომერი PHDF-22-851)“.

“This research [PHDF-22-851] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).”

შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების უნიკალური ლიტერატურული ძეგლია, რომელიც საქართველოს ფარგლებს დიდი ხანია გასცდა და მსოფლიოს 58 ენაზე ითარგმნა. პოემა ინგლისურად ხუთჯერ ითარგმნა სხვადასხვა სტილითა და ფორმით.

პირველი თარგმანი ინგლისელ ქართველოლოგსა და მთარგმნელს, მარტორი სკოტ უორდროპს ეკუთვნის. უორდროპმა, რომელიც წლების განმავლობაში სწავლობდა ქართულ ენასა და კულტურას, პოემის თარგმნას დაახლოებით ოცი წელი მოანდომა. თარგმანი გამოვიდა 1912 წელს ლონდონში, მარტორი სკოტ უორდროპის გარდაცვალების შემდეგ. პოემა პროზაულადაა თარგმნილი.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე ინგლისური თარგმანი ეკუთვნის ვენერა ურუშაძეს, რომელიც ჯერჯერობით პოემის ერთადერთი ქართველი მთარგმნელია. მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ პირველად გამოიცა 1968 წელს თბილისში. თარგმანი არის პოეტური.

„ვეფხისტყაოსნის“ მესამე თარგმანი ეკუთვნის ინგლისელ ფილოლოგს, მწერალს, მთარგმნელსა და ქართველოლოგს ქეთრინ ვივიენს. პოემა 1977 წელს დაიბეჭდა ლონდონში. პოემის ძირითადი ტექსტი პროზაულადაა თარგმნილი, პროლოგი და ეპილოგი კი – პოეტურად.

პოემის მეოთხე თარგმანი ეკუთვნის ინგლისელ ისტორიკოსს, მთარგმნელსა და ქართველოლოგს – რობერტ სტივენსონს, რომელმაც 1977 წელს გამოსცა თარგმანი ნიუ-იორკში. პოემა პროზაულადაა თარგმნილი.

„ვეფხისტყაოსნის“ უახლესი ინგლისურენოვანი თარგმანი ეკუთვნის ამერიკელ მწერალსა და მთარგმნელს, ლინ კოფინს. თარგმანი გამოვიდა 2015 წელს თბილისში. პოემა პოეტური სახითაა თარგმნილი. პოემის ინგლისურენოვანი პნკარედი შესრულებულია დოდონა კიზირიას მიერ.

ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანებს წამძღვარებული აქვთ მთარგმნელთა წინასიტყვაობანი, რომლებშიც საუბარია იმ ძირითადი გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც ისინი იდგნენ. ბუნებრივია, რომ მარტორი უორდროპისეული თარგმანის შემდეგ ვენერა ურუშაძეს მკითხველისათვის ახალი და გაუმჭობესებელი თარგმანი უნდა მიეწოდებინა. ასეთივე გამოწვევა იქნებოდა ერთსა და იმავე წელს

ქეთრინ ვივიენისა და რობერტ სტივენსონის თარგმანები და დიდი ხნის შემდეგ ლინ კოფინის თარგმანი.

თითოეულ მთარგმნელს არჩევანი უნდა გაეკეთებინა, თუ როგორი სახით თარგმნიდა პოემას. თექვსმეტმარცვლიანი შაირით პოემის თარგმნა დიდ გამოწვევებთან იქნებოდა დაკავშირებული.

მარჯორი უორდროპის არჩევანი პროზაულ თარგმანზე განპირობებული იყო სურვილით, მაქსიმალურად შეენარჩუნებინა ორიგინალის შინაარსი და სიუჟეტური ხაზები. მიუხედავად ამისა, პროზაული თარგმანი გარკვეულწილად ზღუდავდა პოემის პოეტურობასა და ემოციურ განწყობას.

ვენერა ურუშაძე წინასიტყვაობაში საუბრობს პოემის ინგლისურ ენაზე თარგმნის სირთულეების შესახებ. ინგლისურენოვანი მკითხველისათვის განმარტავს მაღალი და დაბალი შაირის მნიშვნელობას და მიუთითებს, რომ რუსთაველის შაირი და მეტრი განსაზღვრავს მის სიდიადეს და ეს არის პოემისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი. „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად დაწერილია მაღალი (high-shairi) და დაბალი შაირით (low-shairi), რომლის ანალოგი ინგლისურ ენაში არ არსებობს და დაახლოებით შეიძლება გავიგოთ როგორც მინორული და მაჟორული მუსიკა.

ქეთრინ ვივიანი, რომელიც საკუთარ თარგმანს „თავისუფალ პროზაულთარგმანს“ უწოდებს, აღნიშნავს, რომ მისი გადაწყვეტილება პოემის პროზაული სახით თარგმნის შესახებ ქართული ენის სირთულესა და „ვეფხისტყაოსნის“ მარცვლოვანებასთან ერთად იმანაც განაპირობა, რომ მარჯორი უორდროპისა და ვენერა ურუშაძის შესანიშნავ თარგმანებში კარგად გადმოიცა პოემის მუსიკალურობა, ქართული ლექსის სიდიადე და სხვ. შესაბამისად, ქეთრინ ვივიანის არჩევანი მკითხველზე ორიენტირებულია და თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს.

რობერტ სტივენსონი თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად თარგმნით ინარჩუნებს თითოეული სტროფის ორიგინალის შინაარსს. იქიდან გამომდინარე, რომ პოემას მკაცრად განსაზღვრული ფორმა აქვს და სტრიქონებს შორის შინაარსობრივ და ფორმობრივ მიმართებას ვერ დაარღვევს, მკითხველისთვისაც უკეთესია, რომ პოემა პროზაულად ითარგმნოს. რობერტ სტივენსონმა მიზნად დაისახა თანამედროვე

მკითხველისათვის გასაგები თარგმანის შექმნა, რისთვისაც მან პოემას ვრცელი კომენტარები დაურთო.

ლინ კოფინი თარგმანის ბოლოს აღნიშნავს, რომ მისი პოეტური თარგმანი, რატომაც უნდა, ვერ იქნება ორიგინალის თანასწორი, მაგრამ, მისი აზრით, ამ თარგმანში ძალიან ბევრი იქნება „რუსთველისეული“. ლინ კოფინი „ვეფხისტყაოსნის“ ერთგულია მეტრითაც და რითმითაც და მაქსიმალურად ცდილობს, რომ სიტყვასიტყვით თარგმანთან ერთად ტექსტის შინაარსობრივ ნაწილზეც სწორი აქცენტები გააკეთოს.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მოხსენებაში განვიხილავთ შემდეგ ძირითად საკითხებს:

- **მთარგმნელთა გადანყვეტილებები:** რა ფაქტორებმა და ნიუანსებმა განაპირობა მთარგმნელთა არჩევანი პროზაულ და პოეტურ თარგმანებს შორის. როგორ იმოქმედა ამ გადანყვეტილებებმა პოემის შინაარსსა და მხატვრულობაზე;
- **მთარგმნელთა წინაშე მდგომი გამოწვევები:** რა გამოწვევების წინაშე იდგნენ მთარგმნელები პოემის რთული მეტრული სტრუქტურის, ლექსიკური ნიუანსებისა და პოეტური რიტმის გადმოცემისას;
- **სტილისტური და ფორმალური განსხვავებები:** როგორ განსხვავდება თითოეული თარგმანი ერთმანეთისგან სტილისტური და ფორმალური თვალსაზრისით. როგორ აისახება ეს განსხვავებები პოემის ინგლისურენოვან თარგმანებში;

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თარგმანები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და განსხვავებული, მაგრამ ყველა მთარგმნელი ცდილობს, მეტ-ნაკლებად შეინარჩუნოს პოემის სული და ლიტერატურული ღირებულება. თითოეული მთარგმნელის არჩევანი და გადანყვეტილება აისახება პოემის ინგლისურენოვან ვერსიებზე და მოხსენების მიზანია, რომ დეტალურად გაანალიზდეს ეს პროცესები და მათი შედეგები.

Shota Rustaveli's epic "The Knight in the Panther's Skin" stands as a remarkable literary monument of medieval Georgian literature, transcending national boundaries and having been translated into 58

languages worldwide. The epic has seen five distinct English translations, each with its unique style and form.

The first translation is attributed to Marjory Scott Wardrop, an English scientist and translator deeply immersed in the Georgian language and culture. After approximately twenty years of dedicated work, Wardrop's translation, published posthumously in London in 1912, is rendered in prose.

Venera Urushadze, the sole Georgian translator of the epic to date, undertook the second English translation. Urushadze's poetic translation was first published in Tbilisi in 1968.

Katharine Vivian, an English philologist, writer, translator, and Georgian studies scholar, is responsible for the third translation. Vivian's version, published in London in 1977, features the main text in prose and the prologue and epilogue in poetry.

The fourth translation, completed by Robert Stevenson, an English historian, translator, and Georgian studies expert, was published in New York in 1977. Stevenson's rendition is entirely in prose.

The most recent English translation is by American writer and translator Lyn Coffin, released in Tbilisi in 2015. Coffin's work is a poetic translation, with the English version written by Dodona Kiziria and Gia Jokhadze.

Each translation is prefaced with the translators' introductions, discussing the primary challenges they faced. Following Marjory Wardrop's foundational translation, Venera Urushadze aimed to provide a fresh and enhanced version for readers. Similarly, the concurrent translations by Katharine Vivian and Robert Stevenson in 1977, and Lyn Coffin's much later contribution, reflect the ongoing efforts to present Rustaveli's masterpiece to the English-speaking world in new and nuanced ways.

Each translator faced significant choices in rendering "The Knight in the Panther's Skin" into English, grappling with the challenge of translating a sixteen-syllable epic poem. Marjory Wardrop opted for a prose translation to preserve the content and plot lines of the original as much as possible. However, this approach somewhat restricted the poetic and emotional essence of the epic.

Venera Urushadze, in his preface, discusses the difficulties of translating the epic into English, explaining to English-speaking readers

the significance of high and low verse (high-shairi and low-shairi). She emphasizes that Rustaveli's verse and meter, comparable to minor and major music, are vital to the greatness of the poem. "Knight in the Panther's Skin" is written entirely in high-shairi and low-shairi, which have no direct analogs in English.

Katharine Vivian, who refers to her work as "A free translation in prose", chose prose partly due to the complexity of the Georgian language and the graininess of the epic. She acknowledges that the musicality of the poem was well conveyed in Marjory Wardrop's and Venera Urushadze's translations. Thus, her choice is reader-oriented and represents a free translation.

In his preface, Robert Stevenson states that his prose translation aims to preserve the content of each stanza. He believes that due to strictly defined form of the epic, prose is the best way to maintain the relationship between content and form for modern readers. Stevenson also added extensive comments to aid understanding.

Lyn Coffin, at the end of her translation, acknowledges that her poetic rendition may not equal the original but believes it captures much of Rustaveli's spirit. Coffin adheres to the meter and rhyme of the original, striving to emphasize the content alongside the literal translation.

Given the above, the article will discuss the following main issues:

- **Translators' decisions:** The factors and nuances that influenced the translators' choices between prose and poetic translations and how these decisions impacted the content and artistry of the poem.
- **Challenges faced by the translators:** The difficulties encountered in conveying the complex metrical structure, lexical nuances, and poetic rhythm of the epic.
- **Stylistic and formal differences:** The stylistic and formal distinctions among the translations and how these differences manifest in the English versions of the epic.

The analysis of the English translations of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" reveals a diversity in approach, yet all translators endeavor to preserve the spirit and literary value of the epic. The article aims to analyze in detail the translators' choices and decisions and their effects on the English renditions of the epic.



# რას ნიშნავს, „ნაწარმოები დაწერილია მეორე პირში“?

## WHAT IS A SECOND-PERSON NARRATION?

გიორგი გოგოლაშვილი

Giorgi Gogolashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Arnold Chikobava Institute of Linguistics

**საკვანძო სიტყვები:** მთხრობელი, პირველი პირი, მეორე პირი,  
მოქმედი პირი

**Keywords:** narrator, first person, second person, character

როცა მთხრობელი „გარე სივრცეშია“ და აღწერს „სამოქმედო სივრცეში“ მიმდინარე მოვლენებს, ვამბობთ: „ნაწარმოები **დანერილია მესამე პირში**“;

როცა მთხრობელი მთავარ სივრცეშია და აღწერს იქ (მთავარ სივრცეში) მიმდინარე მოვლენებს და ამავე დროს არის მოქმედი პირი (გრამატიკულად პირველი პირი), ვამბობთ: „ნაწარმოები **დანერილია პირველ პირში**“;

არის შემთხვევები, როცა მთხრობელი მთავარ სივრცეშია, აღწერს იქ მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ არ არის მოქმედი პირი არც ლექსიკურად („მე“, „ჩემი“ ლექსიკურ ერთეულებს არ გამოიყენებს...) და არც გრამატიკულად (პირველი პირის ფორმებს არ მიმართავს). ვფიქრობთ, პირობითად ასეთ შემთხვევაზე უნდა ითქვას: „ნაწარმოები **დანერილია მეორე პირში**“; ამგვარი ნაწარმოებებია ოტია იოსელიანის ადრეული ნოველები „ქვრივის ცრემლები“ და „მენისქვილის ქალიშვილი“... მეორე პირშია დანერილი ცალკეული ეპიზოდები ბასილ მელიქიშვილის მოთხრობებისა.

In **third-person narration**, the narrator exists outside the events of the story, and relates the actions of the characters and events that take place from “outer space”.

**First-person narrative** is a point of view where the story is narrated from “inside the story” by one character who may be speaking about himself or herself or sharing events that he or she is experiencing. In other words, a first-person narrative is a mode of storytelling in which a storyteller recounts events from the storyteller’s own personal point of view, using first-person grammar.

In some cases, the storyteller/narrator recounts events from “inside the events of the story” but he/she is not a character either lexically (not using lexical units such as “I”, “me”, “my”) nor grammatically (first-person grammar is not used). This mode of storytelling can be referred to as **second-person narration**. Otia Ioseliani’s early short stories “The Widow’s Tears” and “The Miller’s Daughter” can be classified as second-person narratives. Some episodes of Basil Melikishvili’s short stories are also narrated from the second-person point of view.

**ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა  
დასაწყისის პრობლემატიკის შესახებ  
(ნმ. შუშანიკის, ნმ. ევსტათი მცხეთელის, ცხრა  
ყრმა კოლაელთა „წამებათა“ და „დავითისა და  
ტირიჭანის საკითხავის“ მიხედვით)**

**ABOUT THE PROBLEMS OF THE BEGINNING OF  
GEORGIAN HAGIOGRAPHIC WORKS  
(ACCORDING TO THE “MARTYRDOMS” OF ST. SHUSHANIK,  
ST. EUSTATHIUS OF MTSKHETA, THE NINE CHILDREN OF  
KOLA AND “THE READING OF DAVID AND TIRICHANI”)**

**ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა**  
**Nana Gonjilashvili, Nestan Sulava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** დასაწყისი, ჟანრი, მკითხველის ფენომენი, იაკობ ხუცესის „ნმ. შუშანიკის წამება“, „ნმ, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, – „ცხრა ყრმა კოლაელთა წამება“, „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“

**Keywords:** beginning, genre, reader’s phenomenon, “The Martyrdom of St. Shushanik”, “The Martyrdom of St. Eustathius of Mtskheta”, “The Torture of the Nine Children of Kola”, “The Reading of David and Tirichani”

ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა თხრობის დასაწყისებს მხატვრული და საღვთისმეტყველო ფუნქცია ეკისრება, რადგან თხრობის დასაწყისის რაგვარობა მეტ-ნაკლებად გამოკვეთს შესაბამისი ეპოქის ლიტერატურულ-თეორიულ და საღვთისმეტყველო სააზროვნო სისტემებს, პრინციპებს. მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ რაზე ამახვილებს ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ავტორი ყურადღებას, რა არის თხზულების შექმნის დროისათვის აქტუალური და ანგარიშგასაწევი, რის საფუძველზეც იკვეთება და წარმოჩნდება ავტორისა და მკითხველის ფენომენის ურთიერთმიმართება. გავიხსენოთ, რომ ტექსტი იწერება მკითხველისათვის/მსმენელისათვის, შესაბამისად, თხზულებათა დასაწყისის შესწავლა ნათელს მოჰფენს იმ ეპოქის მსმენელის/მკითხველის ინტერესსა და მოთხოვნებს, მისი აზროვნების საფუძველს, სულიერი მზაობის ეტაპებს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ავტორის მიმართებას თხრობისადმი და გამოავლენს მსმენელის/მკითხველის დაკვეთის შესრულების რაობასა და არსს. ყოველივე ეს ხელს უწყობს მთავარი პერსონაჟის წამებისა და ცხოვრება-მოქალაქეობის უკვდავყოფას, რადგან თითოეული მათგანის – წამებულის, მოღვაწის – ღვაწლი საუკუნეებს უნდა გადასწვდეს, პერსპექტივაში მომავლის მსმენელზე/მკითხველზე უნდა იყოს ორიენტირებული. საამისოდ ჰაგიოგრაფები ხშირად ბიბლიურ წიგნთა სახისმეტყველებას, მათ მიზანმიმართულ ციტირებას მიმართავენ, რათა თხზულების ძირითადი სათქმელი მკითხველამდე/მსმენელამდე ისე მიიტანონ, რომ ერის ისტორიულ მეხსიერებას შემორჩეს. მწერალი-ჰაგიოგრაფისათვის მთავარი მკითხველია/მსმენელია, რომელსაც ჰაგიოგრაფიული გმირის მიბაძვის სურვილი უნდა აღუძრას, რათა სულიერად და ზნეობრივად აღზარდოს იგი.

განსახილველი საკითხის აქტუალობას მონშობს ქართველ ჰაგიოგრაფთა თხზულებების თხრობის დასაწყისების რაგვარობა და მნიშვნელობა, რითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან; ზოგიერთი ავტორი ერთნაირ სისტემას მიჰყვება თავისი თხზულების დასაწყისში, რაც განზოგადების საფუძველს გვაძლევს. ყოველ ჰაგიოგრაფს დასაწყისიდანვე გამოკვეთილი აქვს კონცეპტუალური სათქმელის მნიშვნელობა, როგორ წარუდგინოს მკითხველს/მსმენელს როგორც ძირითადი საკითხი, ისე მთავარი პერსონაჟი და

ერთმანეთისაგან განსხვავებული კომპოზიციური ხაზით წაიყვანოს მსჯელობა. ამ თვალთახედვით განვიზრახეთ იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამების“, „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“, წამებული ბავშვების შესახებ დაწერილი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების – „ცხრა ყრმა კოლაელთა წამების“, „დავითისა და ტირიქანის საკითხავის“ – განხილვა თხრობის დასაწყისთა რაობისა და არსის გამოსავლენად.

The beginnings of the narration of Georgian hagiographic works have an artistic and theological function, because the nature of the beginning of the narrative more or less outlines the literary-theoretical and theological thought systems and principles of the relevant era. Importance should be given to what the author of the hagiographic works focuses on, what is relevant and significant at the time of the creation of the works on the basis of which the relationship between the phenomenon of the author and the reader is defined and appears. Let us remember that the text is written for the reader/listener, therefore, the study of the beginning of the works sheds light on the interest and demands of the listener/reader of that era, the basis of his thinking, the stages of spiritual readiness, which, in turn, determines the author's attitude towards the narrative and reveals the nature and essence of performance of the listener/reader's order.

All this contributes to the immortalization of torture and life-citizenship of the main character, because the merits of each of them – the victim, the perpetrator – should sustain for centuries, should be focused on the listener/reader of the future. For this reason, hagiographers often use the language of biblical books, their deliberate quoting, in order to convey the main message of the works to the reader/listener in such a way that they remain in the historical memory of the nation. For the writer-hagiographer, the main reader/listener is the one who should be motivated to imitate the hagiographic hero in order to educate him spiritually and morally.

The relevance of the discussed issue is evidenced by the nature and importance of the beginning of the narration of the works of Georgian hagiographers, which makes them different from each other; some authors follow the same system at the beginning of their works, which gives us

a basis for generalization. From the very beginning, every hagiographer outlined the importance of the conceptual statement, how to present both the main issue and the main character to the reader/listener, and to take the discussion along a different compositional line. With this point of view, we intended to study Jacob Khutsesi's "The Martyrdom of St. Shushanik", "The Martyrdom of St. Eustathius Mtskheteli", Georgian hagiographic writings written about tortured children – "The Torture of the Nine Children of Kolai", "The Reading of David and Tirichani" – to reveal the meaning and essence of the beginnings of the narrative.

**ფრ. შელინგი – ხელოვნების ფილოსოფია**  
**FR. SCHELLING – PHILOSOPHY OF ART**

**ნანა გულიაშვილი**  
**Nana Guliashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Humanities Faculty

**საკვანძო სიტყვები:** ჰედონიზმი, გენიოსი, ღვთაებრივი  
შემოქმედება, მისტიკური  
**Keywords:** hedonism, a genius, divine creation, mystical

ფრ. შელინგის ფილოსოფია დაკავშირებულია კანტისა და ფიხტეს ფილოსოფიასთან. მისი ესთეტიკური შეხედულებები ჩამოყალიბდა მათი ფილოსოფიის გავლენით. შელინგის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში ესთეტიკური ძირითადი კატეგორიაა. იგი კანტის მსგავსად ხელოვნებას მიჯნავს ხელოვნობისგან. მხატვრული შემოქმედება აბსოლუტურად თავისუფალია. ხელოვანი თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი მიზნისაგან და აღმოცენდება, ამბობს შელინგი „სინმინდე და სისუფთავე ხელოვნებისა,“ რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ კავშირს გრძნობადი ტკბობის მონიჭებასთან.

შელინგი უარყოფს ხელოვნების ჰედონისტურ ფუნქციას, რადგან იგი ხელოვნებას მაღალი გონებაჭვრეტითი პოზიციიდან განიხილავს. ხელოვნება მისთვის შემეცნების უმთავრესი ფორმაა. ქემარიტების წვდომის უმაღლესი სახე, მეტაფიზიკური რეალობის ვლენაა, უმაღლესი მიზანია და არა საშუალება ყოველდღიური, წარმავალი სიამოვნება-გართობისათვის.

შელინგის რომანტიკული მსოფლმხედველობა ნათლად გამოიხატა მხატვრულ შემოქმედებითი პროცესის შესახებ „ხელოვნების ფილოსოფიაში“ წარმოდგენილ ესთეტიკურ-თეორიულ ნააზრევში. აქ ხელოვნება გამოცხადებული აქვს როგორც ღვთაებრივი შემოქმედების გამოვლენა და ასახვა: „ღვთაებრივი შემოქმედება ობიექტურად გამოვლინდება ხელოვნების გზით, რადგანაც ეს უკანასკნელი ეფუძნება უსასრულო იდეალურობის რეალურში იმავე განსახიერებას, რომელზეც დაფუძნებულია პირველი,“ – წერს შელინგი. გენიოსი კი შელინგის მიერ წარმოდგენილია მედიუმად, რომლის მეშვეობითაც უშუალოდ ობიექტივირდება ღვთაებრივი შემოქმედება.

„ხელოვნების ფილოსოფიაში“ შელინგი განიხილავს და აზუსტებს გენიის რაობას. ეს ხდება იდეების თეორიასთან, უფრო კონკრეტულად კი, აბსოლუტური იდეის გამოვლენის საკითხთან კავშირში. ცნობილია, რომ იდეები შელინგთან ასრულებენ შუალედურის როლს ცალკეულსა და აბსოლუტურს შორის. მისი მსჯელობის თანახმად, გენიოსი ხელოვანია, ის არის უშუალოდ ხატი და სახე ღმერთისა და, შესაბამისად, მისი ესთეტიკური შემოქმედება ღვთაებრივი შემოქმედების გამოვლენაა. შელინგის მიერ გენიოსი-ხელოვანის ამგვარი გაგებიდან ცალსახად გამომდინარეობს, რომ იგი და მისი შემოქმედება ღვთაებრივი აუცილებლობით არის განსაზღვრული



და მხოლოდ მოვლენათა სამყაროში ჩანს როგორც შემთხვევითი. ასევე ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს ისიც, რომ გენიოსის შემოქმედებითი პროდუქტიულობა მთლიანად დამოკიდებულია მის მარადიულ ცნებაზე ღმერთში.

როგორც ვხედავთ, შელინგის შეხედულებით, ხელოვანი-გენიოსი არის ღმერთი ადამიანში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი ხელოვნების ნაწარმოები – აბსოლუტურად აუცილებელი. თუ თავდაპირველ შემეცნებით აქტში პროდუცირდება სამყარო თავისთავად, გენიის აქტშიც „პროდუცირდება ხელოვნების სამყარო, როგორც იგივე სამყარო თავისთავად, მხოლოდ მოვლენაში.“

ამრიგად, „ხელოვნების ფილოსოფიაში“ შელინგის მიერ ხელოვანი-გენიოსის გაგებამ მიიღო კიდევ უფრო მისტიკური და ამაღლებული შინაარსი. შელინგი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს ღმერთის ღვთაებრიობის გამოვლენაზე ხელოვნებაში, რომელიც შინაგანი ღვთაებრივი აუცილებლობით ქმნის აბსოლუტურ ხელოვნების ნაწარმოებს. ღვთაებრივი შემოქმედება წარმოებს წარმოსახვის უნარის მეშვეობით, რომელიც მდგომარეობს ზოგადისა და ცალკეულის სინთეზში, კვლავგაერთიანებაში.

შელინგი წარმოსახვისა და გონების უნართა ფუნქციებს ერთმანეთისგან არ განასხვავებს. თუ გონებაში ხდება იდეების ჩასახვა, ანუ ზოგადისა და ცალკეულის სინთეზი ხორციელდება იდეალურად, წარმოსახვა წარმოდგება როგორც მხატვრული იდეების ჩასახვის უნარი, ანუ ზოგადისა და ცალკეულის სინთეზი აქ ხორციელდება რეალურად. მხატვრული იდეა კი, შელინგის მიხედვით, იგივე ღმერთია.

„ღმერთების სამყარო არ არის ობიექტი არც მსჯელობის, არც გონების, ის მიიწვდომება მხოლოდ ერთადერთი – ფანტაზიით.“ არა მსჯელობით, რადგან ის არ მიდის შემოსაზღვრაზე შორს. არა გონებით, რადგან უკანასკნელს მეცნიერებაშიც შეუძლია წარმოადგინოს აბსოლუტურისა და შემოსაზღვრის სინთეზი მხოლოდ იდეალურად (პირველსახეებში); მაშასადამე, აქ მოქმედებს ფანტაზია, რომელიც, შელინგის აზრით, მხოლოდ ფანტაზიის უნარით მიიღწევა. „წარმოსახვის უნარს მის მიმართებაში ფანტაზიასთან მე განვსაზღვრავ როგორც იმას, რაშიც ხელოვნების პროდუქტები ჩაისახებიან და ფორმირდებიან, ხოლო ფანტაზიას – როგორც იმას,

რაც ჭვრეტს მათ გარედან, რაც თითქოსდა მათ ამოიღებს თავისგან, ხოლო ამით გამოსახავს. ასეთივე თანაფარდობაა გონებასა და ინტელექტუალურ ჭვრეტას შორის. გონებაში, გონების მატერიიდან ყალიბდება იდეები, ინტელექტუალური ჭვრეტა კი არის ის, რაც მათ გამოსახავს შინაგანად.

ამგვარად, ფანტაზია არის ინტელექტუალური ჭვრეტა ხელოვნებაში“.

შელინგის მსჯელობის თანახმად, წარმოსახვა არის იგივე გონი, მხატვრული გონი, ხოლო „ღვთაებრივი შემოქმედება ობიექტურად გამოვლინდება ხელოვნების გზით, რადგან იგი ეფუძნება უსასრულო იდეალურობის რეალურში იმავე განსახიერებას, რომელზეც დაფუძნებულია პირველი.“ ხოლო წარმოსახვა, შელინგის აზრით, არის ის ძალა, რომელზეც „დაფუძნებულია ყოველგვარი შემოქმედება. ის არის ის უნარი, რომლის მეშვეობით იდეალური ამავე დროს არის რეალური, სული არის სხეული, – ინდივიდუალობის უნარი, საკუთარი აზრით, შემოქმედებით.“

Fr. Schelling's philosophy is related to the philosophy of Kant and Fichte. His aesthetic views were formed under the influence of their philosophy. Aesthetic is the main category in Schelling's philosophical outlook. Like Kant, he separates art from craftsmanship. Artistic creation is absolutely free. The artist is free from any external purpose and emerges, says Schelling, "the purity and purity of art", which excludes all connection with the giving of sensual pleasure.

Schelling rejects the hedonistic function of art, because he considers art from a highly contemplative position. Art is the main form of knowledge for him. The highest form of access to truth is the manifestation of metaphysical reality, the highest goal, and not a means for everyday, fleeting pleasure-entertainment.

Schelling's romantic worldview was clearly expressed in the "Philosophy of Art" about the artistic creative process. In the presented aesthetic-theoretical thought. Here art is declared as the manifestation and reflection of divine creation: "Divine creation is objectively manifested through art, because the latter is based on the same embodiment of infinite

ideality in reality on which the former is based, " Schelling wrote. Genius is represented by Schelling as a medium through which divine creation is directly objectified. In "Philosophy of Art" Schelling discusses and clarifies the essence of genius. This happens in connection with the theory of ideas, more specifically, with the issue of revealing the absolute idea. It is well known that Schelling's ideas play an intermediate role between the individual and the absolute. According to his reasoning, the genius is an artist, he is the direct image and face of God and, accordingly, his aesthetic creation is a manifestation of divine creation. From this understanding of the genius-artist by Schelling, it clearly follows that he and his creation are determined by divine necessity and only appear as accidental in the world of events. It also follows unambiguously that the creative productivity of genius is entirely dependent on its eternal concept in God.

As we can see, according to Schelling's view, the artist-genius is God in man, and the work of art created by the latter is absolutely necessary. If in the original cognitive act the world in itself is produced, in the act of genius, "the world of art is produced, as the same world in itself, only in the event." Thus, Schelling's understanding of the artist-genius in the "Philosophy of Art" took on an even more mystical and sublime content. Schelling unequivocally refers to the manifestation of God's divinity in art, which creates an absolute work of art with an inner divine necessity. Divine creativity is produced through the imagination, which lies in the synthesis, reunification, of the general and the particular.

Schelling does not distinguish between the functions of imagination and mental faculties. If ideas are conceived in the mind, that is, the synthesis of the general and the particular is carried out ideally, imagination is presented as the ability to conceive artistic ideas, that is, the synthesis of the general and the particular is carried out here in reality. And the artistic idea, according to Schelling, is the same God.

"The world of the gods is not an object of reasoning or reason, it can be reached only by the imagination." Not by reasoning, because it does not go beyond the boundary. Not with the mind, because even in science the latter can present the synthesis of the absolute and the bounded only ideally (in first forms); therefore, imagination works here, which, according to Schelling, can only be achieved with the ability of imagination.

“Imagination, in its relation to imagination, I define as that in which the products of art are shaped and formed, and imagination as that which contemplates them from without, which, as it were, takes them out of itself, and thereby depicts them. A similar relationship exists between the mind and intellectual contemplation. In the mind, out of the matter of the mind, ideas are formed, and intellectual contemplation is what pictures them inwardly.

Fantasy is thus intellectual contemplation in art.”

According to Schelling, the imagination is the same mind, the artistic mind, and, “the divine creation is objectively manifested through art, because it is based on the same embodiment of the infinite ideality in the real, on which the first is based.” And imagination, according to Schelling, is the power on which “all creativity is based”. It is the ability through which the ideal is real at the same time, the soul is the body, – the ability to individuate, with one’s own thought, with creativity.

რელიგიური კონცეპტები სამეტყველო  
ეთიკეტის ფორმულებსა და შორისდებულებში  
(ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)

RELIGIOUS CONCEPTS IN SPEECH ETIQUETTE  
FORMULAE AND INTERJECTIONS  
(ON THE MATERIAL OF ENGLISH AND GEORGIAN  
LANGUAGES)

ირინე დემეტრაძე

Irine Demetradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რელიგიური ცნებები, ფრაზეოლოგიური  
ერთეულები, სამეტყველო ეტიკეტი, შორისდებული  
**Keywords:** religious concepts, phraseological units, speech etiquette,  
interjections

ყველა კულტურაში არსებობს ისეთი სიტყვები და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც უკავშირდება მისალმებას, დამშვიდობებას, მილოცვას, დალოცვას, თანაგრძნობის გამოხატვას. მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ზემოხსენებულ სამეტყველო აქტებს ავტომატურად ახორციელებს და არ აცნობიერებს მათ მნიშვნელობასა და წარმოშობას.

ცნობილია, რომ ყველა ენაში აისახება რელიგიური მრწამსი და ცრურწმენები. შესაბამისად, არსებობს უამრავი ფრაზეოლოგიური ერთეული, იდიომი, ევფემიზმი, დალოცვის, წყევლის და ფიცის ფორმულა, რომლებიც ემყარება „ღმერთის“ ცნებას და სხვა რელიგიურ ტერმინებს.

ღმერთთან, სამოთხესთან და სხვა რელიგიურ ცნებებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები ძალზე ხშირად გამოიყენება სამეტყველო ეტიკეტში, მისალმებებში, დალოცვებში, სადღეგრძელოებსა და მსგავს ფორმულებში.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ფრაზეოლოგიური ერთეულები უმეტესწილად ემოციის გამომხატველია, შესაბამისად, ბევრი მეცნიერი მათ შორისდებულებად მიიჩნევს.

მოხსენებაში რელიგიური წარმოშობის სამეტყველო ფორმულები დაჯგუფებულია დადებითი და უარყოფითი კონოტაციის მიხედვით. დადებითი კონოტაციის სამეტყველო ფორმულებიდან უნდა აღინიშნოს მადლიერებისა და თანაგრძნობის გამომხატველი ფორმულები, დალოცვები, სადღეგრძელოები და სხვ.

უარყოფითი ემოციების გამომხატველი შორისდებულები ორივე საკვლევ ენაში და მყარი გამონათქვამები უკავშირდება ღმერთის, ეშმაკის და ჯოჯოხეთის ცნებებს.

როგორც კვლევამ აჩვენა, ორივე საანალიზო ენაში უხვადაა წარმოდგენილი რელიგიურ ცნებებსა და ცრურწმენებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები და შორისდებულები. რამდენადაც ინგლისელები და ქართველები ქრისტიანები არიან, განხილულ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობა ქრისტიანობას უკავშირდება. ემპირიული მასალის ანალიზმა დაადასტურა, რომ ასეთი ლექსიკური ერთეულები როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაციისაა, ხოლო დადებითი კონოტაციის ფრაზეოლოგიური ერთეულები სამეტყველო ეტიკეტის შემადგენელი ნაწილია. საანა-

ლიზო ფრაზეოლოგიურ ერთეულებს დიდი ხანია, დაკარგული აქვთ მათი თავდაპირველი რელიგიური შინაარსი და დღესდღეობით ისინი მოსაუბრის მიერ გამოიყენება ავტომატურად ისეთი ემოციების აღსანიშნავად, როგორებიცაა: სიხარული, გაცეცხება, მადლიერება, იმედგაცრუება ან ბრაზი. ღმერთის, ქრისტეს, ღვთისმშობლის, ეშმაკის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის ცნებები უხვადაა წარმოდგენილი ორივე საკვლევ ენაში და ორივე კულტურაში ხშირად გამოიყენება როგორც დალოცვის, ასევე წყევლის ფორმულებში.

In every culture, there are words and phraseological units expressing greetings, farewells, congratulations, blessings, condolences etc. The above-mentioned phraseological units form part of greetings, blessings, congratulations, toasts, consolations and other speech acts. Nowadays even non-religious people utter these phraseological units automatically, without thinking about their meaning and origin.

It is widely known that religious beliefs and superstitions are reflected in every language. Numerous phraseological units, idioms, euphemisms, blessing, cursing and oath formulae are based on the word “God” and other religious terms.

The phraseological units derived from religion and related to God, heaven and other concepts form part of speech etiquette, having turned into blessing formulae and toasts.

Besides, these phraseological units express emotions, hence, they can be considered as interjections. The emotions expressed by means of religion-based interjections are diverse, and this is quite natural, since in times of great joy, sorrow and pain (physical or psychological), a human being addresses the higher power for support (Demetradze 1997: 101). Exclamations like “Good heavens!” are defined by grammarians differently. Some consider them as interjections, whereas others classify them as exclamatory sentences.

The phraseological units and interjections based on religious faith express both positive and negative feelings; hence, they are used in different speech situations.

The paper analyzes certain examples of religion-based phraseological units and interjections related to positive emotions like gratitude, compassion, blessing and surprise.

Research has proved that in both languages under analysis (as, probably, in all other languages worldwide), there are numerous phraseological units and interjections based on religious concepts and superstitions. Since the languages discussed in the given paper are spoken chiefly by representatives of the Christian religion, the phraseological units under analysis are related to the Christian faith. Analysis of the empirical material has proved that the phraseological units and interjections based on religion and superstition are characterized by both positive and negative connotation. Certain phraseological units under analysis are devoid of their initial religious meaning and are nowadays used as interjections expressing emotions like joy, surprise, gratitude, disappointment and anger. The concepts of God, devil, Christ, Holy Virgin, Holy Cross, heaven and hell are abundantly represented in set expressions that are usually used as blessing and cursing formulae in both languages and cultures under analysis.



იურგენ ჰაბერმას კომუნიკაციური  
მოქმედების თეორია და შაირობა  
„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

COMMUNICATION THEORY BY HABERMAS AND  
“SHAIROBA” ACCORDING TO THE POEM BY SHOTA  
RUSTAVELI “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”

მამუკა დოლიძე

Mamuka Dolidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** შემეცნება, ინტერესი, ფენომენოლოგია,  
კომუნიკაცია

**Keywords:** cognition, interest, phenomenology, communication

ფრანკფურტის სკოლის ფილოსოფოსისა და სოციოლოგის, იურგენ ჰაბერმასის ცნობილი თეორია ადამიანთა კომუნიკაციური მოქმედების შესახებ ფაქტობრივად ფენომენოლოგიური ფილოსოფიის გაგრძელებაა სოციოლოგიის სფეროში. ეს თეორია გამოქვეყნდა 1986 წელს. ნაშრომმა იმდენად მაღალი შეფასება დაიმსახურა, რომ იგი განეკუთვნა XX საუკუნის რვა საუკეთესო თხზულებას სოციოლოგიის დარგში. ამ წიგნის გამოსვლას წინ უძღოდა ჰაბერმასის არანაკლებ მნიშვნელოვანი შრომის გამოცემა – „შემეცნება და ინტერესი“. (1968 წ.)

თვით სათაურიდან ჩანს, თუ რა პოზიცია უკავია ავტორს თანამედროვე რაციონალიზმის მიმართ. ძველი, კლასიკური შემეცნება ორიენტირებული იყო ზოგადი და ნეიტრალური ქვეშარიტების წვდომაზე, რაც არ ითვალისწინებდა სუბიექტის პირად ინტერესებს ობიექტური ცოდნის შექმნის დროს.

ახალ დროებაში, განსაკუთრებით ბრენტანოსა და ჰუსერლის შემდეგ, ადამიანური შემეცნების ორიენტირი შეიცვალა. ქვეშარიტებამ დაკარგა კლასიკური ცოდნის გულგრილი და მიუკერძოებელი ხასიათი და მთლიანად დაექვემდებარა ინდივიდის პირად მისწრაფებებს, მიზნებს, მოგონებებსა და ოცნებებს. პირადემოციური ინტენციის შეჭრა ფილოსოფიურ აზროვნებაში, ჰაბერმასის აზრით, ნიშნავს პიროვნების ინტერესის ფაქტორის გათვალისწინებას სამყაროს შემეცნებაში. ფილოსოფიური შემეცნების დაქვემდებარება ადამიანის ინტერესისადმი ობიექტური ცოდნის სუბიექტივაციას ნიშნავს, რაც ჰუსერლის ინტენციონალურ ანუ მიზანმიმართულ ცნობიერებას ეხმაურება. ის აგრეთვე მაქს ვებერის სოციოლოგიასაც იზიარებს, სადაც ასევე წამოწეულია სუბიექტის როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

მეტად საინტერესო და ორიგინალურია გზა, თუ როგორ აგებს გერმანელი ფილოსოფოსი თავის კონცეფციას. ეს გზა გამოირჩევა ზოგადი ცოდნის კონსტრუქციის კანტისმიერი მეთოდისგან. კომუნიკაციური მოქმედების მიზანი ადამიანთა ურთიერთგაგება და კონსენსუსია, მაგრამ მთელი სიძნელე ისაა, რომ ჰაბერმასს ამ ზოგად – ობიექტურ ცოდნაში სურს კომუნიკაციაში მყოფი სუბიექტების პირადი ინტერესების შენარჩუნებაც. მე მინდა გავიგო თანამედროვე სამყარო არა ისე, როგორადაც არის ის თავისთავად,

ჩემი არსებობისგან დამოუკიდებლად, არამედ, თუ როგორია ის ჩემთვის, რამდენად პასუხობს ჩემს ინტერესებს ამ ცხოვრებაში და რა სარგებლობას მომიტანს ჩემი შემეცნებითი აქტიურობის საპასუხოდ.

მეორე ადამიანთან ჩემი კომუნიკაცია მოხდება იმდენად, რამდენადაც მოხდება ჩვენს პირად ინტერესთა თანხვედრა. ამ გადაკვეთის წერტილში ჩემს ინტერესებზე მორგებული რეალობა აღარ იქნება მხოლოდ ჩემი, ის, აგრეთვე, სხვისი შემეცნებითი ინტერესის საგანიც გახდება.

ჰაბერმასი განასხვავებს სამ ძირითად სფეროს, სადაც შესაძლებელია ჩვენი კომუნიკაცია არსებული სინამდვილის პრაგმატული შემეცნების მიზნით:

ესთეტიკური სამყარო

თერაპიული მიმართება

იმპლიციტური, ანუ გაგება – განმარტებითი დისკურსი.

ესთეტიკის დარგში შეგვიძლია მივმართოთ ფენომენოლოგიას, როგორც შემოქმედების ფილოსოფიას, და ვაჩვენოთ, რომ თანამედროვე, „ცნობიერების ნაკადის“ მწერლობაში თემატიზებულია ავტორისა და მკითხველის (ხელოვნებაში – მუსიკოსისა და მსმენელის, მხატვრისა და აღმქმელის... და ა.შ.) კომუნიკაციის პრობლემა. ლიტერატურისა და ხელოვნების სცენაზე გამოსული, შემოქმედების პროცესში ჩართული პირები ერთობლივად ქმნიან მხატვრულ სამყაროს, რომელიც მათ სულიერ მოთხოვნილებათა და ინტერესთა ერთიანობის იდეალური სფეროა. მხატვრული ინდივიდუაცია აქ იძენს ზოგადსახეობრივ მნიშვნელობას შემოქმედისა და აღმქმელის კომუნიკაციის გზით.

ავტორისა და მკითხველის ასეთი თანაშემოქმედება უცხო არ გახლავთ სიტყვიერი ხელოვნების ძველი, კლასიკური შედევრებისთვისაც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ჩვენი გენიალური „ვეფხისტყაოსანი“. შაირობა შოთა რუსთველისთვის არის არა ლექსის ქმნადობა, არამედ კომუნიკაციის პროცესი პოეტსა და მკითხველს შორის. პოეტი თითქოს განზრახ არ ამბობს ბოლომდე სათქმელს, რათა მკითხველის ფანტაზიასაც მისცეს გასაქანი და შევიდეს მასთან ცოცხალ კომუნიკაციაში, როგორც თანაშემოქმედთან. რუსთაველის

პოემის მკვლევრის, პარმენ მარგველაშვილის აზრით, სწორედ ამიტომ ახლავს ამ უკვდავ პოემას ამდენი კომენტარი.

პოეზიის ეს ბრწყინვალე მარგალიტი ცხადყოფს, რომ ჰაბერმასის კომუნიკაციური თეორიის ესთეტიკური ასპექტი გამოძახილს პოეზებს კლასიკური სიტყვიერი ხელოვნების შორეულ წიაღშიც, პოეტური სიტყვის მოძრაობის ზოგადსაკაცობრიო ისტორიის მანძილზე.

The theory of communication by the German philosopher Jurgen Habermas appeared to be one of the significant contributions to the development of 20th century philosophy and sociology. This theory was first published in Germany, in 1986. There was another also important book by the same author “Cognition and Interest” published in 1968.

The aim of the German philosopher was to extend phenomenological philosophy of Edmond Husserl to the sphere of social reality. He asserted that thanks to Brentano, Husserl, Heidegger and other outstanding representatives of 20th century philosophy, the classical idol of “objective knowledge” was crushed.

According to Habermas, the philosophical truth did not present the neutral position of human mind. It mostly depended on the pragmatic interests of a subject. The intersection of the subjects’ interests made a common field into a fertile ground for arising the inter-subjective truth. That was the certain aim of human cognitive communication – to reveal the human world in which we live according to our interests.

Habermas distinguished three steps of human communication:

Aesthetical level;

Communicative therapy (collective unconscious);

Cognitive – hermeneutic discourse.

In our research we focused on the aesthetical level of this teaching. We have shown that the attitude between the author and the reader in modern, stream of consciousness literature differs from classical relationship. This attitude became more creative. Instead of a passive perceiver, the reader played the role of a co-author of the story. The modern author especially

has left free space within his artistic reality, which the reader was welcome to fulfill according to his own fantasy.

Such form of co-creation of the author and the reader was not strange for the masterpieces of classical literature. In respect of this problem we can consider the great poem by Shota Rustaveli – “Knight in the Panther’s Skin”. Rustaveli seemed to leave in his poem some places of indeterminacy for a play on words which was offered to the reader as a creative sphere of communication with an author.

This brilliant example of Georgian literature reveals the effect of inter-subjective attitude between creator and perceiver, along the history of poetical word. It confirms the modern aesthetical point of view on the background of the theory of communication by Jurgen Habermas.



ცის მნიშვნელობის საკითხი  
რომანტიკოსთა პოეზიაში

THE QUESTION OF THE MEANING  
OF *THE SKY* IN ROMANTIC POETRY

ეკა ვარდოშვილი

Eka Vardoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ცის რაობა, ქართული, ევროპული,  
რომანტიზმი

**Keywords:** meaning of sky, Georgian, European, romanticism

რომანტიზმმა დაამკვიდრა ახალი იდეალები, როგორც საზოგადოებრივ ყოფაში, ასევე ლიტერატურაში. საზოგადოდ აღიარებულია, რომ რუსოს ნაწარმოებმა „ახალმა ელოიზამ“ გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის ცნობიერებაში, მან მკაცრი და ველური ბუნება ადამიანის გრძნობების თანაზიარი გახადა. რომანტიკოსები ბუნების განცდას ფილოსოფიურ დაკვირვებას უკავშირებენ.

ცის სახისმეტყველება ჩანს ნ. ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ამ შემთხვევაში ღვთიურ ცაზე გვესაუბრება პოეტი, ზენაართ სამყაროს შეცნობის სურვილი იპყრობს მას. ლექსში სამყაროს შეცნობის ფაუსტური პარადიგმაც იკვეთება. როგორც გოეთეს ფაუსტს, ლექსის ლირიკულ გმირსაც სურს, ბოლომდე შეიცნოს სამყარო, ჩასწვდეს მის კანონზომიერებებს, რაც ადამიანის გონებისათვის შეუძლებელია.

სულიერ ცაზე გვესაუბრება ბაირონი 1812 წელს დაწერილ ლექსში „დროს“. ლექსში ლირიკული სუბიექტი თავად პოეტია. იგი მიმართავს დროს, რომ ის, ვინც პოეტს უყვარდა „ალბათ, დაინდე“, რადგან მისი სული ცას მიებარა. ქვეყნის სიმწარესა და დაუნდობლობას აარიდა დრომ მისი სატრფო. ლექსში ჩანს ბაირონისეული სამყაროს აღქმა, დროისა და პოეტის განწყობის ცვალებადობა.

ხილულ ცაზე საუბრობს ბაირონი ლექსში „უძინართა მზევ“. შორეულ სევდის ვარსკვლავს უწოდებს ამ ლექსში პოეტი მთვარეს, რომლის თვალცრემლიანი სხივი ვერ აპობს ღამის წყვიდადს, მაგრამ პოეტში მაინც დიდ განცდას იწვევს.

იტალიელი ავტორის, ჯ. ლეოპარდის ლირიკაში, ძირითადად, ხილული ცა ჩანს. წმინდა რომანტიკული ხასიათის ლექსია ჯ. ლეოპარდის „დღესასწაულის შემდგომი ღამე“. ეს არის ცის ქვეშ უგზოდ მოხეტიალე შეყვარებული ადამიანის აღსარება, როდესაც პირადი განცდები ერწყმის საყოველთაო სევდასა და წარსულის განდიდებას; ცა ამ ლექსში ბუნების ნაწილია.

ჰ. ჰაინეს ლირიკაში ხშირად ვხვდებით სულიერი ცის სახისმეტყველებას. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში იგი წერს: „ჰო, ყმანვილო, მე ღმერთი ვარ, / გამგე ცის და დედამიწის“ (ჰაინე). ამ შემთხვევაში ჩანს სამყაროს კოსმიური მთლიანობა, საკუთარ თავს ღმერთს უწოდებს პოეტი. სახეები ეიკონურია, აზრი სიტყვის მიღმაა საძიებელი.



ხილულ ცაზე გვესაუბრება ალ. ქავჭავაძე ლექსში „გოგჩა“, სადაც პოეტი გოგჩის ტბის მიდამოების მარადიულ სიმშვენიერეს გვიხატავს. ლექსში ბუნების განცდა და წუთისოფლის ამაოების საკითხი ერწყმის ერთმანეთს. ალ. ქავჭავაძის „გოგჩას“ ხშირად ადარებენ ლამარტინის „ტბას“. „გოგჩაში“ ჩანს, რომ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, მარადიულია მხოლოდ ბუნება, თუკი რამ უახლოვდება მარადიულობას, ეს ხელოვნებაა.

ამდენად, ცის იდეალიზაცია დამახასიათებელია XIX საუკუნის ქართველ და ევროპელ მწერალთა ლირიკისათვის. მათ შემოქმედებაში ვხვდებით როგორც უხილავ, ანუ ღვთაებრივ (სულიერ), ასევე ხილულ, ანუ მატერიალურ ცას. ღვთაებრივი ცის სახისმეტყველების საფუძველია ბიბლიის წიგნები და დავით მეფის ფსალმუნები. ხილული ცის, როგორც ბუნების შემადგენელი ნაწილის აღქმა კი ჟან-ჟაკ რუსოს „ჟიული ანუ ახალი ელოიზადან“ მომდინარეობს.

Romanticism established new ideals in public life as well as in literature. It is widely acknowledged that the work of Rousseau “Julie; or, The New Heloise” revolutionized the consciousness of mankind, he involved the harsh and wild nature in the human feelings. The Romanticists relate the sense of nature with philosophical observation.

The image of the sky is shown in the poem of N. Baratashvili “Dusk on Mtatsminda”, in this case the poet speaks of the divine sky, the desire to know the heavens overwhelms him. The poem also reveals Faustian paradigm of cognition of the world, Like Goethe to Faust, the lyrical person of the poem wishes to fully cognize the world, comprehend its regularities, which is impossible for the human mind.

Byron speaks of the spiritual sky in 1812, in his poem “To time”. In the poem, the poet is himself a lyrical person, he refers to time, that it “could spare” the one he had loved, to let her soul fly to heaven. Time spared her from bitterness and ruthlessness of the world. Byronic perception of the world is shown in the poem, variability of the time and poet’s mood.

Speaking of the visible sky in Byron’s poem “Sun of the Sleepless”, the poet calls the moon melancholy star, whose tearful beam glows tremulously

far, but cannot dispel the darkness, which evokes great feelings in the poet.

In the lyrical poetry of the Italian poet G. Leopardi the visible sky is mostly shown. The poem of G. Leopardi "The Evening of the Holiday" has a pure romantic character. It is a confession of a person in love wandering aimlessly under the sky, when personal feelings merge with universal sorrow and glorification of the past; the sky in this poem is a part of the nature.

In lyric poems of H. Heine, we meet the image of the spiritual sky. In one of his untitled poems he writes: "Yeah, lad, I am a God, / Ruler of earth and heaven" (Heine). In this case cosmic integrity of the world is discernible, the poet calls himself God. The face is iconic, the meaning should be searched beyond the words.

Al. Chavchavadze speaks of the visible sky in his poem "Gogcha", where he describes the eternal picturesqueness of the adjacent areas of Lake Gogcha. The issue of perception of the nature and the vanity of the world merge with each other in the poem. "Gogcha" of Al. Chavchavadze is often compared with Lamartine's "Lake". In "Gogcha" it is seen that everything is perishable, only the nature is eternal. If anything is close to the eternity, it is only the art.

Thus, idealization of the sky is characteristic of the lyric works of the Georgian and European writers of the 19th century. In their works we find the invisible or divine (spiritual) sky, as well as the visible or material sky. The basis for the image of the divine sky is the Books of the Bible and the Psalms of King David. Perception of the visible sky, as an integral part of the nature, comes from "Julie; or, The New Heloise" by Jean-Jacque Rousseau.

იორდანიის კრიზისი და პალესტინელი  
ლტოლვილების პრობლემა ისრაელსა  
და არაბული ქვეყნების | ომის შემდეგ

THE JORDANIAN CRISIS AND THE PALESTINIAN  
REFUGEE PROBLEM AFTER THE 1<sup>ST</sup> WAR BETWEEN  
ISRAEL AND ARAB COUNTRIES

ინგა ზაბახიძე

Inga Zabakhidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** იორდანია, ისრაელი, პალესტინელი  
ლტოლვილები, არაბული ქვეყნები

**Keywords:** Jordanian, Israel, Palestinian refugee, Arab countries

პალესტინის ომის შემდეგ იორდანიის პრობლემები მჭიდროდ დაუკავშირდა პალესტინელი ხალხის ბედს, რადგანაც პალესტინელი ლტოლვილების იორდანიაში გადასვლამ დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში სერიოზული პრობლემები გამოიწვია. პალესტინის ნაწილის იორდანიასთან მიერთებით ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სპეციფიკის ტერიტორია გაერთიანდა.

ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობისა და ისრაელ-პალესტინის I ომის შემდეგ ერთ-ერთი ურთულესი საკითხი, რომელიც წარმოიშვა, იყო პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა.

პალესტინელი არაბი ხალხის ტრაგედია დაკავშირებულია სამშობლოს დაკარგვასთან. ამ ომის შემდეგ 1 350 ათასი პალესტინელი არაბიდან 120 ათასი თავის მშობლიურ ადგილებში დარჩა, რომლებიც უკვე ისრაელს ეკუთვნოდა; 450 ათასი იმ რაიონებში, რომლებიც ისრაელისა და იორდანიის კონტროლს დაექვემდებარა; დანარჩენი 780 ათასი, ზოგი მონაცემით კი, 900 ათასზე მეტი პალესტინელი არაბი იძულებული გახდა, ქვეყნის საზღვრები დაეტოვებინა სიონისტური ექსტრემიზმის, ტერორის საშიშროებისა და არაბი ნაციონალისტების პროპაგანდის შედეგად. პალესტინელების 70% თავშესაფრის გარეშე დარჩა და მათმა უმრავლესობამ იორდანიას, ლიბანსა და სირიას მიაშურა. ასე დაიწყო პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა, რაც დღემდე ისრაელ-არაბეთის კონფლიქტის წყაროა. პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის კომპრომისი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის პალესტინელი ლტოლვილების უფლებების გათვალისწინებით.

After the Palestine War, Jordan's problems became closely related to the fate of the Palestinian people, as the migration of Palestinian refugees to Jordan had a major impact on the economy, causing difficulties in agriculture and industry. By annexing part of Palestine to Jordan, two different territories were united.

After the emergence of the State of Israel and the First Israeli-Palestinian War, one of the most difficult issues that arose was the problem of Palestinian refugees.

The tragedy of the Palestinian Arab people is related to the loss of their homeland. After this war, 120 thousand out of 1,350 thousand Palestinian Arabs remained in their native places, which already belonged to Israel; 450 thousand – in the areas that came under the control of Israel and Jordan. The remaining 780,000 and, according to some data, more than 900,000 Palestinian Arabs were forced to leave the country's borders as a result of Zionist extremism, terror threats and Arab nationalist propaganda. 70% of Palestinians were left homeless and most of them fled to Jordan, Lebanon and Syria. Thus arose the complex and difficult problem of Palestinian refugees, which is still the source of the Israeli-Arab conflict.

The only way to resolve the Palestinian conflict is through a compromise between Israel and the Arab countries, taking into account the rights of the Palestinian refugees.



ზნეობრივი აღზრდის მოდელი გვიან მოდერნში  
(წმ. მღვდელმთავარი გაბრიელ კიკოძე)

THE MODEL OF MORAL EDUCATION IN THE LATE MODERN  
(HOLY HIERARCH SAINT GABRIEL KIKODZE)

ანასტასია ზაქარიაძე

Anastasia Zakariadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ზნეობრივი აღზრდა, არჩევანის  
თავისუფლება, საღი სარწმუნოება, ზნეობრივი  
თვითცნობიერება

**Keywords:** moral education, freedom of choice, sound faith,  
moral self-awareness

მთავარი საფრთხე, რომლის წინაშეც დღეს დგას თანამედროვე ადამიანი, არის ის, რომ იგი ვეღარ ახდენს საკუთარ მე-ზე რეფლექსიას. სწრაფად ცვალებადი გარემო, საყოველთაო ტოტალური ტექნიზაცია, მედია მანიპულაციები, პოლიტიკური მითოს-შემოქმედებითობა ადამიანის, როგორც განუმეორებელი პიროვნების დაკარგვის საფრთხეს რეალობად აქცევს. მისი ქცევების წარმართველი არა მორალურ პრინციპებსა და ნორმებზე დამყარებული ზნეობრივი კოდექსია, არამედ ეგო, სურვილი, თვითინტერესია. ამ საფრთხეებზე მიუთითებენ დასავლელი ფილოსოფოსები, თეოლოგები.

მოხსენებაში გვიანი მოდერნის მორალური აღზრდის წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრის გზები გაანალიზებულია გვიანი მოდერნის ეპოქის სიღმისეულად მოაზროვნის, ქართველი წმინდანის, მღვდელმთავარ გაბრიელ ქიქოძის ქრისტიანული ეთიკის შუქში. წმ გაბრიელი წმინდა მამების ტრადიციასა და საკაცობრიო აზროვნების მონაპოვარს ეყრდნობა.

განათლება, მისი მტკიცებით, არის „დიდი ძალა, რომლის გარეშე არ არსებობს სათნოება, სიკეთე და ურთიერთპატივისცემა“. გამოწვევები, რომელთა წინაშე ადამიანის პიროვნულობა დგას, წმ. გაბრიელის მიხედვით, არის განათლების სიმწირე, ზოგ შემთხვევაში, არარსებობა, რაც იწვევს სიცრუეს, ფარისევლობას, ცრუმორწმუნეობას, ქურდობას, ცილისწამებას. ყველა ეს ვნება გაუკულმართებული რელიგიური ცნობიერების შედეგია და აღმოიფხვრება ადამიანის ბუნების შესწავლით. ადამიანის პერსონულობის საკითხი სიღრმისეულადაა წარმოდგენილი მის თხზულებაში და, განსაკუთრებით, ქადაგებებში.

ეპისკოპოსი გაბრიელი ყურადღებას ამახვილებს თავისუფლებაზე - ქრისტიანული ეთიკის ბაზისურ კონცეპტზე, რაც მისი მორალური აღზრდის მოდელის გულისგულს შეადგენს. თუკი ადამიანსა და ღმერთს მხოლოდ გონიერი სული ანათესავებთ, ადამიანის იდეალი თავის პიროვნებაში გონიერი სულის აღზრდა და განვითარება უნდა იყოს, რათა ღვთისგან ბოძებული ნებისა და არჩევანის თავისუფლება გონივრული გადანყვეტილებისა და ქმედების შესაბამისად წარიმართოს. აქ კი ბუნებრივად იჩენს თავს პატიოსნების პრობლემა, რომელიც გახსნილია ადამიანში თავის მოყვარეობის, თვითპატივისცემის, ღირსების, ადამიანური ბუნების



სიმაღლისა და დიდების ხსოვნის შესაბამისად. წმ. გაბრიელის მიხედვით, ესაა წმინდა ქრისტიანული თავისმოყვარეობა. გაანალიზებულია არჩევანის თავისუფლებისა და „სალი სარწმუნოების“ კონცეპტები. „სალი სარწმუნოება“ მორწმუნეობის კულტურაა. სალი სარწმუნოების მთავარი და არსებითი ნიშანი არის სიყვარული, რომელიც უპირისპირდება სიძულვილს. კრიტიკულადაა გააზრებული ფანატიზმი და ცრუმორწმუნეობა, რაც, როგორც წესი, ფანატიზმთან ერთად მოქმედებს და ხშირად შეხორცებულია მასში როგორც უვიცობა და მისი შენიღბვის ხრიკი, პათოლოგიური მისტიციზმი და მანია გრანდიოზა, რასაც ამპარტავნება და მთავრობისმოყვარება წარმოშობს. ისინი გაუკუღმართებული რელიგიური ცნობიერების ნიმუშებია.

ქრისტიანული ეთიკის ველზე განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა ზნეობრივი აღზრდა. სისტემურადაა გაანალიზებული ზნეობრივი აღზრდა, როგორც ზნეობრივი თვითცნობიერების ჩამოყალიბების მნიშვნელადინაწილი, ხოლო ამ სისტემაში გამოყენებითი ფსიქოლოგიის ტექნიკების შემოყვანით წმ. გაბრიელის კონცეფცია სრულიად ახალ განზომილებას ხსნის პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით. მოხსენებაში პარალელებია გავლებული წმ. ანთიმოზ ივერიელის ინტელექტუალურ მემკვიდრეობასთან, ასევე ისეთ თანამედროვე მოაზროვნეებთან, როგორებიც არიან: ვუნდტი, კულიანუ, ზიზიულასი.

The main danger that modern man faces today is that he can no longer reflect on his own self. The rapidly changing environment, universal total technization, media manipulations, political myth-making make the danger of losing a person's unique personality a reality. His behavior is not guided by a moral code based on moral principles and norms, but by ego, desire, and self-interest.

In the presentation the ways of solving the challenges facing late modern moral education are analyzed in the light of the Christian ethics of the late modern thinker, the Georgian saint Holy Hierarch Gabriel Kikodze. St. Gabriel relies on the tradition of the holy fathers and intellectual achievements of mankind.

Education, he argues, is “a great power without which there is no virtue, goodness and mutual respect”. According to St. Gabriel, the challenges facing the human personality are the lack of education, in some cases even non-existence of it, which leads to lies, hypocrisy, superstition, theft, slander. All these passions are the result of perverted religious consciousness and can be eliminated by studying human nature. The issue of human personality is analyzed in depth in his essay and sermons.

Holy Hierarch Gabriel laid focus on the basic concept of Christian Ethics – Freedom, which forms the heart of his model of moral education. If man and God are related only by the rational soul, the ideal of man should be the upbringing and development of the rational soul in his person, so that the freedom of will and choice given by God will be guided by rational decisions and actions. And here naturally arises the problem of honesty, which is opened in a person in accordance with self-love, self-respect, dignity, the height of human nature and the memory of glory. According to Holy Hierarch Gabriel, this is essence of pure Christian self-love. The concepts of freedom of choice and “sound faith” are analyzed. “Sound faith” is a culture of belief. The main and essential sign of sound faith is love opposed to hate. There are critically understood fanaticism and superstition; the last one usually coexists with fanaticism and is very often cured in it as ignorance and its disguise, pathological mysticism and mania grandiose, to which arrogance and love of government give rise. They are a pattern of perverted religious consciousness.

On the field of Christian ethics, moral education has a special load. Moral education is systematically analyzed as an important part in the formation of moral self-awareness. In addition to that, by introducing applied psychology techniques into this system, St. Gabriel’s mode of moral education opens up a wholly new dimension in solving the problem. The presentation draws parallels with the intellectual heritage of St. Antim the Iberian and with contemporary thinkers: Wundt, Coulianus, Zizioulas.

პროფ. კორნელი დანელია ძველი ქართული  
ენის ბრუნვების შესახებ

PROF. KORNELI DANELIA ABOUT THE CASES  
OF NOUNS IN OLD GEORGIAN

რუსუდან ზეკალაშვილი  
Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კორნელი დანელია, ძველი ქართული ენა,  
ბრუნება, წრფელობითი ბრუნვა, მიმართულებითი ბრუნვა  
**Keywords:** Korneli Danelia, Old Georgian language, declension,  
absolutive (predicative) case, directional (additive) case

პროფ. კორნელი დანელიას საკვლევო ინტერესების სფერო მრავლისმომცველი იყო. ზ. ჭუმბურიძე მას უწოდებდა „მახვილი კრიტიკული ალღოს მქონე ტექსტოლოგს“. გარდა ძველი ქართული ტექსტების ღრმა მეცნიერული ანალიზისა და გამოცემებისა, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი შრომები ძველი ქართული ენის სტრუქტურისა და ქართული სამწერლობო ენის ისტორიაში.

პროფ. კ. დანელიას სამეცნიერო მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის კვლევა. მან შეისწავლა მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკოლოგიის ბევრი აქტუალური საკითხი. ამ ნაშრომებს ყოველთვის გამოარჩევდა ღრმა ანალიზი, დამატებული არგუმენტაცია და ხედვის ორიგინალურობა.

ალსანიშნავია კ. დანელიას სტატიები ძველი ქართული ენის ორი სპეციფიკური ბრუნვის – წრფელობითისა და მიმართულებითის – შესახებ.

როგორც ცნობილია, წრფელობითი (absolute) ბრუნვა მხოლოდ ძველქართულსახასიათებლად დაახალქართულში აღარ გვხვდება. მას არ აქვს ბრუნვის ნიშანი, ამიტომაც უწოდებდა ა. ჩიქობავა გაუფორმებელ ფუძეს, ხოლო ნ. მარი – გაუფორმებელ ბრუნვას (გერმანულად – Stammkasus ანუ „ფუძისეული ბრუნვა“). ენათმეცნიერთა შორის სადავო გახდა, ჩაითვალოს თუ არა წრფელობითი დამოუკიდებელ ბრუნვად ძველ ქართულში (მაგალითად, ზ. სარჯველაძე ფიქრობდა, რომ წრფელობითს სახელობითისგან განსხვავებული სინტაქსური ფუნქციები არ გააჩნდა და მათი ურთიერთჩანაცვლებით არ იცვლებოდა არც წინადადების სტრუქტურა, არც შინაარსი).

პროფ. კ. დანელიამ 1992 წელს თავის სტატიაში დაწვრილებით განიხილა წრფელობითი ბრუნვის საკითხი, მისი შესწავლის ისტორია, გამოყენების შემთხვევები და სინტაქსური ფუნქციები. ის იზიარებდა ივ. იმნაიშვილის მოსაზრებას წრფელობითის 9 ფუნქციის შესახებ, რომელთაც ყოფდა სამ ჯგუფად: 1. ფუნქციები, რომლებიც უკვე თითქმის დაკარგული აქვს წრფელობითს (გამოყენება გარემოებად და მიმართვად); 2. ფუნქციები, რომლებიც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს (გამოყენება შემასმენლისად; ქვემდებარისა და პირდაპირი ობიექტის გამოხატვა შეზღუდული დისტრიბუციით); 3. ფუნქციები,

რომლებიც მხოლოდ წრფელობითს აქვს (რთული ზმნის სახელადი ნაწილის ფორმა).

მეცნიერს მართებულად მიაჩნია წრფელობითი ბრუნვის ცალკე გამოყოფა და არ იზიარებდა თვალსაზრისს სახელობითისა და წრფელობითის იგივეობაზე, რადგან მათი ურთიერთიანაცვლება ყოველთვის ვერ ხერხდება; თანაც, არც ფონეტიკურ ფაქტორს მიიჩნევდა ამ ორი ფორმის განსხვავების მიზეზად (შდრ. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნების ფონეტიკურად შეპირობებული სხვაობა). კ. დანელიას აზრით, ამ ბრუნვას შენარჩუნებული ჰქონდა თავისი უძველესი ფუნქცია – „სახელდებითობა“ და შეუცვლელი იყო რამდენიმე შემთხვევაში: 1. რქუმა-წოდებისა და 2. ყოლა-ქონების ზმნებთან, 3. შედგენილ შემასმენელთან, 4. რთულ ზმნებთან.

სტატიის ავტორი ხაზს უსვამდა, რომ V-IX სს-ების სამწერლობო ქართულში წრფელობითი დამოუკიდებელი ბრუნვა იყო და ფორმობრივი და ფუნქციური დისტრიბუციით ასაბუთებდა მის განსხვავებას სახელობითისგან. ამას გარდა, დამაჯერებლად იხილავდა ამ ბრუნვის დაკარგვის მიზეზებს.

რაც შეეხება **მიმართულებითს** (ე. წ. ადიტივს), რომელიც ა. შანიძემ 1976 წელს გამოყო ცალკე ბრუნვად, კ. დანელიამ დანვრილებით განიხილა ეს ფორმა (1995 წ.), ბრუნვის შესწავლის ისტორია, ფუნქციები, მიმართება ნათესაობითსა და ვითარებით ბრუნვებთან, **-დ** და **-ად** ნიშნების დისტრიბუცია (ამას გარდა, **-და**, **-ა** დაბოლოებები; **-ისა** – თანხმოვნიან ფუძეებთან, **-ისა** – ხმოვნიან ფუძეებთან, ხოლო **-თა** – მრ-ში). როგორც მეცნიერი აღნიშნავდა, სტატიის დაწერისთვის მას ბიძგი მისცა ჰ. ფოგტის ნაშრომმა „ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში“.

კ. დანელია ფიქრობდა, რომ ძველ ქართულში მიმართულებითი დამოუკიდებელ ბრუნვად არსებობდა და მისი ნიშანი იყო **-დ**, რომ ეს ფორმა მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი იყო, რომელსაც დაკარგული ჰქონდა საზღვრული და უჩვენებდა მიმართულებას პიროვნებისკენ. მართალია, ბრუნვის ნიშანი რამდენიმეა, მაგრამ ხერხდება მათი საერთო წარმომავლობის დადგენა. რაც შეეხება მიმართულებითის **-ისა**-ს (-ისა+დ) და ნათესაობითის სავრცობიან დაბოლოებას **-ის-ა**, კ. დანელიას ისინი არ მიაჩნია ერთმანეთისაგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ ბრუნვებად, რადგან, -ისა დაბო-

ლოების მქონე ფორმა არაა ორგანული, დამოუკიდებელი მიმართულებითი ბრუნვა.

დასახელებული ორი სტატიის მიხედვით გამოიკვეთა მკვლევრის დამოკიდებულება გრამატიკის საკვანძო საკითხთან: როგორ უნდა დადგინდეს ძველ ქართულში ბრუნვათა რაოდენობა, რომელ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს ლინგვისტი, რომ ბრუნვა მიიჩნიოს დამოუკიდებლად, ბრუნების პარადიგმის ცალკე წევრად. მისთვის გადამწყვეტი იყო ბრუნვის მორფოლოგიური ნიშნისა და ფუნქციის ერთობლიობა და არა მხოლოდ ფუნქცია.

პროფ. კ. დანელიას აღნიშნული შრომები კიდევ ერთხელ მოწმობს მკვლევრის დიდ ენათმეცნიერულ ალღოს და ღრმა არგუმენტირებულ მსჯელობაზე დამყარებულ უტყუარ დასკვნებს.

The sphere of linguistic interests of Professor Korneli Danelia, the well-known Georgian linguist, was wide and included several important issues. Prof. Zurab Chumburidze named Prof. Korneli Danelia “the textologist (linguist of textual study) with sharp critical intuition”. Besides the profound scientific analysis of the Old Georgian written texts, he was one of the best specialists in the sphere of textual study. His scientific analysis involved not only linguistics but also the spheres of history and structure of the Georgian literary language and the data of his work are particularly essential.

One of the most important points of the scientific work carried out by Prof. Korneli Danelia is seen in the research work devoted to the grammatical structure of the Old Georgian language. The scientist also studied several problems of the Old Georgian language, and its grammatical structure (morphology and syntax). The original scientific viewpoints distinguish his works. His articles are devoted to very specific characteristic cases of the Old Georgian nouns, which are known in linguistics as ***ts’rfelobiti*** and ***mimartulebiti***, in the meaning absolute and directional.

It should be noted that the case named **‘absolute’** or **‘predicative’** („*ts’rfelobiti*“) is characteristic of only the Old Georgian language. This case does not have a marker. It does not exist in Modern Georgian. It was the reason for the fact that Arn. Chikobava called this case **‘a non-formed base’**

and N. Marr, in his turn, also called it an **'unformed case'**. (In German, this case is known as **'stem-case'** – Stammkasus). This became a point of judging among the linguists whether it was right to consider the case „ts'rfelobiti“ as an independent case in Old Georgian or not. Instead, the scientist Zurab Sarjveladze considered that this case could be independent in Old Georgian. The linguist thought that this case did not have any syntactic features, as far as its existence or absence did not have any impact either on the structure or meaning (content) of a sentence.

In 1992, Prof. Korneli Danelia discussed in detail the issue known as the **absolute** case, in his scientific article, observing thoroughly the history of its study, the examples of its usage, and its syntactic functions. Korneli Danelia shared the opinion of **Iv. Imnaishvili**, about nine functions of that case which he divided into three groups: 1. The functions that the absolute case had almost lost (its usage in the role of the circumstance or the role of addressee). 2. The functions which are still retained (for example, using it as a predicate or as a direct object, within the limited frame of distribution); 3. The functions that are characteristic only of that case, as we call it absolute (e.g. as a form of the nominal part of the compound verb).

According to the opinion of K. Danelia, the above-mentioned case retained its ancient important function – the function of 'naming' and was irreplaceable in some cases: 1. With the verbs of naming and ranking (*rkuma*); 2. With the verbs of possessing (*having*); 3. In case of the compound predicate; 4. With the complex verbs.

So, Korneli Danelia considered it right to separate the *absolute case* (he did not share the opinion about the equality of *absolute* case with the *nominative case* (sakhelobiti) and also separate those cases named which cannot always be mutually interchangeable, and additionally he did not consider the phonetic factor as important in separating two forms of the same verb (for example, the phonetically conditioned difference between the case markers of the *genitive case*).

In his work, the scientist especially underlines the fact that, as it is seen in the Georgian written texts of the 5th-9th centuries, the above-mentioned case was independent. The scientist reveals that it can be an independent case and it differs from the *nominative* by its usage in the

written texts through its own formal and functional distributions. K. Danelia also discusses the causes of its disappearance.

As for the case named **directional**, showing direction (also known as **additive**), it was separated as a case form by A. Shanidze in 1976; then this form was explored by K. Danelia in detail (in 1995), namely, the research history of this form, of relations between the genitive and circumstantial functions as well as distribution of **-d** and **-ad** in the stems and besides, the ending **-isa** with the consonant-stem, and the endings **-da, a; -isa** – with the vowel-stem, for plural – with the ending **-ta**. K. Danelia noted that the linguist H. Fogt in his work “Case System of the Georgian Language” gave him a thrust to write an article about the hypothesis that in the Old Georgian language, there could be a special case denoting direction with the help of a marker, namely which was **-d**. This hypothetical case could once have been a type of directed determinator which had lost its determined showing direction towards a person. The markers of declension are of several types, but it is possible to determine their origin. As for the **-isa (isa-d)** endings, K. Danelia did not consider them as separate independent cases. In his opinion, the form with the ending **-isa**, is not the organic form, so it is not the independent form. According to the two articles mentioned above, the researcher’s attitude toward the important issues became clear. Their importance is especially related to the issues of how the number of cases in the Old Georgian language should be stated, and which criteria should a linguist rely on while stating that the case of the noun is independent, that it is a separate member of the paradigm. For him the unity of the morphological marker and function of the case was decisive and not only its function. The above-discussed works by Prof. K. Danelia, once more testify to an outstanding linguistic intuition of the researcher and his credible conclusions based on argumentative reasoning.



# როგორ ჩამოყალიბდა „საქმე მოციქულთას“ ეფრემ მცირისეული რედაქცია?

## HOW WAS EPHREM MTSIRE'S EDITION OF "THE ACTS OF THE APOSTLES" FORMED?\*

დარეჯან თვალთვაძე

Darejan Tvaltvdze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ახალი აღთქმის წიგნთა ძველი ქართული თარგმანი, საქმე მოციქულთა, ეფრემ მცირე, ტექსტის ჟანრობრივი ტრანსფორმაცია

**Keywords:** Old Georgian translation of the books of the New Testament, Acts of the Apostles, Ephrem Mtsire, genre transformation of the text

---

\* კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში (SRNSFG. FR-21-7518).  
The research has been implemented within the grants project (SRNSFG. FR-21-7518) of Shota Rustaveli National Science Foundation.

„საქმე მოციქულთა“ ქართულ ენაზე ადრევე, სახარება-ოთხთავის თარგმნის ახლო ხანებში (IV-V სს), უნდა ეთარგმნათ. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების შესწავლის შედეგად მისმა გამომცემელმა, ილია აბულაძემ, აღნიშნული ტექსტის რედაქტირების 4 ეტაპი და, შესაბამისად, 4 რედაქცია (ABCD) გამოყო. მათგან პირველი ორი (AB) ძველი, წინაათონური პერიოდისაა, C – გიორგი მთაწმიდლისა (ათონური), ხოლო ბოლო – D რედაქცია, ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება. ამ უკანასკნელს, რომელიც ი. აბულაძის გამოცემაში 3 ხელნაწერთაა წარმოდგენილი, სხვა რედაქციებისაგან განსხვავებული ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ D რედაქცია ეფრემ მცირისეულად მიიჩნევა, სინამდვილეში იმ სახით, რა სახითაც ის ეფრემის რედაქციის „სამოციქულოს“ შემცველ ხელნაწერებშია წარმოდგენილი, მთარგმნელს არ შეუქმნია; მეტიც, ამ ბიბლიური წიგნის ხელახლა თარგმნა-რედაქტირება ეფრემის მიზანს არც წარმოადგენდა, ის ეგზეგეტიკურ თხზულებას („სამოციქულოს თარგმანებას“) თარგმნიდა, მაგრამ თარგმნის პროცესში სათარგმანებელი ტექსტის (კიმენის) და მისი კომენტარის (თარგმანების) შეუსაბამობამ ეფრემი აიძულა, ბიბლიური ტექსტის გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი ალაგ-ალაგ გაესწორებინა. შესწორებული ადგილები ეფრემმა ტექსტში საგანგებოდ მონიშნა და თარგმანზე დართულ ანდერძში დაბეჭიტებით ითხოვა გადამწერთაგან, რომ *„სამოციქულოსა ამათ თაჩგმანთაგან ცვალებუდი სიგყუად აჩა ვინ ჩაჰხითოთო“*, მაგრამ მისი თხოვნა არ იქნა გათვალისწინებული. ძველმა მწიგნობრებმა ეფრემის მიერ კორექტირებული ადგილები ჯერ ეგზეგეტიკური თხზულების კიმენის ტექსტში შეიტანეს და ეფრემის მიერ ხელუხლებლად დატოვებული „საქმე მოციქულთას“ გიორგისეული ვერსიის ტექსტი ეფრემის „უსაკუთრესი“ ვარიანტით შეცვალეს, შემდეგ კი – „საქმე მოციქულთას“ ამგვარად რედაქტირებული ტექსტი ცალკე ამონერეს და მას ბიბლიური წიგნის სახე მისცეს.

ეგზეგეტიკური თხზულების ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული და ეფრემ მცირის რედაქციის სახელით ცნობილი „საქმე მოციქულთას“ D რედაქცია ოთხი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული: A-137 (G); A-677 (H); K-4 (I) და A-482 (P), რომლებიც ეფრემისეული შესწორებების ასახვის თვალსაზრისით ორ ქვეჯგუფს

ქმნიან: HI ნუსხებში უფრო მეტად არის გაზიარებული ეფრემისეული შესწორებები, ხოლო GP ნუსხებში – ნაკლებად; რასაკვირველია, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ეფრემის მიერ უსაკუთრესად მიჩნეული წაკითხვები ასახულია ოთხივე ხელნაწერში.

“The Acts of the Apostles” must have been translated in the early period adjacent to the translation of the Gospels (4th-5th centuries). As a result of the analysis of the preserved manuscripts, their editor Ilia Abuladze identified 4 stages of editing of the above-mentioned text; hence, he distinguished 4 versions (ABCD). Out of these, the first two (AB) are of the old, pre-Athonite period, C is the version of George the Hagiorite (Athonite), whereas the final version D is related to the name of Ephrem Mtsire’s (Ephraim the Lesser). The history of the latter version, represented in I. Abuladze’s publication by 3 manuscripts, differs from that of other versions. Despite the fact that version D is considered to have been created by Ephrem Mtsire, it was not created by the translator in the form in which it is represented in the manuscripts containing “The Acts of the Apostles” edited by Ephrem Mtsire. Moreover, it was not the aim of Ephrem Mtsire to re-translate and re-edit this Biblical book. Ephrem Mtsire was translating an exegetic work (“Explanation of the Acts of the Apostles”). However, in the process of translation, he found certain discrepancies between the original text (keimenon) and its comments (explanations). This made Ephrem correct certain places in George the Hagiorite’s translation of the Biblical text. Ephrem marked the corrected places in the text, and, in the comments appended to the translation, he insisted that the copiers “*should not make any changes in the given translation of the “Acts of the Apostles”*”. Yet, his request was not taken into account. The copiers/editors inserted the places corrected by Ephrem in the Keimenon text of the exegetic work. Besides, they replaced George the Hagiorite’s version of “The Acts of the Apostles”, untouched by Ephrem Mtsire, with Ephrem’s version proper. Later, they made a separate copy of the edited text of “The Acts of the Apostles” and presented it in the form of a Biblical Book.

Version D of the “Acts of the Apostles”, developed as a result of the above-mentioned transformation and known under the name of the version

of Ephrem Mtsire, has reached us in the form of four manuscripts: A-137 (G); A-677 (H); K-4 (I) and A-482 (P). With regard to Ephrem's corrections, these manuscripts form two subgroups: Ephrem's corrections are shared more in the Codices HI and less in the Codices GP. Naturally, there are cases where the readings considered as Ephrem's proper are reflected in all the four manuscripts.

პროზაული მინიატურის ჟანრი  
რუსულ ლიტერატურაში  
(XX საუკუნის მეორე ნახევარი)  
THE GENRE OF PROSE MINIATURE  
IN RUSSIAN LITERATURE  
(SECOND HALF OF THE 20TH CENTURY)

მაია თუხარელი  
Maya Tukhareli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მცირე ფორმების ესთეტიკა, მცირე  
პროზა, მინიატურების ჟანრი, პროზაული მინიატურა, ი.  
ბონდარევის მინიატურები, ვ.ასტაფიევის მინიატურები  
**Keywords:** aesthetics of small forms, small prose, genre of miniatures,  
prose miniature, Y. Bondarev's miniatures, V. Astafiev's  
miniatures

თანამედროვე რუსულ პროზაში უფრო მკაფიოდ ვლინდება მინიმალიზმისკენ მიდრეკილება, რასაც მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, ხოლო მინიმალიზმში იგულისხმება არა მხოლოდ მცირე ფორმების ესთეტიკა (ფორმები შეიძლება იყოს მსხვილი), არამედ მცირე ესთეტიკაც, „მინიმუმი“. აღნიშნული ტენდენციის ერთ-ერთი განსაკუთრებული გამოვლინებაა მცირე პროზის აყვავება მისი ფორმებისა და ვარიანტების მრავალფეროვნებით. თანამედროვე ლიტერატურაში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა პროზაული მინიატურების ჟანრმა.

ზემოხსენებული ჟანრი ტრადიციულია რუსული ლიტერატურისთვის. XIX საუკუნეში და ადრეულ XX საუკუნეში მას მიმართავდნენ ი. ს. ტურგენევი, ი. ბუნინი და ვერცხლის საუკუნის მრავალი მწერალი. რუსული ლიტერატურის განვითარების საბჭოთა პერიოდში მინიატურა, ისევე როგორც ყველა სხვა არაკანონიკური ფორმა, დიდი ხნით გაქრა წიგნებიდან და ჟურნალებიდან. მინიატურა მხოლოდ 60-80-იან წლებში დაბრუნდა და მას შემდეგ ის მუდმივი პოპულარობით სარგებლობდა.

მიუხედავად ჟანრის დიდი პოპულარობისა, მინიატურა ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. ცალკეული ავტორების მინიატურების მხატვრულ თავისებურებებს ეძღვნება ვ. კორობოვის, ე. გორბუნოვას, ვ. კურბატოვის, ა. ტურკოვას, გ. ბ. კურლიანსკაიას ნამუშევრები; იუ. ორლიცკის სტატიებში განიხილება მხოლოდ ჟანრის ფორმირების ისტორია, მაგრამ არ შეგხვდებათ პუბლიკაციები, რომლებიც ეძღვნება მინიატურების ჟანრობრივი თავისებურებების ანალიზს.

სამეცნიერო კვლევა არ განასხვავებს მინიატურას, როგორც ჟანრს, მინიატურა აღიქმება როგორც ნოველა, თხზულება ან მოთხრობა, მაგრამ ძალიან შეკუმშული ფორმით. 80-90-იან წლებში ტერმინი „მინიატურა“ სულ უფრო ხშირად გამოიყენება როგორც კონკრეტული ჟანრის სახელწოდება. ვ. ი. ხალიზევი გამოყოფს ჟანრის სტრუქტურების ორ ტიპს: პირველი – მზა, მყარი, დასრულებული კანონიკური ჟანრები (მაგალითად, სონეტი), ხოლო მეორე – არაკანონიკური ჟანრის ფორმები: მოქნილი და ღია ავტორის ინდივიდუალური ინიციატივის გამოვლინებისთვის (მაგალითად, ელეგია). მკაცრი ჟანრული კანონების არარსებობა განსაზღვრავს

ინდივიდუალურ ავტორისეული მინიატურის მოდელების მრავალფეროვნებას. როგორც ჟანრი, მინიატურა უცებ არ გაჩენილა. მრავალი წლის განმავლობაში ითვლებოდა, რომ ი.ს. ტურგენევის მინიატურები (ლექსები პროზაში), შესაძლოა, იყოს ამგვარი ტიპის ერთადერთი პრეცედენტი რუსულ კლასიკაში, მაგრამ წარმატებული პრეცედენტი, და ამ წარმატებას მხოლოდ ერთმა მწერალმა მიაღწია. 21-ე საუკუნის ლიტერატურისთვის მინიატურები ტურგენევის სტილში შეუსაბამო და მიუღებელია, და კრიტიკოსები დღესაც კამათობენ იმაზე, თუ რა უნოდონ მათ სწორად.

მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში ჟანრმა აშკარა ზრდა განიცადა, მაგრამ უფრო რაოდენობრივი, ვიდრე ხარისხობრივი, რამაც მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია საუკუნის დასაწყისის მრავალი მწერლის მოკლე პროზის მიმართ. ჟანრის ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითები აქ ეკუთვნის ი. ბუნინს, რომელმაც 1930-იანი წლების დასაწყისში, თავისი ადრინდელი ცდების შემდეგ, შექმნა მინიატურების დიდი ციკლი და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული პატარა მოთხრობები „ღვთის ხე“. რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში მინიატურის ჟანრის შესაძლებლობებისადმი ახალი ინტერესი გაჩნდა 1960-1990-იან წლებში (ს. შჩიპაჩოვი, ო. კოლიჩევი, პ. ანტოკოლსკი, ვ. ბოკოვი, რომლებმაც დაიწყეს პროზაული მინიატურების შეტანა საკუთარ პოეზიის ნაკრებებში). 90-იან წლებში მინიატურა აქტიურად ვითარდება და „ახალგაზრდა“ ავტორები სულ უფრო ხშირად მიმართავენ მას. იუ. ორლიცკი აღნიშნავს თანამედროვე პროზაული მინიატურების შემდეგ მახასიათებლებს: თუ ადრე მასში ლირიზმი ჭარბობდა, ახლა მინიატურა შეიძლება იყოს ნარატიულიც, ლირიკულიც და დრამატულიც; და ესეისტურიც, ფილოსოფიურიც და იუმორისტულიც.

პროზაული მინიატურების ჟანრს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იუ. ბონდარევის შემოქმედებაში. დროდადრო პერიოდულ გამოცემებში ჩნდებოდა მოთხრობები, ლიტერატურული და ჟურნალისტური სტატიები და ძალიან მოკლე ნოველები, რომლებიც თავდაპირველად ქვესათაურით „გვერდები უბის წიგნაკიდან „გამოდოდა. 1977 წელს გამოიცა ცალკე კრებული სახელწოდებით „წამები“, რომელიც რამდენჯერმე ხელახლა გამოიცა ახალი მინიატურების დამატებით.

პირველთა შორის გამოჩნდა ვ. ასტაფიევის მინიატურები, ჯერ პერიოდულ გამოცემებში 60-იან წლებში, ხოლო 1972 წელს გამოიცა მოთხრობებისა და მინიატურების კრებული „ზათესი“, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა, ახალი მინიატურების დამატებით. თავისებური, „არატურგენევისებური“ სათაური მიზნად ისახავს გამოკვეთოს ამ წიგნის დაწერის მთავარი იდეა – ცალკეული ნაწარმოებები წიგნიდან – მინიშნებები გახსენებისთვის.

ახალ საუკუნეზე და ახალ ათასწლეულზე გადასვლა, რომელიც დაკავშირებულია ფასეულობების გადაფასებასთან, შედეგების შეჯამებასთან, ადამიანთა საზოგადოების მუდმივად მზარდი ცხოვრებისა და განვითარების ტემპი, მუდმივად ცვალებადი გარემოს რეალობის გაგების აუცილებლობა და შეუძლებლობა – ეს მხოლოდ რამდენიმე მიზეზია, რამაც გამოიწვია მცირე ჟანრების სწრაფი განვითარება მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში როგორც რუსულ, ისე უცხოურ ლიტერატურაში, როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში, ხოლო მინიატურა განსაკუთრებით პოპულარულია მცირე ჟანრებს შორის.

In modern Russian prose, the trend towards minimalism is becoming more and more evident, as noted by many researchers, and, moreover, minimalism is understood not just as the aesthetics of small forms (forms can also be large), but as the aesthetics of the small, the “minimum”. One of the private manifestations of this tendency is the blossoming of small prose in all its variety of forms and variants; the genre of prose miniature has become especially popular in modern literature.

This genre is traditional for Russian literature. In the 19th and early 20th centuries it was addressed by I. S. Turgenev, I. Bunin, and many writers of the Silver Age. In the Soviet period of Russian literature, miniature, like all other non-canonical forms, disappeared from books and magazines for a long time. Miniature reappeared only in 60-80 years and has enjoyed unchanged popularity since then.

Despite such great popularity of the genre, the miniature is still little researched. The works of V. Korobov, E. Gorbunova, V. Kurbatov, A. Turkova, G. B. Kurlyandskaya discuss the artistic features of miniatures by individual authors. Articles by Yu. Orbitsky discuss the history of genre formation,



but there are no publications devoted to analyzing the genre features of miniatures.

Scientific studies do not single out the miniature as a genre; the miniature is understood as a novella or a short story, but in a highly condensed form. In the 80-90s the term “miniature” is increasingly used as a name of a certain genre. V. E. Khalizev distinguishes two kinds of genre structures: first, ready-made, firm, completed canonical genres (e.g., sonnet), and, second, non-canonical genre forms: flexible, open for the manifestation of individual-authorial initiative (e.g., elegy). The absence of rigid genre canons determines the diversity of individual-author models of miniature. As a genre, the miniature was not formed at once. For many years it was considered that the miniatures (prose poems) of I.S. Turgenev were almost the only precedent of this kind in the Russian classics, and the precedent was successful, but it was successful only for one writer. For the literature of the 21st century, miniatures in the spirit of Turgenev are irrelevant and impossible, and critics are still arguing about the correct way to call them.

In the first decades of the 20th century, the genre experienced a clear flourishing, though more quantitative than qualitative, which caused a sharply negative attitude to the short prose of many writers of the beginning of the century. The most significant examples of the genre belong here to I. Bunin, who in the early 1930s, following his earlier experiments, created a large cycle of miniatures and closely adjoining small stories “God’s Tree”. A new surge of interest in the possibilities of the miniature genre in Russian Soviet literature occurred in the 1960s and 1990s (S. Shchipachev, O. Kolychev, P. Antokolsky, V. Bokov, who began to include prose miniatures in their own books of poetry). In the 1990s, the miniature continues to develop actively, with “young” authors turning to it more and more often. Y. Orbitsky notes the following features of the modern prose miniature: if earlier it was dominated by lyricism, now the miniature can be narrative, lyrical, dramatic, essayistic, philosophical, and humorous.

The genre of prose miniature in the works of Y. Bondarev occupies a special place. From time to time, stories, literary journalism and very short novellas appeared in the periodical press, which at first were accompanied by the subtitle “Pages from a notebook”. In 1977, a separate collection called

“Moments” was published, which was reprinted several times, including all new miniatures.

Miniatures of V. Astafiev appeared among the first, first in periodicals in the 60s, and in 1972 a collection of stories and miniatures “Zatesi” was published, which was then repeatedly reprinted, including all new miniatures. The peculiar, “non-Turgenev’s” title is meant to indicate the main idea of writing this book – individual works from the book are clues for memory.

The transition to a new century and a new millennium, associated with a reassessment of values, summarizing the results, the ever-increasing pace of life and development of human society, the need and impossibility to realize the ever-changing surrounding reality – these are just some of the reasons for the rapid development of small genres in the last decades of the twentieth century in both Russian and foreign literature, both in poetry and prose, and the miniature is especially popular among small genres.

დიმიტრი უზნაძე რუსეთის ისტორიის  
პერიოდიზაციაზე

DIMITRI UZNADZE ON THE PERIODIZATION  
OF THE RUSSIAN HISTORY

მერაბ კალანდაძე

Merab Kalandadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** დიმიტრი უზნაძე, რუსეთის ისტორიის  
პერიოდიზაცია

**Keywords:** Dimitri Uznadze, periodization of the Russian history

1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საქმეში ეტაპობრივი მოვლენა იყო. ახალდაარსებული რესპუბლიკისა და უნივერსიტეტის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა მსოფლიო ისტორიის მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხი. ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიო ისტორიის კვალიფიცირებული ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე. ამიტომ განსაკუთრებით აქტუალური შეიქნა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის საკითხი. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება სახელმძღვანელოების ბუმი 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, მაგრამ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მრავალი კარგი წამოწყება დაუსრულებელი დარჩათ, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ პროცესმა სულ სხვა ხასიათი შეიძინა.

ჩვენ ვაგრძელებთ ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის წვლილის შესწავლას, რომელიც საბჭოთა წლებში ტაბუდადებული თემა იყო და კადრს მიღმა რჩებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ეს საშუალებას გვაძლევს, მისი საქმიანობის კიდევ ერთი საინტერესო ნახნაგი წარმოვაჩინოთ, რომელიც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოარკვიოს ერთი კონკრეტული საკითხი, როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის პოზიცია რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე. ამ რაკურსით, ეს საკითხი შესწავლილი არ ყოფილა და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მასზე საგანგებო ყურადღება გავვემახვილებინა. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

თავის ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელიც მან დაწერა ივანე გველესიანთან ერთად, ის, ბუნებრივია, ჩერდება რუსეთის ისტორიაზე და შეძლებისდაგვარად განიხილავს მას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სახელმძღვანელოს დადებით მხარეს წარმოადგენს. აქ საუბარია რუსეთის ახალი

ისტორიის ერთ მოზრდილ მონაკვეთზე, რომელიც იწყება XV საუკუნის მიწურულს და მთავრდება XVII საუკუნის ბოლოს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სახელმძღვანელოს ერთ-ერთ საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. XVIII-XIX საუკუნეების ისტორია სახელმძღვანელოში გაშუქებული არის გაცილებით უფრო სუსტად, მკრთალად, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს პირველ გამოცემაში 1918 წელს რუსეთის ისტორია საერთოდ შეტანილი არ ყოფილა. მეორე გამოცემაში ეს გარემოება, როგორც ჩანს, გათვალისწინებულ იქნა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და ერთგვარი სიახლეა.

სახელმძღვანელოში რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი, ცხადია, სპეციალურად განხილული არ გახლავთ და სკოლის სახელმძღვანელოში ამის გაკეთება არც იყო აუცილებელი, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით ამ საკითხზე მინიშნებას, უეჭველად დავინახავთ, ის კარგად იკითხება. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური, ამიტომ ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს, ვცადოთ, გამოვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ საკითხისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება. ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის გამო კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. გამოვთქვამთ მხოლოდ ჩვენს ფრთხილ ვარაუდს. საქმე ეხება რუსეთის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის საზღვრის დადგენას. საკითხი გახლავთ საინტერესო და აქტუალური.

ეს თემა, შევეცდებით, განვიხილოთ ორი კუთხით: როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციაზე, როგორ ესახებოდა მიჯნად რუსეთის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის და როგორ შეიძლება შეფასდეს მათი პოზიცია.

სახელმძღვანელოში რუსეთის ისტორიის თხრობას ისინი იწყებენ XVI საუკუნიდან, კონკრეტულად კი, ივანე IV (მრისხანეს) მმართველობიდან (1533-1587). ამგვარ ნაბიჯს აქვს თავისი რეზონი, აზრი და რუსეთში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უკავშირდება, რომელიც ხშირად სწორედ ივანე IV

(მრისხანის) სახელთანაა დაკავშირებული. შესაძლებელია, მათ სწორედ ივანე IV (მრისხანის) მმართველობა ესახებოდათ მნიშვნელოვან ნიშანსვეტად რუსეთის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის, ასეთ მიდგომას აქვს არსებობის უფლება. შეიძლება იყოს სხვა ვერსიაც, გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ასეთ მიჯნად მათ შეიძლება ესახებოდათ XV საუკუნის მიწურული, კონკრეტულად კი, 80-იანი წლები. 1480 წელს რუსეთი გათავისუფლდა მონღოლ-თათართა ბატონობისაგან. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის სახელმწიფო შეუდგა დამოუკიდებელ ფუნქციონირებას. ეს მნიშვნელოვანი ზღვარი იყო. შესაძლოა, ეს თარიღი ესახებოდათ მათ რუსეთის შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის წყალგამყოფად. ეს მეორე ვერსია შეიძლება იყოს.

ჩვენი აზრით, ამ ორი ვერსიიდან პირველი ვერსია უფრო რეალური შეიძლება იყოს, ვიდრე მეორე. თუ ამ რეალობიდან გამოვალთ, მაშინ, პირადად ჩვენ, XVI საუკუნიდან, კონკრეტულად ივანე IV-ის დროიდან, ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით დანყება, დაგვიანებულად მიგვაჩნია. ასეთ მიჯნად რუსეთის ისტორიის ამ ორ ეპოქას შორის გვესახება XV საუკუნის ბოლო, კერძოდ, 1480 წელს მონღოლ-თათართა ბატონობისაგან რუსეთის გათავისუფლება. აქ კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს და უფრო გემოვნების საკითხია.

Dimitri Uznadze's contribution to historical science was completely forgotten in the Soviet period. This was due to the political opinions and ideology of the given epoch. The attitude of the Soviet authorities to the achievements of the Georgian Democratic Republic of 1918-1921 was, naturally, negative.

The given paper is historiographic and focuses on the issue of periodization of the Russian history by Dimitri Uznadze. The issue is topical, since it has not been analyzed in the scholarly literature so far. D. Uznadze's manual does not analyze the issue directly, but a deep insight into the manual reveals certain hints regarding the periodization of the new history of Russia. D. Uznadze's attitude is quite transparent and can be considered as one of the merits of his textbook.

Georgian historiography in general, and Dimitri Uznadze in particular revealed a correct attitude to the periodization of the world history. The end of the 15th century and the beginning of the 16th century was considered as a boundary between the medieval and new history. Historians spoke of major geographic discoveries, the Renaissance and Reformation. Uznadze himself considered these events decisive for the periodization of the Russian history. His position is quite logical. It should be mentioned that, prior to the Soviet occupation, Georgian historiography had a correct attitude to the periodization of the Russian history. D. Uznadze's attitude fully corresponded to the strict requirements of the historical science of this period.

In my opinion, Dimitri Uznadze shared a widespread view and considered the middle of the 16th century as the beginning of the new history of Russia. He regarded that the reign of Ivan IV the Cruel (1533-1584) formed grounds for the creation of a unified, centralized Russian state. This was an important turning point. The new history of Russia might have started a bit earlier, when Russia became free of the Tatar-Mongol occupation in 1480. This is my personal opinion. Yet, in this case, the given argument is not principal and it is just a matter of taste.





ანტიკური სკეპტიციზმის არსი  
THE ESSENCE OF THE ANCIENT SCEPTICISM

ნაპო კვარაცხელია  
Napo Kvaratskhelia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სკეპტიციზმი, პირონიზმი, ბერძნული  
სკეპტიციზმი, ეჭვი

**Keywords:** scepticism, pyrrhonism, Greek scepticism, doubt

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ ანტიკური სკეპტიციზმის ორ ძირითად განშტოებას – პირონიზმსა და ე.წ. აკადემიურ სკეპტიციზმს, რომლებიც წარმოიშვა პლატონის აკადემიაში. უკვე ბერძნულმა სკეპტიციზმმა მიუთითა შემეცნების თითქმის ყველა სიძნელეზე, რომლებიც შემდეგ მისი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ენეზიდემის მიერ ე.წ. ტროპების სახით იქნა ჩამოყალიბებული.

სკეპტიციზმი, როგორც ცნობილია, არის გარკვეული თვალსაზრისი, თავისებური ტიპის აზროვნება, რომელიც ეჭვის ქვეშაყენებს, საბოლოო ანგარიშით კი, უარყოფს ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას და, აქედან გამომდინარე, გარკვეულ ეთიკურ დასკვნამდე მიდის. ამ მხრივ იგი, როგორც თეორიული თვალსაზრისი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის პრაქტიკულ ყოფიერებასთან, საერთოდ ცხოვრების პოზიციასთან. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის, – და მას სპეციალურად ქვემოთ შევხებით, – ვინაიდან სკეპტიკოსებმა შემეცნების რაობის პრობლემა ორგანულად დაუკავშირეს ადამიანის რაობის, მისი ზნეობრივი დანიშნულების საკითხს და არსებითად სწორად განსაზღვრეს შემეცნების თეორიის ძირითადი ამოცანები და საბოლოო მიზანი.

სკეპტიციზმის დასაბამი ზოგიერთ მკვლევარს ჰომეროსთან გადააქვს. მიუთითებენ, აგრეთვე, შვიდ ბრძენთა, ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს და სხვა ფილოსოფოსთა ცალკეულ გამონათქვამებზე, რომლებიც უთუოდ შეიცავენ სკეპსისის ელემენტებს. სკეპტიციზმის ძლიერი ტენდენცია ყოფილა გაბატონებული დემოკრიტეს მონაფეებში. მაგალითად, ცნობილია ანაქსარქე აბდერელის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „მან ისიც კი არ იცის, რომ არაფერი არ იცის“ (წინააღმდეგ სოკრატეს ირონიის ცნობილი პრინციპისა, რომ „მან ის მაინც იცის, რომ არაფერი არ იცის“). როგორც ცნობილია, სკეპსისის თვალსაზრისით, უფრო შორს წავიდნენ სოფისტები. პროტაგორას ცნობილ დებულებაში „ადამიანი არის საგანთა საზომი“ ადამიანური ცოდნის აბსოლუტურად რელატიურ ბუნებაზეა მინიშნებული. სოფისტების მტკიცებით, ჩვენ არ გაგვაჩნია საგანთა შესახებ რაიმე მყარი და სარწმუნო ცოდნა, ვინაიდან სამყაროში ყოველივე მიწყვიც იცვლება და მიმდინარეობს. ძველ ავტორთა

ცნობით, პროტაგორას მოწაფე თრაზიმახეს, ადამიანის მიერ რაიმე ცოდნის უუნარობაში ღრმად დარწმუნებულს, თავისი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუმთავრებია.

მაშასადამე, სკეპტიციზმი, ამ სიტყვის შინაარსის ფართო მნიშვნელობით, ყოველთვის თან ახლდა ფილოსოფიურ აზროვნებას დასაბამიდანვე. სიტყვა „ფილოსოფიაში“ ძველმა ბერძნებმა იმთავითვე დაატანეს სკეპსის გარკვეული ელემენტი. თუ ადრე ადამიანის მიერ (ყოველ შემთხვევაში განსაკუთრებით გამორჩეულ და ზეგარდმო ნიჭით ცხებულ ადამიანთა მიერ) აბსოლუტური სიბრძნის მიღწევის შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევდა (ძველ ელინებს ყოველთვის ჰყავდათ 7 ბრძენი), უფრო გვიან ამგვარი შესაძლებლობა ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული და სიბრძნის ფლობა სიბრძნისმოყვარეობად შეიცვალა, შესაბამისად, ბრძენის ადგილი ფილოსოფოსმა დაიკავა. აღმოჩნდა, რომ ადამიანს, რაგინდ გამორჩეულიც არ უნდა იყოს ის, სიბრძნის საბოლოო დაუფლება კი არ შეუძლია, არამედ მხოლოდ მასთან მეგობრობა და მისკენ მარადიული სწრაფვა. ამიტომ ფილოსოფოსად შეიძლება იწოდოს კაცი, რომელსაც ეს მისწრაფება აქვს, ამ მისწრაფებით არის აღძრული, ამგვარი შემეცნებითი ინტერესის სტიქიაში ცხოვრობს. მაგრამ ეს უკვე ადამიანური შემეცნების შესაძლებლობებში ეჭვის შეტანას, მისი გონების უსაზღვრო შესაძლებლობებისადმი უნდობლობის წარმოშობას და აბსოლუტური სიბრძნის მიღწევის გზაზე გარკვეულ უკანდახევას მოასწავებდა.

Two main types of Ancient scepticism are differentiated in professional scientific literature – Pyrrhonism and the so-called academic scepticism which originated in Plato's Academy. The Greek scepticism pointed out almost all difficulties accompanying the process of cognition which were later formulated in tropes by its outstanding representative Aenesidemus.

Scepticism, as is known, is a certain opinion, a certain type of thinking that doubts and ultimately rejects the possibility of cognition of the world by a human being and, consequently, arrives at a certain ethical conclusion. In this respect, as a theoretical position it is closely related to a human's practical being, and his/her life position in general. This fact is especially important for us – and later we will discuss it in particular, – since the

sceptics organically linked the problem of the essence of cognition to the issue of human's essence, the problem of human's moral destination and, in the main, rightly stated the principal objectives and the ultimate purpose of the theory of cognition.

Some researchers look for the origins of scepticism in Homer. Others point to certain phrases belonging to the Seven Sages, Heraclitus, Democritus and other philosophers in which elements of scepticism are certainly given. It is said that a rather strong sceptic tendency dominated among the pupils of Democritus. For example, we know a phrase by Anaxarchus of Abdera stating that "he does not know even that he does not know anything" (opposing the well-known principle of Socrates's irony that "at least, he knows that he knows nothing"). As is known, Sophists went further regarding scepticism. There is a hint at an absolutely relative nature of human knowledge in a famous formula by Democritus "Man is a measure of things". Sophists argued that we have no firm and credible knowledge since everything constantly changes and flows. As ancient authors witness, Thrasymachus, a pupil of Protagoras, was absolutely convinced of humans' inability to know anything and put an end to his life by killing himself.

„ბედის“ სინონიმური რიგი  
იოსებ ყიფშიძის ლექსიკონში

A SYNONYMIC SET OF THE WORD “FATE”  
IN IOSEB KIPSHIDZE’S DICTIONARY

მაია ლომია

Maia Lomia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ბედისწერა, სინონიმური რიგი,  
კონცეპტუალიზაცია, მეგრული ენა, ლექსიკონი  
**Keywords:** fate, synonymic set, conceptualization, Megrelian  
language, dictionary

იოსებ ყიფშიძის მეგრული ენის გრამატიკა, მეგრული ტექსტების ქრესტომათია და „მეგრულ-რუსული ლექსიკონი“ 1914 წელს ერთ ნიგნად გამოიცა სანქტ-პეტერბურგში (Книшидзе 1914). ლექსიკონში „ბედის“ სინონიმური რიგი მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულებითაა წარმოდგენილი; ესენია: *იღბადი/ელბადი, ეხგი, მასქუხი, ყვამუ-ხიცხამი, ჭახა, ყვაიჭახა...*

მოხსენება ითვალისწინებს რამდენიმე ძირითადი საკითხის ანალიზს და შემაჯამებელი დასკვნების ჩამოყალიბებას; საანალიზო საკითხებია:

1. სინონიმური რიგის აღწერა და ამ რიგში შემავალი თითოეული ლექსიკური ერთეულის სტრუქტურული დახასიათება.
2. სინონიმური რიგის ერთეულთა სემანტიკის განსაზღვრა კონცეპტუალური თვალსაზრისით.
3. მეგრული მონაცემების შედარება ქართულ მასალასთან.

„ბედის“ კონცეპტუალური გააზრება, როგორც ცნობიერების უმნიშვნელოვანესი კატეგორიისა, აქტუალური საკითხია; საშურია მეგრული მასალის ანალიზი იოსებ ყიფშიძის მიერ შედგენილი ლექსიკონის მიხედვით (ლექსიკონზე მუშაობის, ლექსიკონის შედგენის პრინციპებიდან გამომდინარე). იგი ერთგვარად შეავსებს ქართულ ენასა და დისკურსში ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგებს (ომიაძე 2009) და წარმოაჩენს ქართველი კაცის ენობრივი ცნობიერების მრავალფეროვნებას.

მეგრული სალექსიკონო მასალის ანალიზის წინასწარი შედეგებიდან ჩანს, რომ „ბედის“ სინონიმური რიგის ერთეულებიდან ზოგი ნასესხებია ქართულისგან, ზოგი საკუთრივ მეგრული წარმოებისაა. შედგენილობის მიხედვით ზოგი მარტივია, ზოგი რთული – კომპოზიტური წარმოშობისაა, რომელთა შემადგენლობაში ვხვდებით ლექსემებს: *ყვა „შუბდი“, მუხიცხი „ვახსკვავი“* და სხვ. სიტყვის დადებით მნიშვნელობას განსაზღვრავს ქართული *-იან-* სუფიქსის ფარდი ქონების აფიქსი *-ამ-*.

Ioseb Kipshidze's Grammar of Megrelian Language, his Reader of Megrelian Texts and "Megrelian-Russian Dictionary" were published as a single book in Saint Petersburg in 1914 (Kipshidze, 1914). In the above-mentioned dictionary, the synonyms of "fate" are represented by diverse lexical units: *iɣbali / eɣbali, ert' i, maskuri, 'vamuricxami, c'ara, 'vaic'ara ...*

The paper analyzes several key issues and draws corresponding conclusions. The issues under analysis are as follows:

1. Description of the synonymic set and structural analysis of each lexical unit in this set;
2. Identification of the semantics of the units in the synonymic set from the conceptual viewpoint;
3. Comparison of the Megrelian data with the Georgian material.

Analysis of the concept of "fate" as an important mental category is a topical issue. Therefore, it is a pressing task to analyze the Megrelian material based on Ioseb Kipshidze's Dictionary (taking into account the rules and principles of compilation of dictionaries). The above-mentioned analysis will enrich the outcomes of research in the field of Georgian language and discourse (Omiadze 2009) and reveal the diversity of the linguistic consciousness of Georgians.

The preliminary results of analysis of the Megrelian dictionary material have proved that some of the synonyms of "fate" have been borrowed from Georgian, whereas others are of Megrelian origin. As for the structure of these lexical units, some of them are simple, while others are compounds consisting of the lexemes: *'va "forehead", muricxi "star"* etc. The positive connotation of the word is achieved by means of the possessive affix *-am-*, which is the correlate of the Georgian suffix *-ian-*.

Therefore, scepticism in a wide sense of this word always accompanied philosophical thinking since its origin. Ancient Greeks from the very beginning attached a certain element of scepticism to the word "philosophy". If at first the possibility of achieving absolute wisdom by a human being (at least by exceptional humans endowed with divine talent) did not raise any doubt (the ancient Greeks always had 7 sages), later such a possibility was doubted and possessing wisdom was changed into the love of wisdom.

Accordingly, the place of a sage was taken by a philosopher. It turned out that a human being no matter how distinguished he/she is cannot finally achieve wisdom, but he/she can only befriend it and constantly strive toward it. Therefore, we can call a human who has this striving, who is motivated by it and lives in the context of such cognitive interest, a philosopher. But it means doubting the cognitive abilities of humans, creating suspicion into unlimited abilities of his/her reason and a certain retreat on the way to reaching absolute wisdom.



ეგნატე ნინოშვილის პოლიტიკურ-  
მსოფლმხედველობრივი მრწამსის  
განსაზღვრისათვის

FOR THE DETERMINATION OF EGNATE NINOSHVILI'S  
POLITICAL-IDEOLOGICAL STANCE

კახაბერ ლორია

Kakhaber Loria

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მარქსიზმი, კრიტიკული რეალიზმი,  
ხალხოსნობა, „მესამე დასი“

**Keywords:** Marxism, Critical Realism, Populism, “Third group”  
 (“Mesame Dasi”)

ეგნატე ნინოშვილი უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ წარმომადგენლად ითვლება. მწერალი ძალიან პოპულარული იყო თითქმის მთელი გასული საუკუნის განმავლობაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი გახმაურებული მოთხრობა „ქრისტიანე“ საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების პირველ ქართულ ფილმსა და, ასევე, პირველ ქართულ ოპერას. ეგნატეს ნაწარმოებების თეატრალიზებული ვერსიებიც ასევე ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში.

რაც შეეხება საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკას, იგი ეგნატე ნინოშვილს წარმოადგენდა მარქსისტული ქართული ლიტერატურის უმთავრეს პიონერად და ერთგვარ მებაირახტედ. მწერლის შემოქმედება აქტიურად ისწავლებოდა საშუალო სკოლის პროგრამითა და, აგრეთვე, უმაღლეს სასწავლებლებშიც. ათწლეულების განმავლობაში დაინერა არაერთი სტატია თუ გამოკვლევა, რომელიც ეგნატეს შემოქმედებას სწორედაც რომ აღნიშნულ იდეოლოგიურ-ლიტერატურულ კონტექსტში განიხილავდა. საბჭოთა კრიტიკას, საზოგადოდ, რა თქმა უნდა, ახასიათებდა ლიტერატურული ტექსტებისა და მოვლენების იმდაგვარი ინტერპრეტირება, როგორც მას აწყობდა, თუმცა, ეგნატეს შემთხვევაში, ზემოხსენებულ წაკითხვას, ჩემი აზრით, არაერთი ობიექტური გარემოებაც უწყობდა ხელს. საქმე იმაშია, რომ ეგნატეს პიროვნული ბიოგრაფია მჭიდროდ დაუკავშირდა მარქსიზმის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში. მისი სახელი ფიგურირებს ქართველ მარქსისტთა პირველ შეკრებებზე, ხოლო მის დაკრძალვაზე ისინი პირველად ჩნდებიან ღიად, როგორც ახალი ძალა; ეგნატეს საფლავზე კი წარადგენენ „მესამე დასის“ სამოქმედო პროგრამას.

პოსტსაბჭოთა ეპოქაში ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების მიმართ დამოკიდებულება გარკვეულწილად შეიცვალა. იწყება მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთგვარი გადაფასება. ფოკუსირება ხდება მის შემოქმედებაში ე.წ. ხალხოსნური („ნაროდნიკული“) ტენდენციების არსებობაზე. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ ეგნატე სულაც არ უნდა მოიაზრებოდეს როგორც ილია ჭავჭავაძის ხაზის მოწინააღმდეგე. რაც შეეხება მის მარქსისტობას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ეს საკითხიც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

როცა ეგნატე ნინოშვილის პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივ მრწამსზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარქსიზმი იმ

დროს ბევრისთვის ახალ და პროგრესულ იდეოლოგიად აღიქმება და არავინ იცის წინასწარ, თუ რა საშინელებას დაატრიალებენ შემდგომში მისი სახელით ბოროტების რუსულ იმპერიაში თუ, აგრეთვე, სხვაგან. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქართველოში (და არა მარტო აქ) მარქსისტების რიგებში გადაინაცვლეს ისეთმა ფიგურებმა, რომელნიც მანამდე ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი ხალხოსნური იდეოლოგიით. ეს, როგორც ჩანს, ეხება ეგნატესაც და, შესაბამისად, ეს ზემოხსენებული „ბექრაუნდი“ მის შემოქმედებაშიც აისახება. თუმცა ეგნატეს შემოქმედებაში ასევე საკმაოდ თვალსაჩინოა ისეთი ხაზგასმულად მარქსისტული შეხედულებების გამოვლინება, როგორიცაა კლასთა შორის ანტაგონისტური დაპირისპირება, ჩაგრულთა ზეეოვნილი სოლიდარობა, ჩაგვრა ქონებრივ-ფინანსური შესაძლებლობების გამოყენებით და ა.შ. რაც შეეხება მიმართებას ილია ჭავჭავაძესთან, ეგნატესთვის ეროვნული განზომილება, ღმობიერად რომ ვთქვათ, მეორეხარისხოვანია და იგი ცალსახა უპირატესობას სოციალურ საკითხებს ანიჭებს. აქ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ გარემოებამ, რომ ორივე მწერალი ლიტერატურის ფუნქციას ძირითადად საზოგადოების სამსახურში ხედავს: იდეები, რომელთაც ისინი თავიანთ ნაწარმოებებში ქადაგებენ, ხშირად უაღრესად განსხვავებულია. დაბნეულობა არ უნდა გამოიწვიოს არც კრიტიკული რეალიზმის მხატვრული მეთოდის გამოყენებამ, რომელსაც ორივე მწერალი ოსტატურად და დამაჯერებლად მიმართავს, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი შემოქმედებით ისინი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ ღირებულებებს ამკვიდრებენ.

Egnate Ninoshvili is considered one of the earliest representatives of modern Georgian literature. The writer was highly popular throughout most of the last century. His famous story “Christine” served as the basis for the first Georgian film of the same name and also the first Georgian opera. Theatrical adaptations of Egnate’s works were also commonplace in the early twentieth century.

Regarding Soviet literary criticism, Egnate Ninoshvili was portrayed as the primary pioneer and trailblazer of Marxist Georgian literature. His works

were actively included in secondary school and higher education curricula. Over the decades, numerous articles and studies have examined Egnate's works within this ideological-literary context. Soviet criticism, in general, tended to interpret literary texts and events in a manner convenient to its agenda. However, in the case of Egnate, this interpretation was arguably facilitated by several objective circumstances. Notably, Egnate's personal biography was closely intertwined with the advent of Marxism in Georgia. He was involved in the early gatherings of Georgian Marxists, and his funeral marked their emergence as a significant new force, unveiling the action program of the "Third group" ("Mesame Dasi").

In the post-Soviet era, perceptions of Egnate Ninoshvili's work have undergone some reassessment. There is a focus on identifying populist ("narodnik") tendencies within his works. It is also suggested that Egnate should not necessarily be seen as opposed to Ilia Chavchavadze's ideology. Furthermore, the extent of his adherence to Marxism, whether direct or indirect, is now questioned.

When discussing Egnate Ninoshvili's political and ideological outlook, it is crucial to recognize that Marxism was widely perceived as a new and progressive ideology at the time, and no one could foresee the atrocities that would later be committed in its name in the malevolent Russian Empire or elsewhere. It is also noteworthy that in Georgia (and beyond), many figures who were initially interested in populist ideologies eventually transitioned to Marxism. This trend appears to resonate with Egnate as well, and this backdrop is evident in his work. However, his writings prominently feature Marxist perspectives such as class antagonism, transnational solidarity, oppression through economic and financial means, etc. As for the relationship with Ilia Chavchavadze, for Egnate, the national dimension is secondary, to say the least, as he gives clear priority to social issues. We should not be misled by the fact that both writers see the function of literature primarily in the service of society; the ideas they express in their works often differ significantly. The adept application of the artistic method of critical realism by both authors should not cause confusion, as they establish different values through their works.

მუხის ჯვართან დაკავშირებული  
ჩეჩენური საკულტო რიტუალი

CHECHEN CULT RITUAL RELATED  
TO THE OAK CROSS

ხვთისო მამისიმედიშვილი

Khvtiso Mamisimedishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მუხის ჯვარი, ფოლკლორი, ჩეჩენური  
რიტუალი

**Keywords:** Oak Cross, folklore, Chechen ritual

ჩეჩნეთში, სავარაუდოდ, მის მთიან ნაწილში, შუა საუკუნეებში აღინიშნებოდა ე. წ. თერთმეტწლიან კალენდარულ ციკლთან დაკავშირებული დღესასწაული. ამ საკულტო დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სანახაობრივი ელემენტი იყო მუხის ჯვარზე („ჯაარ“) სპეციალურად დამუშავებული ვერძის ტყავის გაჭიმვა, რომელიც აუცილებლად თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო და მას ცხრა აუცილებელი მახასიათებელი ჰქონოდა.

ძველ ჩეჩნურ დღესასწაულთან დაკავშირებული ცნობების სიმწირის მიუხედავად, ქართველ მთიელთა კულტმსახურების ტრადიციებზე დაყრდნობით, შესაძლებელია რიტუალის მითოლოგიური სცენარისა და ზოგიერთი საკრალური ელემენტის იდენტიფიკაცია.

სადღესასწაულო მუხის ჯვარს, რომელზეც ცხრა აუცილებელი მახასიათებლით აღბეჭდილ თეთრი ცხვრის ტყავს ჭიმავდნენ, ჩეჩნურ ენაზე ერქვა „დაშო ერთალ“. იგი, როგორც ჩანს, საკრალურ ნივთად ითვლებოდა, რადგან ჩეჩნების რწმენით, „დაშო ერთალ“ თერთმეტი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა თავის ღვთაებრივ ძალას, ადამიანების მფარველობას, მას საგულდაგულოდ უფრთხილდებოდნენ და თაყვანს სცემდნენ.

მფარველი წმინდანისადმი შეწირული ცხვრის ან თხის ტყავის ხის ჯვარზე ან ხეზე გაჭიმვა გავრცელებული წესი იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთის ხალხების რიტუალებში. „დაშო“ ჩეჩნურ ენაზე ჰქვია ოქროს. სიტყვათშეთანხმებაში „დაშო ერთალ“ პირველი ნაწილი – „დაშო“ – არის ეპითეტი, რომელიც „ერთალის“ ღვთაებრიობაზე მიუთითებს. ოქრო ღვთაებრივი ლითონია და იგი ყველა ტრადიციაში ღვთაებრივ სუბსტანციას გამოხატავს. რაც შეეხება მეორე სიტყვას „ერთალ“, მას უეჭველად უნდა ჰქონდეს საკრალური შინაარსი.

მფარველი წმინდანის, როგორც ღვთაებრივი სუბსტანციის გამოხატულების, ეპითეტად ოქრო ხშირად გვხვდება ჩეჩნებისა და ინგუშების მეზობელი ქართველი მთიელების საკულტო ტექსტებშიც. ოქრო, როგორც ძვირფასი, ღვთაებრივი ლითონის სახელწოდება, ზოგადად შეიძლება მფარველი წმინდანის, სალოცავის ერთ-ერთ გავრცელებულ ეპითეტად მივიჩნიოთ, რადგან საკრალურის მითოსური სახე, ხალხური იმაგინაციის მიხედვით, ოქროდ არის წარმოდგენილი. მითის მოქმედი პირებიც ხომ ზებუნებრივი არსებანი ან ადამიანთა წინაპრები არიან.

სავარაუდოდ, ჩეჩნური გადმოცემის მიხედვით, თეთრი ცხვრის ტყავს მუხის ჯვარზე საგანგებოდ ჭიმავდნენ, რადგან მუხა ჩეჩნების მეზობელ ქართველ მთიელებში და თავის დროზე, ალბათ, ჩეჩნებშიც, წმინდა ხედ იყო მიჩნეული. მაგალითად, ხევსურეთში ხუცესი ჯვარხატთა სადიდებელში მოიხსენიებდა „გიორგი – მუხის ანგელოზს“. ხოლო ფშაური საკულტო-საფერხულო სიმღერის თანახმად, ლაშარის ჯვრის წმინდა მთაზე ოქროსშიბიანი მუხის ხე მდგარა, რომელიც იმ ოქროს შიბით (ჯაჭვით) ცას, ღვთაებრივ სამყაროს უკავშირდებოდა. ამდენად, ჩეჩნურ რიტუალში ჯვრის ე. წ. „მასალად“ მუხა შემთხვევით არ იყო შერჩეული. ჩეჩნურ ტრადიციაშიც მუხის ჯვარი მფარველ წმინდანს, სალოცავს განასახიერებდა. ძველ ჩეჩნურ დღესასწაულზე რელიგიური რიტუალის დროს შესაწირავი ცხვრის თეთრი ფერი მის საკრალურობასა და განსაკუთრებულ სინამდვილეზე მიუთითებს.

ძველ ჩეჩნურ დღესასწაულს, რომელშიც ცენტრალური ადგილი საკულტო საგანს – „დაშო ერთალს“ – ეკავა, საფუძვლად უნდა დასდებოდა სამყაროსა და საკრალური სივრცის პერიოდული განახლების მითორიტუალური სცენარი, რომელსაც მ. ელიადე ყველაზე მნიშვნელოვან რელიგიურ ცერემონიას უწოდებს, რა დროსაც „სამყაროს უკვდავები აკურთხებენ თავიანთი სიმბოლური იქ ყოფნით“. ძველი ჩეჩნური დღესასწაული, რომელსაც, პირობითად, შეიძლება „დაშო ერთალ“ ვუწოდოთ, თავისი საზრისით, ფუნქციითა და სტრუქტურით ქართველი მთიელების, ინგუშებისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხების მითურ-რიტუალური სისტემების მსგავსია.

მუხის ჯვარზე მსხვერპლად შეწირული ცხვრის ტყავის გაჭიმვა, სავარაუდოდ, ძველი ჩეჩნური მისტერიის ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდს წარმოადგენდა. „დაშო ერთალ“ ზეციური არსების ერთერთი ატრიბუტია და თავისი საკრალური ხარისხით ის მხოლოდ მფარველი წმინდანის დროშას შეიძლება გაუთანაბრდეს. საკულტო დროშის აბმა კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ პრაქტიკაში საიდუმლო და საკრალურ რიტუალს წარმოადგენდა, რომელიც სრულ მდუმარებაში მიმდინარეობდა. ჩეჩნურ რიტუალში მუხის ჯვარზე ცხვრისა თუ კრავის ტყავის გაჭიმვა ქართველ მთიელთა მფარველი წმინდანის დროშის შეკაზმვის ანალოგიურია. ორივე შემთხვევაში თითქოს ზეციური არსების ამქვეყნიური სხეული

მზადდება, რომელიც დღესასწაულზე სადღეობოდ მოსულ მლოცველს უნდა ეხილა.

„დაშო ერთალ“, როგორც საკრალური საგანი, სიმბოლურად უნდა განასახიერებდეს მფარველ წმინდანს, რომელსაც დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე კულტმსახურები სალოცავში მისული საზოგადოების წინაშე გამოაბრძანებდნენ. მას ჩეჩნურ ტრადიციაში უნდა ჰქონოდა ისეთივე ფუნქცია, როგორი დატვირთვაც ჰქონდა ჯვრის, ხატის, სალოცავის დროშას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ საზოგადოებებში.

In Chechnya, probably in its mountainous part, in the Middle Ages was celebrated a holiday, which is connected with the so-called eleven-year calendar cycle. One of the most important spectacular elements of this cult celebration was the stretching of a specially treated Aries's skin over an Oak Cross ("Jaar"), which had to be definitely white in color and had nine essential characteristics.

Despite the paucity of information related to the ancient Chechen holiday, based on the traditions of the cult service of the Georgian mountaineers, it is possible to identify the mythological scenario and some sacred elements of the ritual.

The holiday Oak Cross, on which was stretched a white sheepskin imprinted with nine essential characteristics, in the Chechen language was called "Dasho Ertal". Apparently, it was considered a sacred thing, because according to the beliefs of the Chechens, "Dasho Ertal" kept its divine power, protection of people for eleven years, it was carefully guarded and worshiped.

Stretching a sheep or goat skin on a wooden cross or tree, sacrificed to a Patron Saint, was a common custom in the rituals of the mountain peoples of the North Caucasus. "Dasho" is called gold in the Chechen language. In the speech of words "Dasho Ertal" the first part "Dasho" is an epithet that indicates the divinity of "Ertal". Gold is a divine metal and it represents the divine substance in all traditions. As for the second word "Ertal", it must undoubtedly have a sacred meaning.



As an epithet of the Patron Saint and expression of the divine substance, gold is often found in the cult texts of the Georgian mountaineers neighboring of Chechens and Ingush. Gold, as the name of a precious, divine metal, can generally be considered as one of the common epithets of the Patron Saint, the shrine, because the mythical face of the sacred, according to human imagination, is represented as gold. The actors of the myth are also supernatural beings or human ancestors.

The old Chechen holiday, in which the central place was occupied by the cult object – “Dasho Ertal”, was supposed to be based on the mytho-ritual scenario of periodic renewal of the world and the sacred space, which M. Eliade calls the most important religious ceremony, during which the Immortals bless the world with their symbolic presence there. The old Chechen holiday in its sense, content, function and structure is similar to the mythologic-ritual systems of the Georgian mountaineers, Ingush and other peoples of the North Caucasus.

Stretching the skin of the sacrificed sheep on the Oak Cross was probably the most important episode of the ancient Chechen mystery. “Dasho Ertal” is one of the attributes of a heavenly being, and in its sacred quality it can only be equaled by the flag of the Patron Saint. And the raising of the cult flag was a secret and sacred ritual in the religious practice of Eastern Georgia mountainous regions, which took place in complete silence. In the Chechen ritual, stretching a sheep or lamb skin on an Oak Cross is similar to the Patron Saint’s raising flag of Georgian mountaineers. In both cases, it is prepared the worldly body of a heavenly being, which should have been seen by the worshiper who came to the solemnly.

“Dasho Ertal”, as a sacred object, should symbolically represent the Patron Saint, whom the worshipers would present to the public at the shrine on great religious holidays. In the Chechen tradition it should have the same function as the cross, icon, and shrine flag had in the traditional societies of Eastern Georgia’s mountainous area.



ინფერენციული ნაწილაკები და მათი  
განაწილება სვანური ზმნის კარადიგმაში

INFERENTIAL PARTICLES AND THEIR DISTRIBUTION  
IN THE SVAN VERB PARADIGM

ქეთევან მარგიანი  
Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ნაწილაკი, ზმნა, კილო  
Keywords: particle, verb, mood

სვანური ენა ინფერენციული (resp. საეჭვობა-სავარაუდობის გამომხატველი) ნაწილაკებით განსაკუთრებით მდიდარია. აგებულიების მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი:

1. საკუთრივ ნაწილაკები, რომელთა სეგმენტაცია არ ხერხდება (**მგჟხს(გ)** „აღბათ“, **ნრთაჟ** „ვინძლო“, „ნეტავ“, „იქნებ“);
2. სინთეზური ლექსემები, რომლებშიც შემადგენელი კომპონენტ(ებ)ის მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია (**მაჟშღი** <\*მა-შჟ-ლი „რა-ით-არის“, **ღრ-ჟ(ე) / ღო-ღჟე / ნოღჟე** – პირველი კომპონენტი **ღო** შესაძლოა იყოს უარყოფითი ნაწილაკი), თუმცა, ცხადია, სემანტიკურად ისინი არ წარმოადგენენ ამ კომპონენტების მნიშვნელობათა მართივ ჯამს.
3. ნაზმნარი დამხმარე სიტყვები (**ჰნღჟღი** „მგონია, ვვარაუდობ“, **მაბჟა** „მიმაჩნია, მგონია, ჩემი აზრით...“).

კვლევამ აჩვენა, რომ ეპისტემიკური მნიშვნელობის ინფერენციული ნაწილაკების გამოყენება სვანური ზმნის მწკრივებთან შეზღუდულია. ისინი მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმებს უთავსდებიან, თავად საკუთრივ ინფერენციული, საეჭვობა-სავარაუდობის გამომხატველი მწკრივები (პირობითი კილო, კავშირებითი კილო...) მათ სრულებით ვერ იგუებენ.

ეს მწკრივებია: ინფერენციული ანმყო (resp. მყოფადუსრული), პირობითი უსრული, პირობითი სრული, ძირითადპრევერბიანი მყოფადი, პირობით-შედეგობითი I და პირობით-შედეგობითი II.

**მოდალური ნაწილაკების განაწილება სვანური ზმნის მწკრივებთან თავისუფალი არ არის ევიდენციალურ ზმნურ ფორმათა სპეციფიკურობის გამო: იმ საანალიზო მწკრივთა კილო, რომლებსაც ტრადიციულად თხრობითს მიაკუთვნებდნენ (ვინაიდან ბოლო დროის კვლევებამდე არ იყო გათვალისწინებული მათი სემანტიკა და ითვლებოდნენ სინონიმებად იმ ზმნებისა, რომლებიც, ფაქტობრივად, მათი საოპოზიციო ფორმებია ევიდენციალობის თვალსაზრისით!), პირობითია.**

**სწორედ ეს არის** ინფერენციულ მწკრივებთან საანალიზო ნაწილაკების შეუთავსებლობის მიზეზი (შდრ. ქართულის ვითარება: -მცა ნაწილაკი არ დაერთვის კონიუნქტიურ ფორმებს, ის თავად ანიჭებს თხრობითი კილოს ზმნებს კავშირებითობა-პირობითობას).

თხრობითი კილო, რომელიც ნეიტრალურია, ნაკლებად პრეტენზიულია დამხმარე ლექსიკურ საშუალებებთან დაწყვილების თვალსაზრისით, ხოლო კავშირებითი და პირობითი, სწორედ მათი ვინრო, სპეციფიკური სემანტიკის გამო, ამ მხრივ მკაცრად შეზღუდულია. აღნიშნული მოვლენა, ერთი მხრივ, ინფერენციული ევიდენციალობის (როგორც სემანტიკური და გრამატიკული კატეგორიის) ჩამოყალიბების და, მეორე მხრივ, თავად ინფერენციული ლექსემების წარმოშობის ეტაპებს, ქრონოლოგიას უნდა უკავშირდებოდეს, რაც უდამწერლობო ენაში რთული დასადგენია.

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნაწილაკებისა და ზმნური ფორმების აღნიშნული სემანტიკური ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობა (ზმნების თავისუფალი ჩანაცვლება) შესაძლოა, სტილური ანომალიისა და ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველიც კი გახდეს.

The Svan language is especially rich in inferential (resp. expressing doubt or assumption) particles. Based on their structure, the following three types can be distinguished:

1. Particles proper, which cannot be segmented (**მეჟს(გ) mares(g)** “probably”, **ნოთაჷ notaw** “maybe”, “if only”, “perhaps”);
2. Synthetic lexemes where it is possible to identify the constituent component(s) (**მაჷშლი** <\*მა-შჷ-ლი mawšli <\*ma-šw-li “why is it”, **დო-ჷ(ე) / დო-ღჷე / ნოდჷე do-we / do-ywe / no-ywe** – the first component **დო / do/** can be a negative particle). However, it is obvious that semantically they do not represent a mere sum of the meanings of the components.
3. Clauses expressing personal opinion, obtained from verbs (**ჰნღჷლი ოიყული** “I think, I assume”, **მაბჷა mabža** “I consider, I suppose, in my opinion...”).

Research has proved that the use of inferential particles of epistemic semantics is restricted in the Svan verb screeves/tenses. They can be used only with the indicative mood forms. They are incompatible with the inferential screeves/tenses expressing doubt-assumption (e.g. conditionals, subjunctive mood...).

The above-mentioned screeves/tenses are: inferential present (resp. future imperfect), conditional imperfect, conditional perfect, the future tense with the main preverb, conditional-resultative I and conditional-resultative II.

**The modal particles are not freely distributed among the Svan verb screeves/tenses due to the peculiarity of the evidential verb forms: the mood of the screeves, which has traditionally been considered indicative (since their semantics was not taken into account until recently and they were considered as synonyms of the verbs which, in fact, oppose them from the viewpoint of evidentiality!), is conditional.**

**All the above-mentioned is the reason for the incompatibility** of the particles under analysis with the inferential screeves/tenses (cf. Georgian: the particle **-ძღვა /mtsа/** is not added to conjunctive forms. Instead, it adds subjunctive-conditional semantics to the verbs in the indicative mood).

The indicative mood, which is neutral, is, more or less, easily compatible with additional lexical means, whereas, due to their specific semantics, the conditional and subjunctive are extremely restricted in this regard. This phenomenon must be, on the one hand, related to the chronology of development of inferential evidentiality (as a semantic and grammatical category). On the other hand, this phenomenon must be related to the stages of formation of the inferential lexemes as such. In case of non-written languages like Svan, this is hard to identify.

At the present stage of development of the Svan language, the neglect of the above-mentioned semantic relations between particles and verb-forms (free substitution of verbs) may lead to stylistic anomaly and incorrect interpretation of the text.

განწყობა და ემოცია, როგორც უმთავრესი  
დახმარე საშუალება, ქართულის, როგორც  
უცხო/მეორე ენის, კითხვის სწავლების  
პროცესში

THE ROLE OF MOOD AND EMOTION AS CRUCIAL  
SUPPORT MECHANISMS IN TEACHING GEORGIAN  
AS A FOREIGN OR SECOND LANGUAGE

ეკატერინე მიხელიძე  
Ekaterine Mikhelidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** განწყობა, ემოცია, კითხვა, წაკითხვის  
გააზრება

**Keywords:** mood, emotion, reading, reading comprehension

**შესავალი:** განათლების ფსიქოლოგიის სპეციალისტები მთელ მსოფლიოში ერთხმად აღნიშნავენ, რომ კითხვის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ემოციურ ფონს. ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათ, ვისაც აუდიტორიასთან შეხება უნევს. ემოცია სიტყვასთან ერთად ქმნის განწყობას და მასზეა დამოკიდებული, როგორი კონტაქტი შედგება აუდიტორიასთან. სიტყვით იწყება ურთიერთობაც და ენის შესწავლაც გარკვეულ დონეზე. სიტყვა ახდენს უდიდეს ემოციურ გავლენას აუდიტორიაზე და მასზეა დამოკიდებული, გამოგყვება თუ არა ამ სიტყვის თქმის შემდეგ სტუდენტი. შესაბამისად, განწყობაზეა დამოკიდებული სხვა დანარჩენი ხერხები, რომელთაც ქვემოთ დავასახელებთ, რათა კითხვის პროცესის წარმართვა იყოს შედეგიანი.

იმისათვის, რომ სტუდენტი განვანყოთ პოზიტიურად და მივცეთ მოტივაცია, არა მხოლოდ დაეუფლოს კითხვას, არამედ გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი ენაში და შეძლოს წაკითხულის გააზრება, ემოციისა და განწყობის შექმნასთან ერთად, საჭიროა, მივმართოთ სხვადასხვა ხერხს:

- 1. დამარცვლით კითხვა.** კითხვის სწავლების პროცესში უმნიშვნელოვანესია დამარცვლით კითხვის დასწავლა, რის შემდეგაც ავტომატურად სწორად კითხულობენ და ძალიან სწრაფადაც სწავლობენ დამარცვლით კითხვას. დაახლოებით ორი-სამი გაკვეთილის შემდეგ უკვე გამართულად კითხულობენ, მიუხედავად იმისა, იციან თუ არა სიტყვის მნიშვნელობა. ამისათვის ვიყენებთ სხვადასხვა რესურსს: თვალსაჩინოებებს, ვიდეორგოლებს (ასევე, დამატებით ვიყენებთ ფრაზებს, ასე ვთქვათ, ფორმულების სახით, რომელიც, რასაკვირველია, არის დასაზღვირებელი. ესაა საკმაოდ არასახალისო ხერხი, მაგრამ საკმაოდ შედეგიანიც. ცნობილია, რომ ეს ფრაზები სიტუაციურად გამოიყენება ტრანსპორტში, მაღაზიაში, სამედიცინო დაწესებულებებში, ფაკულტეტზე (მაგალითად, თუ მედიკოსებთან გვაქვს საქმე, მათ შესაბამის ფაკულტეტზე)).
- 2. ვკითხულობთ ნელა,** რათა კითხვის პროცესში იყოს სრული მობილიზება და სხვებმაც მიაღვეწონ თვალი. პირველი წა-



კითხვისას არ ვაქცევთ ყურადღებას შინაარსობრივ მხარეს. მთავარია, სწორად და უშეცდომოდ წაკითხვით და არანაირი წარმოსახვითი ასოციაციები, რასაც ვკითხულობთ; ეს მეორემესამე წაკითხვისას ჩნდება უკვე, ჩემი დაკვირვებით.

**3. სწორი განმარტების უნარი.** შემდეგი და უმნიშვნელოვანესი ხერხი არის სწორი განმარტების უნარი, რაც ზოგჯერ არც ისე მარტივია. ტექსტი მხოლოდ მშრალად კი არ წავაკითხვით, არამედ მისი განსჯა და ანალიზიც მოვახდინოთ, სიტყვების განმარტებებითურთ (ამ შემთხვევაში ვიყენებთ, ასევე, ლექსიკის შესწავლის მრავალმხრივ ნაცად მეთოდს, უცხო სიტყვა დაძებნონ ლექსიკონში მშობლიურ ენაზე და ასე დაიმახსოვრონ სიტყვების მნიშვნელობები).

ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლად ტექსტებისა და თუნდ წიგნის გაცნობა სტუდენტისთვის არ არის მართებული, რადგან ყველა წინადადება და ყველა გაუგებარი სიტყვა უნდა იყოს სკრუპულოზურად და გამონვლილვით, თანმიმდევრულად ახსნილი. ეს პროცესი შესაბამისი ემოციითა და განწყობით, ახსნა-განმარტებების თანხლებით, ნამდვილად კარგ შედეგს იძლევა ტექსტის ათვისებისა და გააზრების თვალსაზრისით.

**4. თვითკონტროლი.** განწყობის ჩამოყალიბებასა და დადებითი ემოციების შექმნასთან ერთად უმნიშვნელოვანესია სტუდენტებში თვითკონტროლის ჩამოყალიბება, რაც იმას ნიშნავს, რომ შეცდომით წაკითხვისას თავად მიხვდეს, რომ შეცდომით წაკითხა, გააკეთოს პაუზა, დაუკვირდეს და გამოასწოროს. ესაა უკვე შედეგზე გასვლა.

**დასკვნა:** ჩვენი მხრიდან დადებითი ემოციები და მასზე დაფუძნებული სამუშაო პროცესი ზრდის სტუდენტების სწავლის მოტივაციასა და თავდაჯერებულობას კითხვის პროცესში. შესაბამისად, თვალსაჩინოა, თუ როგორ მოქმედებს განწყობა და ემოცია, როგორც უმთავრესი ხერხი, არა მხოლოდ სწორად კითხვაზე, არამედ წაკითხულის გააზრებაზეც.

**Introduction:** Experts in educational psychology worldwide emphasize the critical role of emotional background in overcoming reading challenges. This consideration is essential for anyone interacting with an audience. Emotion, combined with language, sets the tone for communication and significantly influences audience engagement. Effective communication and language acquisition hinge on vocabulary, which carries the greatest emotional impact. Whether students follow and engage depends largely on this emotional connection. Therefore, subsequent methods, crucial for guiding effective reading processes, depend on cultivating the right emotional atmosphere, as outlined below.

To effectively motivate students towards mastering reading, enriching their vocabulary, and understanding what they read, as well as fostering a positive emotional connection, various methods can be employed:

- 1. Reading in numbers.** In the process of learning to read, it is most important to learn to read by counting, after which they automatically read correctly and learn to read by counting very quickly. After about two or three lessons, they already read correctly regardless of whether they know the meaning of the word or not. For this we use various resources: sights, videos (we additionally use phrases, so to speak, in the form of formulas, which, of course, are to be spoken. This is a rather unpleasant method, but also quite effective. It is known that these phrases are used situationally in transport, in shops, in medical institutions, in the faculty (for example, if we are dealing with doctors, in their respective faculty).
- 2. We read slowly** so that there is complete mobilization during the reading process and others can follow. During the first reading, we do not pay attention to the content side. The most important part is to read correctly, without making any mistakes and without any imaginary associations with what we read; as per my observation, imaginary associations appear already on the second or third reading.
- 3. Ability to interpret correctly.** The next and most important technique is the ability to interpret correctly, which is sometimes not so easy. We should not only read the text without comprehension, but also judge and analyze it, explaining the words (in this case, we also use

the multifaceted method of learning vocabulary, to look for a foreign word in the dictionary in the native language and thus remember the meanings of the words).

We think that it is not appropriate for students to familiarize themselves with the texts and textbooks on their own, because every sentence and every incomprehensible word should be explained scrupulously and carefully, consistently. This process with appropriate emotion and mood, accompanied by explanations, gives really good results in terms of assimilation and understanding of the text.

4. **Self-Monitoring.** Along with shaping the mood and creating positive emotions, it is important to develop self-control in students, which means that when they make a mistake in reading, they realize that they have made a mistake, pause, observe and correct it. This is considered as one of the learning outcomes.

**Conclusion:** By fostering positive emotional experiences and employing these methods, educators enhance students' motivation and confidence in reading. This underscores the pivotal role of mood and emotion in both accurate reading and comprehensive understanding.



აბრაამ ეფროსის ერთი თარგმანის შესახებ  
ABOUT ONE TRANSLATION OF ABRAHAM EPHROS

ეკატერინე ნავროზაშვილი  
Ekaterine Navrozashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** აბრაამ ეფროსი, თარგმანი  
**Keywords:** Abraham Ephros, translation

მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1909 წელს, რუსეთში გამოიცა წიგნი «**Песнь песней Соломона**», რომლის მთარგმნელი და შემდგენელი ხელოვნებამცოდნე, კრიტიკოსი და მთარგმნელი აბრაამ ეფროსი იყო. წიგნმა მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. ამ ფაქტს საქართველოში გამოეხმაურა ქართველი ლიტერატურათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე კიტა აბაშიძე, რომელმაც იმავე წელს გამოსცა მსგავსი შინაარსის კრებული „სოლომონის ქებათა ქება“, წინასიტყვაობით, ტექსტის უძველესი ქართული თარგმანითა და საყურადღებო შენიშვნებით. კრებულში, ასევე, დაბეჭდილი იყო სანდრო შანშიაშვილის ლირიკული პოემა „სულამიტ“.

წიგნი «**Песнь песней Соломона**» სამი ნაწილისგან შედგება: აბრაამ ეფროსის წინასიტყვაობისა (საუბრობს იმ კრიტერიუმებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობდა თარგმნისას. მათ შორის სიტყვის ეტიმოლოგიური, სინტაქსური თუ მხატვრული სიზუსტის შესაწარმუნებლად) და თარგმანისაგან, იმ დროისათვის წიგნზე არსებული უცხოელი და რუსი ავტორების კრიტიკული წერილებისა და ანთოლოგიისგან, რომელშიც წარმოდგენილია XVIII-XIX საუკუნეებში (ბიბლიური წიგნის გავლენითა და მიბაძვით) შექმნილი რუსი პოეტების: დერჟავინის, პუშკინის, ფეტის, მეის და ა.შ. ლექსები.

აბრაამ ეფროსის თარგმანი საინტერესოა როგორც ფორმის, ასევე, შინაარსის, სტილის, ონომასტიკური ლექსიკური ერთეულების (ანთროპონიმები, ტოპონიმები, მცენარეთა სახელები), მხატვრული სახეების (მეტაფორა და შედარება, ეპითეტი), სიტყვათა თამაშის, გადმოტანის თვალსაზრისით. მთარგმნელი ცდილობს ებრაული ტექსტის რიტმული თავისებურებების შენარჩუნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ აბრაამ ეფროსის თარგმანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიის რუსული თარგმანის განვითარების ისტორიაში. ეს იყო ბიბლიური ტექსტის უშუალოდ ძველი ებრაულიდან შესრულებული პირველი რუსული თარგმანი და, შეიძლება ითქვას, რომ ა. ეფროსის თარგმანმა ერთგვარად დასაბამი მისცა არა მარტო ბიბლიის თანამედროვე რუსულ თარგმანებს, არამედ „ქებათა ქების“ მეოცე საუკუნეში შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანებსაც.

At the outset of the twentieth century, specifically in 1909, the publication of «Песнь песней Соломона» in Russia marked a significant literary event. This work, translated and compiled by the art critic, critic and translator Abraham Ephros, captured the interest of readers. In Georgia, this development prompted a response from Kita Abashidze, a notable literary scholar and public figure, who published a collection in the same year titled “Song of Solomon”, featuring an ancient Georgian translation of the text along with insightful commentary. Included in this compilation was Sandro Shanshiashvili’s lyrical poem “Sulamit”.

Ephros’s «Песнь песней Соломона» is structured into three parts: an introduction by Abraham Ephros detailing his translation criteria, emphasizing the preservation of etymological, syntactic, and artistic features; the translation itself; critical assessments from both foreign and Russian authors contemporaneous to its publication; and an anthology featuring poems by Russian writers such as Derzhavin, Pushkin, Fet, and May from the 18th and 19th centuries, influenced by and imitative of the biblical text.

Abraham Ephros’s translation is notable for its stylistic and semantic intricacies, including onomastic lexical elements (anthroponyms, toponyms, plant names), artistic devices (metaphor, simile, epithet), and wordplay. His efforts are focused on preserving the rhythmic qualities of the original Hebrew text.

Significantly, Ephros’s translation holds a pivotal position in the history of Russian biblical translations. It stands as the first direct translation of biblical texts from ancient Hebrew into Russian, marking the beginning of a new era not only for Russian translations of the Bible but also influencing subsequent Georgian translations of the “Praise and Exhaltation” throughout the twentieth century.





**იუბილე და იუბილარი სიტყვების  
მნიშვნელობათა შესახებ ქართულში**

**THE MEANING OF THE WORDS *იუბილე* / *IUBILE*  
“*JUBILEE*” AND *იუბილარი* / *IUBILARI* “*SOMEBODY  
CELEBRATING A JUBILEE*” IN GEORGIAN**

**რამაზ ქურდაძე**

**Ramaz Kurdadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენა, განმარტებითი ლექსიკონი,  
სოციალური ქსელი, იუბილე

**Keywords:** Georgian language, explanatory dictionary, social network,  
jubilee

სიტყვა **იუბილე** (ლათ. jubilaeus (annus) საიუბილეო წელი ძვ. ებრ.-იდან) „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ნიშნავს ზეიმს რომელიმე პირის ან ორგანიზაცია-დანესებულების მოღვაწეობის აღსანიშნავად რაიმე წლისთავთან დაკავშირებით. ეს სიტყვა ასევეა განმარტებული „ქართულ ლექსიკონშიც“. შესაბამისად, ორივე ლექსიკონი **იუბილარის** მნიშვნელობასაც ერთნაირად წარმოგვიდგენს: პირი ან ორგანიზაცია, ვისაც ან რასაც იუბილეს უხდიან.

დღეს სიტყვების - **იუბილე** და **იუბილარი** - გამოყენების არეალი თითქოს გაფართოვდა: მათ იყენებენ ნებისმიერი დაბადების დღის მილოცვისას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ მთავარი ნიუანსია გამორჩენილი. იუბილე **განსაკუთრებული წლისთავია**. როგორც სხვანაირად ამბობენ, „მრგვალი თარიღია“ და არა ადამიანის ნებისმიერი დაბადების დღე ანდა რაიმე ორგანიზაცია-დანესებულების ნებისმიერი, რიგითი, მორიგი წლისთავი.

**იუბილე** ბევრ უცხოურ ლექსიკონში სწორედ ამ მთავარი ნიუანსითაა განმარტებული. მაგალითისათვის დავასახლებთ ინგლისური ენის ლონგმანისა და მერიამ-ვებსტერის საინტერნეტო ლექსიკონებს:

**jubilee** – a date that is celebrated because it is exactly 25 years, 50 years etc. after an important event (ლონგმანის ლექსიკონი)

**jubilee** – **a**: a special anniversary *especially* : a 50th anniversary, **b**: a celebration of such an anniversary (მერიამ-ვებსტერის ლექსიკონი).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუ არა **იუბილე**, მაშინ რა სიტყვა უნდა ვიხმაროთ ვინმეს მორიგი დაბადების დღის და არა რაიმე განსაკუთრებული თარიღის აღსანიშნავად? ამის აღმნიშვნელი სიტყვა არის ქართულში, უბრალოდ, სოციალურ ქსელსა და სხვა საინტერნეტო მასალებში არ იყენებენ. ესაა: **დღეობა**. აღსანიშნავია, რომ თითქოს ერთგვარად მის ადგილს იკავებს ბოლო დროს იმავე ქსელებში გაჩენილი სიტყვათშეხამება: **შენი დღე**. მაგ.: გილოცავ **შენს დღეს!**

ამავე საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ არა გვაქვს საგანგებო სიტყვა იმ პირის აღსანიშნავად, ვისი დაბადების დღეც არის, როგორცაა ინგლისურში: Birthday boy, birthday girl; გერმანულში: Geburtstagskind; რუსულში: Именинник, именинница.

ქართულში მათი შესატყვისის არქონამ გამოიწვია ალბათ სიტყვა **იუბილარის** მნიშვნელობის უმართებულო გაფართოება.

სიტყვა **იუბილე** და მისგან ნაწარმოები **იუბილარის** ზუსტი მნიშვნელობებით გამოყენებისათვის, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამის ქართულ ლექსიკონებში იუბილეს სრულყოფილი განმარტების წარმოდგენა, კერძოდ, **იუბილე** – ზეიმი რომელიმე პირის ან ორგანიზაცია-დანესებულების მოღვაწეობის აღსანიშნავად რომელიმე მნიშვნელოვან წლისთავთან (25, 50, 60 და ა. შ.) დაკავშირებით.

According to the “Explanatory Dictionary of the Georgian language”, the word **იუბილე** / jubile (from Latin: jubilaeus (annus), the year of the anniversary, derived from old Hebrew) means a celebration in honour of some anniversary related to a person or organization/institution. “The Georgian Dictionary” provides the same definition of the word. Hence, both dictionaries define the word **იუბილარი** / **iubilari** as a person or organization whose jubilee is celebrated.

Nowadays, the area of usage of the words – **იუბილე** / **iubile** and **იუბილარი** / **iubilari** seems to have expanded, as they are used in case of each ordinary birthday.

However, the case is that the main nuance has been neglected: the word იუბილე / iubile **denotes a special date / anniversary**, the so-called “round date” and not any ordinary birthday of a person or organization / institution.

Numerous foreign dictionaries define the word **jubilee** based on the above-mentioned nuance. For instance, Longman and Merriam-Webster online dictionaries define the word as follows:

**jubilee** – a date that is celebrated because it is exactly 25 years, 50 years etc. after an important event (Longman Dictionary);

**jubilee** – **a**: a special anniversary *especially* : a 50th anniversary, **b**: a celebration of such an anniversary (Merriam-Webster Dictionary).

Naturally, with regard to Georgian, the question is: what word can be used in case of an ordinary birthday instead of **იუბილე** / **iubile**? There is a Georgian word **დღეობა** / **dyeoba**, which denotes any kind of birthday,

but this word is not used in social networks and the internet nowadays. It should be noted that recently this word has been substituted in social networks by the collocation **შენი დღე / šeni dye “your day”**. For instance: გილოცავ **შენს დღეს!** / gilotsav šens dyes “I congratulate you on your day”, that is equal to: “I congratulate you on your birthday”.

In this regard, it is interesting to note that in Georgian there is no special word denoting a person who celebrates his / her birthday, like English: Birthday boy, birthday girl; German: Geburtstagskind; Russian: Именинник, именинница.

The absence of a Georgian correlate has probably caused the incorrect extension of the meaning of the word **იუბილარი / iubilari** “somebody celebrating a jubilee”.

In my opinion, for the correct usage of the word **იუბილე / iubile “jubilee”** and its derivative **იუბილარი / iubilari “somebody celebrating a jubilee”**, it is necessary to provide a more precise definition of the word in Georgian explanatory dictionaries, namely: **იუბილე / iubile “jubilee”** – a celebration of an important date related to the anniversary of a person or organization/institution (25, 50, 60 years and so on).

ნარმოდგენელის აუტანლობა  
INTOLERABLENESS OF THE UNIMAGINABLE

ვალერიან რამიშვილი  
Valerian Ramishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სიცარიელე, მეტაფიზიკა, ნარმოდგენა,  
აუტანლობა, ნიცშე, ჰაიდეგერი

**Keywords:** emptiness, metaphysics, imagination, intolerableness,  
Nietzsche, Heidegger

დასავლურმა აზროვნებამ მეტაფიზიკის ისტორია შემდეგნაირად შეაჯამა: მეტაფიზიკა არის ბუნებრივი მიდრეკილება (კანტი) ან მეტაფიზიკა არის ავადმყოფობა (ნიცშე). დასავლურმა აზროვნებამ შექმნა სამყაროს მოდელი, რომელშიც აღმოჩენილ იქნა სიცარიელე, ცარიელი ადგილი. არა მარტო სამყაროში გაჩნდა სიცარიელე „ღმერთის სიკვდილის“ შემდეგ, არამედ ადამიანის ცნობიერებაც ცარიელი გახდა. კანტის წმინდაცნობიერება შეცვლილ იქნა ცარიელი ცნობიერებით, რომელშიც საერთოდ არ არის მეტაფიზიკის ნაშთი ან ნაკვალევიც კი. დღეს საუბრობენ სიცარიელებზე, რომელიც ჩანს ადამიანის ცხოვრებაში, მისი ყოფიერების საზრისი გაუგებრობაში მდგომარეობს. სიცარიელის აღიარება ადამიანისთვის მიუღებელია, რადგან ეპისტემოლოგიურად შეუძლებელია, გონებამ დაუშვას რაიმე ადგილი, რომელიც სიცარიელეს წარმოადგენს, ანუ გონებისთვის მიუწვდომელია და მეტაფიზიკურად მიუღებელია, ამქვეყნიურობის გარეთ და ამქვეყნადაც აღიაროს სიცარიელე. თანამედროვე ეპოქის ადამიანის მდგომარეობა ასე ხასიათდება: „ჩვენ აღმოვჩნდით სიცარიელის წინაშე, რომელიც უნდა შევსებულ იქნეს.“

ცარიელი ადგილის მიმართ შეიძლება სამი სახის დამოკიდებულება: ცარიელი ადგილი მუდამ ცარიელი დარჩება, ცარიელი ადგილის მფლობელი უკუგდებულია და მასზე აზროვნების მცდელობა არის ავადმყოფობა, ანდა ადამიანს აქვს მოლოდინი, რომ მისი მფლობელი მას დაიკავებს. (ცარიელი ადგილი არ არსებობს).

ჰაიდეგერი შეეცადა ამ სიცარიელის შევსებას და მან ყოფიერების ფენომენი დააბრუნა ევროპულ აზროვნებაში, რომელიც ყოფიერების საკითხს ზედმეტ და თავისთავად ცხად საკითხად მიიჩნევდა. დღეს ყოფიერება ადამიანისთვის წარმოდგება როგორც ცარიელი ადგილი, რომელიც არის უბრალოდ „სხვა“. ჰაიდეგერთან ღმერთი, მეტაფიზიკური ადამიანური მოლოდინის საგანია. მეტაფიზიკა კი მოლოდინის განცდის სახეს იღებს.

ცარიელი ადგილი წარმოდგება როგორც „სხვა“, „უცხო“, „წარმოუდგენელი“, პოსტმოდერნის ეპოქის ადამიანი ცდილობს ამ სიცარიელის შევსებას კონსიუმერული მითოლოგიით, მაგრამ ვერც სიცარიელის შევსებას და ვერც სიცარიელის ბუნების გაგებას ახერხებს. დღეს მეტაფიზიკის სიცარიელესთან, როგორც აუხსნელსა

და მიუწვდომელთან, დამოკიდებულება არის წარმოუდგენლის აუტანლობის განცდა. (თანამედროვეობა).

იგი არის „სხვა“, რომლის წარმოდგენა შეუძლებელია და სწორედ ეს წარმოუდგენელი თავის წარმოუდგენლობაში აუტანელია. ახლა მეტაფიზიკური თანამედროვე ადამიანის ყოფიერებაში ვლინდება აუტანლობის განცდის სახით. იგი მეტაფიზიკურისადმი ნოსტალგიის გამოხატულებაა.

ყოფიერება, ღმერთი არც აზროვნების, არც მეტაფიზიკის, არც რწმენის საგანია, იგი წარმოდგენის საგანი ხდება – ეს ნიშნავს, რომ ადამიანი აღარ აზროვნებს. „მათ მეტად აღარ შეუძლიათ, ეძიონ ღმერთი, რადგან თავი დაანებეს აზროვნებას.“ (ჰაიდეგერი) რაც მიუთითებს ყოფიერების დავიწყების ფენომენის კიდევ უფრო გაძლიერებას. შემეცნება, აზროვნება, გაგება, როგორც ადამიანის ინტელექტუალური უნარები, ჩაანაცვლა წარმოდგენამ. წარმოდგენა არის ის ადამიანური უნარი, რომლითაც ადამიანს შეუძლია, დაშორდეს ემპირიულ რეალობას, აქ და ახლას ჩარჩოებით შემოსაზღვრულ თავისი მუწყოფნის განსაზღვრულობას. იგი არის ადამიანის ადამიანად ყოფნის ფუნდამენტური ნიშანი. მხოლოდ წარმოდგენ არსებას შეიძლება ჰქონდეს წარსულისა და მომავალს გაგება და განცდა. წარმოდგენა არის რეპრეზენტაცია იმისა, რაც ახლა ჩემ წინ არ არის და რაც საერთოდ არ ყოფილა. მას შეუძლია, ჩემს ყოფიერებაში შემოიყვანოს ის, რაც აღარ არსებობს ან ჯერ არ არსებობს, ან წარსულში მოხდა, ან მომავალში უნდა მოხდეს. მაგრამ წარმოდგენა არ არის ტრანსცენდირება.

რატომ უქმნის თანამედროვე ადამიანს სიცარიელე დისკომფორტს, რატომ არის ამ სიცარიელის შევსება ადამიანისთვის ექსისტენციალურად აუცილებელი? ადამიანს აწუხებს ყოფიერების, ღმერთის, მეტაფიზიკურის მისი ყოფიერებისა და აზროვნების სივრციდან გასვლა. ღმერთის, ყოფიერების ყოფნა „სხვა“-ს, „უცხოს“ არასახეზემყოფის, სიცარიელის, წარმოუდგენლის სახით და მისთვის აუტანელია. სწორედ ამ სიცარიელის საზრისის გაცნობიერება, სწორედ ამ არყოფნის განცდა აუტანელი ხდება.

ადამიანი გრძნობს, რომ იგი და მისი სამყარო მიტოვებულია და თავისუფლების ნაცვლად გააცნობიერა მისი ყოფნის პარადოქსი და ნაკლოვანება. მისი ყოფიერება და სამყარო, რომელშიც იგი

აღმოჩნდა, მასში უსაზრისობის განცდას ბადებს. მას ვერ წარმოუდგენია, რა შეავსებს, დაიკავებს სიცარიელის ადგილს, შემდეგ მან არ იცის უკან სიცარიელიდან დასაბრუნებელი გზა და არც სიცარიელის შემდგომი მომავლის ხედვა აქვს.

სწორედ ადამიანის მომავლის წარმოუდგენლობა აუტანელია თანამედროვე ადამიანისთვის. ადამიანი გრძნობს მისი ყოფიერების ნაკლებობას, მას აინტერესებს, რა იქნება სიცარიელის შემდეგ, რა შეიძლება და რა უნდა ჩაენაცვლოს მას, მოვიდეს მის ნაცვლად? ადამიანს ორი რამ უბიძგებს ამ სიცარიელის მიღმა შეხედვას, ისინი ადამიანის სიცოცხლის განსაკუთრებულობას ქმნიან, რომელიც სიცარიელის მიუწვდომლობის აღიარებით პასუხგაუცემელი რჩება და ვერც სიცარიელის შევსებას ახერხებს: ესენია სიკვდილის ფენომენი, სიკვდილის ტრანსცენდენტობა, რომელიც ადამიანს აიძულებს, გავიდეს მისი სიცოცხლის გარეთ, სამყაროს გარეთ და მთელი არსით შეიგრძნოს მისი გარდუვალობა, საზრისის მიუწვდომლობა და სიცარიელის აუტანლობა, მეორეა ღირსება, სინდისი და მონივნება, რაც ღვთაებრივის ამქვეყნიური ყოფნის ფორმებად და გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ საფუძველზე ადამიანის ყოფნას განმსჭვალავს მოლოდინი ღმერთისადმი. ადამიანი ეძებს ღმერთთან ახალ მისასვლელ გზას, ანდა ცდილობს, იყოს მზად ღმერთის ახალი თვითჩენის ხდომილებისთვის.

Western thought has summarized the history of metaphysics as follows: metaphysics is a natural tendency (Kant) or metaphysics is a disease (Nietzsche). Western thought created a model of the world in which emptiness, an empty place was discovered, not only the world became empty after the “death of God”, but also human consciousness became empty. Kant’s pure consciousness has been replaced by an empty consciousness in which there is no vestige or even a trace of metaphysics at all. Today, they talk about the emptiness that can be seen in human life, which lies in the misunderstanding of the meaning of his existence. The recognition of emptiness is unacceptable for a person because it is epistemologically impossible for the mind to allow any place that represents emptiness, that is, inaccessible to the mind and also is metaphysically unacceptable, in



our world and beyond the world to recognize the emptiness. The human condition of the modern era is characterized as follows: "We are faced with a void that must be filled". There can be three types of attitudes towards emptiness: empty space will always remain empty, the owner of the empty space is rejected and trying to think about it is an illness, or the owner of the empty space will return and human has an expectation that its owner will occupy it (empty spaces do not exist).

Heidegger tried to fill this void, and he brought the phenomenon of the Being back into European thought, which considers the question of the Being as superfluous and self-evident. Today, the Being appears to man as an empty place, which is presented as "other", "foreign" and "unimaginable". For Heidegger, God is the object of human metaphysical expectation. Metaphysics takes the form of a feeling of expectation, the postmodern man tries to fill this void with consumer mythology, which neither fills the void nor understands the nature of the void. Today, the form of the attitude of metaphysics to the void, which is inexplicable and inaccessible, is the feeling of intolerableness of the unimaginable.

Why does emptiness create discomfort for a modern person, why is filling this emptiness existentially necessary for a person? Man is worried that God, the Being, metaphysics going out of the space of human existence and thinking. The presence of God, the Being, in the form of "other" emptiness, unimaginable, is unbearable for him. It is the realization of the sense of this emptiness that makes the feeling of this absence unbearable. A person feels that he and his world are abandoned, and instead of freedom, he realizes the paradox and deficiency of his existence. His existence and the world in which he found himself become meaningless. He cannot imagine what will fill, take the place of the void, he does not know the way back from the void, nor does he have a vision of the future beyond the void.

The unimaginability of the human future is what is unbearable for modern man. A person feels the deficiency of his existence, he wonders what will happen after the emptiness, what can and should replace it, come instead. Two things push a person to look beyond this emptiness, they create a specialness in human life, which, acknowledging the inaccessibility of the emptiness, remains unanswered and cannot be filled either: these are the phenomenon of death, the transcendence of death, which forces a

person to go outside of his life, beyond of the world, and to feel with all his essence its inevitability, the inaccessibility of sense, and the intolerance of emptiness; the second is dignity, conscience, and awe, which can be considered as the forms and expression of the divine presence in the world. On this basis, human existence is imbued with the expectation of God. Man is looking for a new way to God or tries to be ready for a new manifestation of God.

მითოლოგიური ელემენტების  
ფოლკლორიზაცია ამირანის ეპოსში  
FOLKLORIZATION OF MYTHOLOGICAL ELEMENTS  
IN AMIRAN'S EPIC

ქეთევან სიხარულიძე  
Ketevan Sikharulidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ამირანის ეპოსი, ფოლკლორი, მითი,  
ეპიკური მოტივები

**Keywords:** Amiran's epic, folklore, myth, epic motifs

ამირანის თქმულება თავისი წარმოშობით უძველესი ძეგლია და, ბუნებრივია, როგორც არქაულ ეპოსში, მასში თავიდანვე იქნებოდა მითოლოგიური მოტივები თუ სახეები. საუკუნეების განმავლობაში თქმულებამ ბევრი ცვლილება განიცადა, როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. ცვლილებები შეეხო მითოლოგიურ სახეებსაც, რომლებმაც ეპოსის კანონების ზეგავლენით დაკარგეს საკრალურობა და ჩაერთნენ ფოლკლორიზაციის პროცესში.

ფოლკლორულ ტექსტებში ტრანსფორმაციები უშუალოდ უკავშირდება მთქმელების როლს ნაწარმოების შესრულების პროცესში. ზეპირსიტყვიერი ტექსტი, როგორც მენტალური მოვლენა, არსებობს ე.წ. ავანტექსტის (გარკვეულწილად, აბსტრაქტული ტექსტის) სახით. მთქმელი ყოველი შესრულებისას, შეიძლება ითქვას, ხელახლა ქმნის მას და, შესაბამისად, ყველა ინოვაციისა და ცვლილების ავტორიც თვითონაა. ეს გაპირობებულია ეპოქალური ვითარებით, მოცემული მომენტის თავისებურებით, აუდიტორიის განწყობითა და შემსრულებლის პირადი ემოციური მდგომარეობით. ამას გარდა, აქ მოქმედებს ფოლკლორული განვითარების კანონზომიერებანი, რომლებშიც ერთდროულად თავს იჩენს როგორც ტრადიციულობა, ისე იმპროვიზაცია. არსებობს ორი განსხვავებული დამოკიდებულება ტრადიციისადმი – შედარებით მკაცრი და შედარებით თავისუფალი, რამაც ჩამოაყალიბა მთქმელთა ორი ძირითადი ტიპი: „ტრადიციონალისტიკა“ და „იმპროვიზატორისა“. რასაკვირველია, ტექსტის ძირითად შინაარსს ორივე გადმოსცემს, მაგრამ იმპროვიზატორს მეტი ცვლილება შემოაქვს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებები არ სცდება ხალხური პოეტიკის კანონებს, ტრადიციული ფოლკლორული ფორმულების ფარგლებს. ამირანის თქმულებაშიც ტრანსფორმაციები იმპროვიზატორთა შემოქმედებითი იმპულსის შედეგია.

ამირანის თქმულების წამყვანი თემა ღმერთმებრძოლობაა, რომლის წყარო დაპირისპირებულთა ბრძოლის მითოლოგიამაა, მაგრამ ეპოსში მითოლოგიური მოტივი კარგავს თავის არსებით ნიშანს და ძლიერ ფოლკლორიზაციას განიცდის. თქმულების ძირითადი სტრუქტურული სქემა აგებულია დაპირისპირებულთა ბრძოლის უნივერსალური მოდელის მიხედვით, მაგრამ იმის გამო, რომ ეპიკური კანონზომიერებით ამირანის სახე საკმაოდ გაადამიანებულია,

მის დაპირისპირებას ღმერთთან აღარ აქვს კოსმოლოგიური მნიშვნელობა, რაც მითებისთვისაა დამახასიათებელი. ამირანის ღმერთთან დაპირისპირება ლოგიკას მოკლებულია (სავარაუდოდ, დაკარგულია ამ დაპირისპირების რეალური მიზეზი, რომელიც, ალბათ, უძველეს ვერსიაში იქნებოდა). მთქმელები ცდილობდნენ, თავად მოეძებნათ ახსნა და ამათ განაპირობა ამირანის ხასიათის უარყოფითი თვისებების გამოკვეთა (ამპარტავნება, უმადურობა, ფიცის გატეხა).

არაჩვეულებრივი შობის მოტივი ასევე მითოლოგიური წარმოშობისაა, რომელმაც ამირანის ეპოსში ეპიკური მოტივის სახე მიიღო და გმირის გამორჩეულობის ფუნქცია იკისრა, ისიც მხოლოდ სვანურ ვარიანტებში. მითოლოგიური წარმომავლობისაა ამირანის ზოგიერთი გარეგნული ნიშანიც. (საცრისოდენა თვალები, საავდროდ გამზადებული ღრუბელი, ოქროს კბილი), რომლებმაც ფოლკლორიზაციის გამო დაკარგეს საკრალურობა. ოქრო, საზოგადოდ, ღვთაებრივი სამყაროს განმასახიერებელი სიმბოლოა და შესაძლოა, მითოლოგიური წარმოდგენებიდან დაუკავშირდა ეპიკურ გმირს, თუმცა მანაც განიცადა ცვლილება. ამ ნიშნის საინტერესო ტრანსფორმაციას ვხვდებით ვარიანტში, რომელშიც მოთხრობილია, რომ ანგელოზმა ამირანს უფლის სახელით წინა ორი კბილი ბროლისა დაანათლა.

ღვთის ნათლულობა არის ის მყარი მოტივი, რომელიც თქმულების ყველა ვარიანტში გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ იგი აგვირგვინებს ღვთაებრივი თვისებების ტრანსფორმაციის პროცესს. სავარაუდოდ, იგი გაჩნდა თქმულებაში იმის შემდეგ, რაც ამირანის შობის პროცესში დაიკარგა არქაული ეპოსისთვის დამახასიათებელი ღვთაებრივი ელემენტები და მის მშობლებს ჩვეულებრივი მოკვდავები ჩაენაცვლნენ. აუცილებელი იყო ისეთი რამ, რაც შეცვლიდა ღვთაებრივ წარმომავლობას და გმირს მიანიჭებდა არაჩვეულებრივობას. სწორედ ეს ფუნქცია დაეკისრა ნათლობას.

The legend of Amiran is an ancient monument in its origin, and naturally, as in the archaic epic, there would be mythological motifs or images in it from the beginning. Over the centuries, the story has undergone many

changes, both in terms of structure and content. The changes also affected the mythological images, which lost their sacrality under the influence of the epic laws and were involved in the process of folklorization.

Transformations in folklore texts are directly related to the role of narrators in the performance of the work. An oral text, as a mental event, exists as an avatext (a somewhat abstract text). At each performance, the presenter can be said to recreate it, which means that he is the author of all innovations and changes. This is due to the epoch-making situation, the specifics of the moment, the mood of the audience, and the personal emotional state of the performer. In addition, there are patterns of folklore development, in which both traditionalism and improvisation are manifested at the same time. There are two different attitudes towards tradition – relatively strict and relatively free – which form two main types of storytellers: the “traditionalist” and the “improviser”. Of course, both convey the main content of the text, but the improviser makes more changes. However, it should also be noted that these changes do not go beyond the laws of folk poetry, and traditional formulas of folklore. Transformations in the history of Amiran are also the result of the creative impulse of improvisers.

The leading theme of the legend of Amiran is the struggle of the gods, the source of which is the mythologeme of the struggle of opposites, but in the epic, the mythological motif loses its essential sign and undergoes strong folklorization. The main structural scheme of the story is based on a universal model of the struggle of opposites, but since Amiran’s character is sufficiently humanized by an epic pattern, his confrontation with God no longer has the cosmological significance that is characteristic of myths. Amiran’s confrontation with God is devoid of logic (probably the true reason for this confrontation, which probably would have taken place in the ancient version, is lost). The narrators tried to find an explanation themselves, and this led to the highlighting of Amiran’s negative qualities (arrogance, ingratitude, breaking an oath).

There is also an unusual birth motif of mythological origin, which in the epic of Amiran took the form of an epic motif and assumed the function of highlighting the hero, and only in Svan variants. Some of the external signs of Amiran also have a mythological origin (eyes like a sieve, a cloud

prepared for a storm, a golden tooth), which have lost their sacredness due to folklorization. Gold is generally a symbol of the divine world and may have been associated with an epic hero from mythological representations, although it has changed. We find an interesting transformation of this sign in the version in which it is narrated that an angel christened two of Amiran's front teeth with crystal.

The baptism of Amiran is the main motive that can be found in all versions of this story. It can be said that it crowns the process of transformation of divine qualities. Most likely, he appeared in the legend after the divine elements characteristic of the archaic epic were lost during the birth of Amiran, and his parents were replaced by ordinary mortals. Something was needed that would replace the divine principle and give the hero an extraordinary appearance. This function was assigned to baptism.





ფენომენი და ენა (ტრანსცენდენტალური  
ფენომენოლოგიიდან ჰერმენევტიკულ  
ფენომენოლოგიაში)

PHENOMENON AND LANGUAGE (FROM  
TRANSCENDENTAL PHENOMENOLOGY  
TO HERMENEUTIC PHENOMENOLOGY)

მამია სურმავა

Mamia Surmava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ფენომენი, ტრანსცენდენტალური  
ფენომენოლოგია, ენა, ლინგვისტური შემობრუნება,  
ტრანსცენდენტალური ენობრივი თამაში,  
ჰერმენევტიკული ფენომენოლოგია

**Keywords:** phenomenon, transcendental phenomenology,  
phenomenon, language, linguistic turn, transcendental  
language game, hermeneutic phenomenology

ფენომენოლოგიური ფილოსოფიის ისტორიულ განვითარებაზე დაკვირვება ნათელს ხდის ფენომენოლოგიის ჰერმენევტიკულ ფენომენოლოგიად ტრანსფორმირების ფაქტს, უფრო ზუსტად კი, ამგვარი ტრანსფორმაციის ტენდენციას, რადგან პროცესი დღემდე გრძელდება. აღნიშნული ვითარება მჭიდროდ უკავშირდება ენის პრობლემატიკას. მოხსენება იმის ექსპლიციციურებას ახდენს, რომ ფენომენოლოგიის „ენობრივი შემობრუნება“ დამისი ჰერმენევტიკულ ფენომენოლოგიად ტრანსფორმირება საკუთრივ ფენომენოლოგიური პრობლემატიკის შინაგანი განვითარების ლოგიკით არის განსაზღვრული. ე.ი. საქმე გვაქვს არა ფენომენოლოგიური ფილოსოფიის პარადიგმის თვისებრივ ცვლილებასთან, არამედ მასში იმთავითვე მოცემული ინტენციების განხორციელებასთან. კერძოდ, ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის ინტუიციებაზე დამყარებული დესკრიფციის იდეალზე ორიენტირების მიუხედავად, მნიშვნელობის პრობლემასთან ერთად, ენა უკვე ე. ჰუსერლთან ექცევა ფენომენოლოგიური კვლევის არეალში, რადგან აშკარა ხდება არა უბრალოდ ენისა და აზროვნების კავშირი, არამედ სამყაროს გამოცდილების არათემატური ლინგვისტური განზომილების არსებობაც. სწორედ ამ მიმართულებით განხორციელებული ძიებების შედეგი გახლავთ ინტენციონალური აქტის პროპოზიციულ დისპოზიციად რეინტერპრეტირება, ინტუიციური შინაარსების წანამძღვრად „ტრანსცენდენტალური ენობრივი თამაშის“ დაფუძნება, ფენომენალურობის ენასთან დაკავშირება და სხვ. ე.ი. ის პრინციპები და თეორიები, რომლებიც ფენომენოლოგიის ლინგვისტური შემობრუნების დამისი რეზულტატის – ჰერმენევტიკული ფენომენოლოგიის ფუნდამენტური ასპექტებია.

Observing the historical development of phenomenological philosophy clarifies the fact of the transformation of phenomenology into hermeneutic phenomenology, or more precisely, as the process continues to this day, the tendency of such transformation. The mentioned situation is closely related to the problem of language. The report explains that the “linguistic turn” of phenomenology and its transformation into hermeneutic phenomenology is determined by the logic of the internal development of

the phenomenological problems itself. That is, we are dealing not with a qualitative change of the paradigm of phenomenological philosophy, but with the implementation of the intentions given in it from the beginning. In particular, despite the orientation of transcendental phenomenology towards an ideal of description based on intuition, language is already presented in Husserl's works as an object of study, along with the problem of meaning, since already from this period not only the connection between language and thinking became obvious but also the existence of non-thematic linguistic dimensions of the experience of the world. The results of studies carried out in this direction are a rethinking of the intentional act as a propositional disposition, the establishment of a "transcendental language game" as a presupposition of intuitive contents, the connection of phenomenality with language, etc.; that is, the results are those principles and theories that are fundamental aspects of the linguistic turn of phenomenology and its outcome – hermeneutic phenomenology.



**მიხალ ანჯეიკოვიჩ-ბუტოვტი – დევნილი  
პოლონელი ლიტერატორი**

**MIKHAL ANJEKOVICH-BUTOVT – EXILED POLISH  
WRITER**

**მარიამ ფილინა**

**Mariam Filina**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** დევნილი პოლონელი პოეტი, მიხალ  
ანჯეიკოვიჩ-ბუტოვტი, „კავკასიის ნარკვევები“,  
პოლონელები და ქართული ლიტერატურა და კულტურა  
**Keywords:** exiled Polish poet, Mikhal Anjekovich-Butovt, “Essays  
of the Caucasus”, Poles and Georgian literature and culture

XIX საუკუნის 1830-1850-იან წლებში კავკასიაში, პირველ რიგში თბილისში, როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრში, ფუნქციონირებდა პოლონური ლიტერატურის ერთგვარი მცირე ფილიალი – კავკასიური განდევნილობის ლიტერატურისა. კავკასიელი ლიტერატორების ჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი მიხალ ანჯეიკოვიჩ-ბუტოვტს ეკუთვნის.

მიხალ ანჯეიკოვიჩ-ბუტოვტი იყო ტადეუშ ლადა-ზაბლოცკის მეგობარი. მისი ცხოვრების შესახებ არ არის ბევრი რამ ცნობილი. მიხალ ანჯეიკოვიჩ-ბუტოვტის ყველაზე პუნქტირული ბიოგრაფიის შედგენისასაც კი უამრავი უზუსტობისთვის გვიწევს „გვერდის აქცევა“. დაიბადა დაახ. 1816 წელს. ცხოვრობდა ვოლინში.

ანჯეიკოვიჩი შიმონ კონარსკის შეთქმულების მონაწილე იყო და გადასახლებულ იქნა კონარსკის საქმის გამო. დააპატიმრეს 1838 წელს და კიევში იმყოფებოდა პატიმრობაში. 1839 წელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რაც შეუცვალეს კავკასიის კორპუსში რიგითად გადასახლებით, ნამსახურობის უფლების გარეშე, თავადაზნაურის წოდებისა და ქონების ჩამორთმევით. ეს ითვლებოდა უმძიმეს სასჯელად. მსახურობდა არტილერიაში, მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1841 წელს ნამსახურობის უფლება მიიღო. 1845 წელს ოფიცრის ჩინისთვის იქნა წარდგენილი. 1853 წელს, ახლობლების მცდელობათა წყალობით, მოახერხა გრენადერთა საარტილერიო კორპუსში გადასვლა, რომელიც დისლოცირებული იყო ნოვოგროდის გუბერნიაში, 1855 წელს კი სამსახურიდანაც გადადგა. ბუტოვტ-ანჯეიკოვიჩი პეტერბურგში დასახლდა.

ანჯეიკოვიჩის ეთნოგრაფიულ საქმიანობასა და კავკასიის აღწერას სერიოზული შეფასება მისცა ზაბლოცკიმ. რომუალდ პოდბერესკისთან და იუზეფ იგნაცი კრაშევსკისთან მიწერილ წერილებში იგი იუწყებოდა: „ანჯეიკოვიჩი ადგილობრივ ენებს შეისწავლის, მუშაობს „კავკასიის აღწერაზე“ ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, სტატისტიკურ ასპექტებში და, იმავდროულად, ამზადებს რეპორტაჟს – „კავკასიის ნარკვევები“.

ლეონ იანიშევსკი კი ირონიით, გამქირდავად აღწერს ანჯეიკოვიჩის მუშაობის მეთოდებს და მას კომპილატორს უწოდებს. იმავე ადრესატთან მიწერილი მისი წერილიდან ვიკებთ მის მიერ უცხოელ ავტორთა ციტატების კარტოთეკის შედგენისა და ადგილობრივ

მცხოვრებლებში ცნობების მოძიების შესახებ. „ერთი სიტყვით, გამუდმებით ეძებს და აგროვებს“.

პირველი ნაწარმოების ფრაგმენტი „ათენეუმში“ გამოაქვეყნა კრაშევსკიმ (1843, ტ. 2), მეორე ნაშრომი ვარშავაში გამოჩნდა 1859 წელს. ყოფილ გადასახლებულს დიდი არჩევანი არ ექნებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ სად გამოაქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს. რასაკვირველია, იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ რჩებოდა და გადაადგილება მხოლოდ რუსეთის იმპერიის საზღვრებში შეეძლო. თავისი ნაშრომის ვარშავაში გამოქვეყნების მცდელობა ცუდად შემოუტრიალდა. 1856 წლის 2 მარტს პეტერბურგიდან წერს კრაშევსკის: „... ბოლო წლებში განსაკუთრებით რთულია კავკასიის შესახებ რამის გამოქვეყნება, ვინაიდან, გარდა ჩვეულებრივი ცენზურისა, კავკასიურმა ნაწარმოებებმა კიდევ ორი ცენზურა უნდა გაიაროს – სამხედრო და კავკასიური, რომლის არც ერთმა თანამშრომელმა პოლონური არ იცისო“. „ნარკვევებმა“ ცენზურა გაიარა მხოლოდ 1858 წელს ვილნიუსში. ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელიც შამილის წინააღმდეგ სისხლიან ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას, ასევე, დარგოს, ჩირკეის, აკუშას ექსპედიციებში, იმის გარდა, რომ ამგვარი ბრძოლები მიმდინარეობდა, ვერაფერი დაწერა. არსად არავითარი ცნობა არ მოიპოვება მწერლის უახლოესი წრის შესახებ, თუმცა თხრობა პირველ პირში მიდის. ტექსტი ცენზურის მიერ კარგად „განმენდილის“ შთაბეჭდილებას ტოვებს.

„კავკასია“, ისევე, როგორც გადასახლებულთა დღიურები, ესკიზები თუ მოგონებები, იძულებით მოგზაურის ჩანაწერებს წარმოადგენს. დასანანი, რომ ცენზურამ ასე დაამახინჯა ტექსტი, ვინაიდან ანჯეიკოვიჩის „კავკასიის ესკიზები“ დევნილთა ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დეტალური დოკუმენტია.

ორტომიანი ნაშრომი „კავკასიის ნარკვევები“ პოლონურ ნარკვევებს შორის მოცულობით მხოლოდ მათეუმ გრალევსკის „კავკასიას“ უტოლდება. მისი ჟანრის განსაზღვრა რთულია, საქმე გვაქვს ჩანაწერთან, თავისებურ დღიურებთან, რომლებიც ღრმად მეცნიერულ ხასიათს არ ატარებს, თუმცა დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს.

თბილისში მან უზარმაზარ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მასალას მოუყარა ცალკე ნაწილი. „ნარკვევების“ „ქართულ ნაწილში“

ანჯეიკოვიჩი აღწერს დუშეთს, მცხეთას და, პირველ ყოვლისა, თბილისს. არქიტექტურული ძეგლების, ციხე-დარბაზების შესახებ ამბებს ენაცვლება ლეგენდები ქალაქსა თუ საქართველოს სხვადასხვა რაიონზე. მაგალითად, ერთი ასეთი ლეგენდა არის ციხე-დარბაზების ნანგრევების შესახებ, რომელიც (როგორც ავტორი ამბობს) თამარ მეფის დროსაა აშენებული, ე. ი. XII საუკუნეში.

ანჯეიკოვიჩი, მართლაც, ზედაპირულად, ყოველგვარი მეცნიერული სიღრმის გარეშე, მოგზაურის თვალთ ცდილობდა კავკასიელ ხალხთათვის დამახასიათებელი და ევროპელისათვის წარმოდგენელი მრავალფეროვნების ჩანვდომას: „მიდიხარ ჩვენს ასენოვან კავკასიაში, მოუკიდებ ყალიონს ერთი რაიონის რომელიმე კერიასთან და სანამ ჩაქრება, უკვე რამდენიმე მხარესა და ხალხს მოიტოვებ უკან“.

ზოგადად, როდესაც საუბარია იმ პერიოდის სამეცნიერო აღწერილობებზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია დროის კონტექსტი. აღწერისთვის შეიძლება ხელი მოეკიდა ყველა მოგზაურს და მიეცა თავისი შენიშვნებისთვის თითქოსდა მეცნიერული ხასიათი. პირველ ეტაპზე, როდესაც მოვლენის მეცნიერული აღწერა იწყება, ხოლო შეფასების კრიტერიუმები ჯერ შემუშავებული არ არის, თითქმის ყველა დოკუმენტს გარკვეული წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვს. რაც შეეხება კომპილაციას, იგი თითქმის შეუძლებელია, იმიტომ, რომ იგი, ფაქტობრივად, ვერაფრისგან ვერ შედგებოდა, თუმცა ჩვენ არ ვაკნინებთ იმ პერიოდისათვის შექმნილი უამრავი აღწერის მნიშვნელობას.

In the 1830s-1850s of the 19th century in the Caucasus, primarily in Tbilisi as the center of Transcaucasian cultural life, a kind of small branch of Polish literature functioned – the literature of the Caucasian exile. In the group of Caucasian writers, an important place belongs to Michal Anjekovich-Butovt.

Michal Anjekovich-Butovt was a friend of Tadeusz Lada-Zablotski. Not much is known about his life. Even when compiling the most detailed biography of Michal Anjekovich-Butovt, we have to “turn the page” for many inaccuracies. Born approx. in 1816. Lived in Volyn.



Anjekovich was a participant in the Shimon Konarski conspiracy and was exiled for the Konarski affair. He was arrested in 1838 and was imprisoned in Kiev. In 1839, he was sentenced to death, which was replaced by exile in the Caucasus corps as a private without the right to serve, with the deprivation of the title of nobility and property. This was considered the most severe punishment. He served in the artillery, participated in battles against Shamil. He received the right to serve in 1841. In 1845, he was promoted to the rank of officer. In 1853, thanks to the efforts of his relatives, he managed to transfer to the grenadier artillery corps, which was stationed in Novogrod province, and in 1855 he retired from the service. Butovt-Anjekovich settled in St. Petersburg.

Zablotski gave a serious assessment to Andjekovich's ethnographic work and description of the Caucasus. In his letters to Romuald Podbereski and Józef Ignatsi Kraszewski, he reported: "Anjeković studies local languages, works on the description of the Caucasus" in historical, archaeological, ethnographic, statistical aspects, and at the same time prepares the report "Essays of the Caucasus".

Leon Yanishevsky ironically describes Andjekovich's working methods and calls him a compiler. From his letter to the same addressee, we learn about his compilation of a cartothèque of quotations from foreign authors and his search for references among local residents. "In a word, he constantly searches and collects."

A fragment of the first work was published in "Atheneum" by Kraszewski (1843, vol. 2), the second work appeared in Warsaw in 1859. The former exile would not have had much choice as to where he published his works. Of course, he remained under police surveillance and could only move within the borders of the Russian Empire. An attempt to publish his work in Warsaw turned out badly. On March 2, 1856, wrote to Kraszewsky from St. Petersburg: "... in recent years it is especially difficult to publish something about the Caucasus, since, in addition to the usual censorship, Caucasian works must pass two more censorships – military and Caucasian, whose employees do not know Polish." "Essays" passed censorship only in 1858 in Vilnius. It is hard to believe that a person who took part in bloody battles against Shamil, as well as in the expeditions of Dargo, Chirkei, Akusha, could not write anything except that such battles took place. Nowhere is

there any information about the writer's immediate circle, although the narration is in the first person. The text leaves the impression of being well "cleaned".

"Caucasus", as well as the diaries, sketches and memories of exiles, are the records of a forced traveler. It is regrettable that the censor distorted the text in this way, since Anjekovich's "Essays of the Caucasus" is one of the most detailed documents of the literature of the Polish exiles.

The two-volume work "Essays of the Caucasus" is equaled only by Mateusz Gralewski's "The Caucasus" among Polish essays. It is difficult to define its genre, we are dealing with records, peculiar diaries, which are not deeply scientific in nature, although they are of great source knowledge importance.

In Tbilisi, he added a separate part to the huge historical and ethnographic material. In the "Georgian part" of "Essays", Anjekovich describes Dusheti, Mtskheta and, above all, Tbilisi. Stories about architectural monuments and castles are replaced by legends about the city or different regions of Georgia. For example, one such legend is about the ruins of castles, which (as the author says) were built during the reign of King Tamar, e.g. i.e. in the 12th century.

When it comes to scientific descriptions of the period, the context of the time must be taken into account. Every traveler could take up the description and give his notes a quasi-scientific character. At the first stage, when the scientific description of the event begins, and the evaluation criteria have not yet been developed, almost all documents have a certain source knowledge value. As for the compilation, it is almost impossible, because it could not, in fact, consist of anything. However, we do not discount the importance of the many descriptions created for the period.

სამხრეთ კავკასიისა და ირანის  
ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის დასაწყისის ერთი  
ძეგლის არქეოლოგიური კონტექსტის  
ანალოგიებისათვის

FOR THE ANALOGUES OF ARCHAEOLOGICAL CONTEXT  
OF SOUTH CAUCASIAN AND ONE IRANIAN SITE  
OF THE BEGINNING OF THE 3RD MILLENNIUM BC.

მარინე ფუთურიძე

Marine Puturidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სამხრეთ კავკასია, ირანი, მტკვარ-არაქსის  
კულტურა, ნასახლარი, კერამიკული ნაწარმი  
**Keywords:** South Caucasus, Iran, Kura-Araxes culture, settlement,  
ceramic production

ნაშრომი ეძღვნება ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის არსებითი არქეოლოგიური კონტექსტის ანალოგებს და მათ შეფასებას, ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილო-დასავლეთ ირანში არსებული გოდინ თეფეს ძეგლებიდან. ამ ასპექტის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ გოდინ თეფეს მე-4 ფენა, ფაქტობრივად, ყველაზე უკეთ და ფართოდ წარმოგვიდგენს მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებას უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ეს კულტურა განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული იყო ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის დასაწყისიდან მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონში და, მათ შორის, ირანში, სადაც, ფაქტობრივად, არ გვაქვს წარმოდგენილი ადრეული ეტაპის მტკვარ-არაქსული არქეოლოგიური მონაცემები. ვინაიდან სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი, შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ყველაზე თვალნათლივ დასტურდება ამ კულტურის საწყისი ხანის ძეგლები, მკვლევრები ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება იმის მაჩვენებელი ჩანს, თუ საიდან გავრცელდა ის ირანში.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სამი ეტაპისათვის შექმნილი ლოკალიზაციის რუკები იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ მისი თავდაპირველი გავრცელების ტერიტორია სწორედ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილშია და შემდგომ, განვითარებულ ეტაპზე, იკავებს ის გაცილებით ვრცელ ტერიტორიას. საკუთრივ ჩრდილო-დასავლეთ ირანში ამ კულტურის მასალები წარმოდგენილია ისეთ ნამოსახლარებსა და კულტურულ ფენებში, როგორებიცაა: თეფე გიიანი, იანიკ თეფე, გოდინ თეფე, გეოი თეფე და სხვ.

აღნიშნული არქეოლოგიური კომპლექსებიდან ყველაზე მრავალფეროვან მასალას სწორედ გოდინ თეფე შეიცავს. ის მრავალფენიანი ნამოსახლარია, სადაც უადრესი ფენა განეკუთვნება ხალკოლითის პერიოდს და ძვ.წ. მე-6 ათასწლეულით თარიღდება, რომელსაც მოსდევს ჰიატუსი, ხოლო ამ წყვეტილის შემდეგ ნამოსახლარ ბორცვზე სახლდება სრულიად ახალი, ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობა, რომელიც ქრონოლოგიურ სქემაში გამთხრელების მიერ განისაზღვრა რო-

გორც გოდინ თეფეს მე-4 ფენა და რომელიც ამჟამად ჩვენი კვლევის საგანია. მას მოსდევს შემდგომი პერიოდის კულტურათა ფენები, რომლებიც გრძელდებოდა ძვ.წ. 1-ელი ათასწლეულის შუა ხანამდე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გოდინ თეფეს ბორცვის ინტენსიური ათვისება ადამიანების მიერ იწყება ადრეული სამინათმობქმედო კულტურიდან, პირველი სახელმწიფოსა და იმპერიის გამოჩენის ჩათვლით.

გოდინ თეფეს 15 ჰექტარისა და 30 მეტრამდე სიმაღლის ბორცვი, რომელიც მესოპოტამიიდან ზაგროსის მთიანეთისკენ მიმავალ მთავარ გზაზე, კანგავარის დაბლობზე, მდებარეობს, ყველაზე დამაჯერებლად და ფართოდ წარმოგვიდგენს სამხრეთ კავკასიის ცენტრალური რეგიონიდან მიგრირებული კულტურული პლასტის გამოჩენას ირანში.

ცხადია, რომ ამის უპირველესი დამადასტურებელი ის არქეოლოგიური კონტექსტია, რომელიც აღნიშნული ძეგლის მე-4 ფენაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე დომინანტურია თიხის ჭურჭელი, რომელიც, როგორც მტკვარ-არაქსის, ისე ნებისმიერი არქეოლოგიური კულტურებისათვის სადიაგნოსტიკო არტეფაქტადაა მიჩნეული. კერამიკა, როგორც წესი, უტყუარად მეტყველებს ამა თუ იმ ძეგლის კულტურულ კუთვნილებაზე. ამიტომაც, გოდინ თეფეს მე-4 ფენის ამ კატეგორიის მასალის შესწავლისა და მისი ამიერკავკასიურ მასალებთან ანალოგიების თვალსაზრისით, ცხადია, საგანგებო მნიშვნელობა სწორედ მას მივანიჭეთ. ირანის ამ ძეგლის თიხის ჭურჭლის ტიპი, მათი ზედაპირის დამუშავება, ფორმები და მათი პროფილები და სხვა მახასიათებლები ცალსახად მიუთითებს მათ კულტურულ კუთვნილებაზე, რომელსაც არც ერთი სპეციალისტი არ აყენებს ეჭვქვეშ. ჩამოთვლილთან ერთად, კერამიკის ერთ-ერთი უტყუარი სადიაგნოსტიკო ელემენტი ყურია, რომლის ტიპი სრულიად გამორჩეულია და მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურის მახასიათებლად ითვლება.

აღნიშნულ ნაწარმთან ერთად გოდინ თეფეზე წარმოდგენილია ისეთი არტეფაქტები, როგორებიცაა: ცხოველების მცირე პლასტიკის ნიმუშები, ბორბლის მოდელი, ქვის საფქვაკები, ლითონის ყალიბი, სანაყები, ძვლისა და ქვის იარაღი და სხვ. ეს კომპლექსები ცალსახად

ლაპარაკობენ მისი მოსახლეობის განვითარებულ სამინათმეოქმედო პრაქტიკაზე. გარდა ამისა, ანალოგები დასტურდება საცხოვრისის გეგმარებაში, სამშენებლო მასალასა და კონსტრუქციის სხვადასხვა დეტალში. ყველა ამ კომპონენტით გოდინ თეფე არაერთ ანალოგს პოულობს ამიერკავკასიის სინქრონულ ძეგლებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვასკვნი, რომ ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის დასაწყისის ირანის ეს ნამოსახლარი უაღრესად მნიშვნელოვანი კომპლექსია ამიერკავკასიიდან გავრცელებული ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის ინფილტრაციის სასარგებლოდ ჩრდილო-დასავლეთ ირანის რეგიონში.

The presented paper is devoted to the essential archaeological context analogues of the Early Bronze Age Kura-Araxes Culture and their assessment. Among them are the historical sites located in the South Caucasus, on the one hand, and Godin Tepe monuments from north-west Iran, on the other. The study of this aspect is especially significant as Stratum IV of Godin Tepe actually reveals best of all, and most widely, the spread of the Kura-Araxes Culture towards extreme northeast.

It is worth noting that from the beginning of the 3rd millenium BC, the mentioned culture is most widely introduced in different regions of Near East, among them in Iran, where actually the archaeological data of the early stage Kura-Araxes Culture are not represented. Due to the fact that in the South Caucasus, and particularly in the territory of Inner and Lower Kartli, the monuments of the initial period of the afore-mentioned culture are most vividly confirmed, like many other researchers, I regard that this circumstance indicates from where it spread to Iran.

The localisation maps created for the three stages of dissemination of the Kura-Araxes Culture point to the fact that the area of its initial spread is located in the central part of South Caucasus. Then, on the stage of development, it occupies a significantly vaster territory. In north-west Iran itself the materials of the culture under discussion are presented in such former settlements and cultural layers as: Tepe Giyan, Yanik Tepe, Godin Tepe, Geoy Tepe and others.

Of the above-mentioned archaeological complexes, Godin Tepe includes the most diverse materials. It is a multilayer settlement in which the earliest stratum belongs to the Chalcolithic period and is dated to the 6th millennium BC, followed by a hiatus. After this temporary gap, this hill is settled by an absolutely new population, bearers of Early Bronze Age Kura-Araxes Culture. In the chronological scheme, the archaeologists digging that site determined it as Godin Tepe Stratum IV, which represents the main subject of my research. It is followed by the layers of the cultures which lasted until the mid of the 1st millennium BC. Accordingly, it can be concluded that the intensive exploitation of Godin Tepe site by people starts from the early agrarian culture and continues up to the emergence of the first state and empire.

The hill occupying 15 ha, with the height of about 30 metres (which is situated on the main road from Mesopotamia to Zagros mountainous area, on Kangavar Plain) is the site which most convincingly and widely explains the appearance in Iran of the cultural stratum that immigrated from the central region of South Caucasus.

It is obvious that, first of all, it can be confirmed by the archaeological context which is represented quite diversely in Stratum IV. The most dominant among them is pottery, which is considered to be the diagnostic artefact for Kura-Araxes as well as any other culture. Ceramics, as a rule, unmistakably states the cultural belonging of the monument. Therefore, while studying the materials of Godin Tepe Stratum IV and its Caucasian analogues, we attached special importance to pottery. The type of the pottery products of this monument, the elaboration of their surface, their shapes, profiles and other features clearly point to their cultural belonging, which is not challenged by any specialist. In addition to the enumerated, one of the infallible diagnostic elements is a handle. It is of a distinguished type and is considered to be only characteristic of Kura-Araxes Culture.

Together with the mentioned products, at Godin Tepe one can find such artefacts as: zoomorphic figurines, wheel models, stone grinders, metal moulds, mortars, bone and stone tools and many others. These complexes testify to the developed agrarian practice of their population. Apart from that, analogies are confirmed in the planning of living spaces, building

materials and different construction details. With all these components Godin Tepe is similar in many ways to the synchronic monuments of Transcaucasia.

Based on the discussed facts, Godin Tepe settlement in Iran, which is dated to the early 3rd millennium BC, is an extremely important complex testifying in favour of infiltration of the early Bronze Age Culture spread in Transcaucasia into north-west region of Iran.



მეცნიერებათა კლასიფიკაცია  
ახალი დროის ფილოსოფიაში

CLASSIFICATION OF SCIENCES  
IN MODERN PHILOSOPHY

მაია ქერქაძე

Maia Kerkadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მეცნიერება, ბუნებისმეცნიერება,  
გონისმეცნიერება

**Keywords:** sciences, natural science, human sciences

თუ თვალს მივადევნებთ მეცნიერული ცოდნის ისტორიულ განვითარებას, აღმოჩნდება, რომ ადამიანი, პირველ ყოვლისა, ცდილობდა გაეგო, რას წარმოადგენს ის ბუნებრივი სამყარო, რომელშიც იგი ცხოვრობს. პირველი ფილოსოფოსების თეორიულ ინტერესს იწვევდა იმის გაგება, რა არის ბუნება, ამიტომ მათ „ფიზიკოსებს“ უწოდებდნენ. ადამიანი და მისი სამყარო თითქოს ამოვარდნილი იყო შემეცნებითი ინტერესის სფეროდან. მართალია, გვიანდელ ანტიკურობაში წარმოიშვა როგორც ბუნებისმეცნიერების სხვადასხვა დარგი (მედიცინა, ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია), ისე ჰუმანიტარული მეცნიერებანი (ისტორიოგრაფია, ფილოლოგია), მაგრამ შემდგომ ბუნებისმეცნიერების განვითარება უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა, ვიდრე ჰუმანიტარული მეცნიერებანი.

მეცნიერების პირველი დიფერენცირება ცალკეულ მეცნიერებებად არისტოტელეს ეკუთვნის, რომელიც ახდენდა ბუნების საგნების სისტემატიზებას. პირველი ფილოსოფოსები („ნატურ-ფილოსოფოსები“), თითოეული თავისებურად, კვლევის საგნად აქცევდნენ ბუნებას. ბუნებისმეცნიერებების პროგრესულმა განვითარებამ და კვლევაში ჩაღრმავებამ გამოიწვია მისი დაყოფა ცალკეულ დარგებად კვლევის საგნის მიხედვით ან შრომის განაწილების პრინციპით. ბუნებისმეცნიერებათა ავტორიტეტი ემყარება, ერთი მხრივ, სიზუსტეს და თანმიმდევრობას, მეორე მხრივ – პრაქტიკულ მნიშვნელობას, როგორც ბუნების დამოჩილების საშუალებას.

ბუნებისმეცნიერებათა განვითარების შედეგად განმანათლებლობის ეპოქაში აღმოცენდა წარმოდგენა სამყაროზე, რომლის თანახმად, ყველა მოვლენა გამოწვეულია მიზეზებით და მათი ახსნა უნდა მოხდეს მექანიკის კანონების შესაბამისად. ამგვარ წარმოდგენას სამყაროზე შემდეგ ფილოსოფოსებმა უწოდეს სამყაროს მიზეზობრივ-მექანიკური სურათი. ამით მეცნიერული აზროვნებიდან განდევნილი იქნა თეოლოგია და მეტაფიზიკა, როგორც მოჩვენებითი მეცნიერებანი.

ახალი დროის ფილოსოფიაში მეცნიერებათა კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო პრინციპული განსხვავების გაგება ბუნებასა და ადამიანის სამყაროს, კულტურას შორის.

კულტურის მეცნიერებები, ანუ ისტორიულ მეცნიერებები, სამეცნიერო სივრცეში მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან შემოვიდა. ეს არის მეცნიერებები, რომლებიც სწავლობენ ადამიანის, გონის ქმნილებებს, კულტურის წარმონაქმნებს და მთლიანად კულტურის სფეროს, რომელშიც მოიაზრება ისეთი ფენომენები, როგორებიცაა: მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია, სახელმწიფო, ეკონომიკა, სამართალი, სხვა ნორმატიული სისტემები (ზნეობა, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები), ტექნიკა – ყველაფერი ის, რასაც ადამიანი ქმნის ისტორიულ პროცესში. გამოთქმა „მეცნიერებანი გონის შესახებ“ პირველად გამოიყენა გერმანელმა მეცნიერმა შილმა, რომელმაც 1849 წელს ინგლისურიდან თარგმნა ჯონ სტიუარტ მილის „ლოგიკა“, და არის თარგმანი გამოთქმისა „ზნეობის მეცნიერებანი“.

მეცნიერების ფილოსოფიისათვის გონისმეცნიერებათა და ბუნებისმეცნიერებათა გამიჯვნა მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელშიც თავს იჩენს დაპირისპირება რაციონალურსა და ირაციონალურს შორის. (რაციონალური – გონებით წვდომილი, გონებით გასაგები, გონების შესაბამისი, სრულად გააზრებული, გონების მეშვეობით გააზრებული; ირაციონალური არის ის, რაც გონებით არ მიიწვდომება, რაც ლოგიკის კანონებს არ ემორჩილება, რაც შეფასებულია როგორც „გონების ზემოთ მყოფი“).

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ვილჰელმ დილთაი მკვეთრ ზღვარს ავლებს გონისმეცნიერებებსა და ბუნებისმეცნიერებებს შორის. ბუნებისმეცნიერებათა და გონისმეცნიერებათა განსხვავების დადგენამ ფილოსოფოსები მიიყვანა მათი მეთოდების დაპირისპირების გაგებამდე: რაკი ბუნება და კულტურა, როგორც რეალობანი, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულია, მათი კვლევის მეთოდიც განსხვავებული უნდა იყოს, რაც შეიძლება დადგინდეს ამ მეცნიერებათა მიზნებისა და შედეგების გნოსეოლოგიური ანალიზით. პირველად ეს ანალიზი ჩაატარა გერმანელმა ფილოსოფოსმა ვილჰელმ დილთაიმ. ბუნებისმეცნიერებანი – ეს არის მეცნიერული დისციპლინები, რომლებიც, განსხვავებული საგნების მიუხედავად, სწავლობენ ბუნების მოვლენებს და მათ კანონზომიერებებს. მათ აერთიანებთ ის, რომ ყველა მათგანი ბუნების მოვლენებს სწავლობს (მაგ., ფიზიკა

და ქიმია). ბუნებისმეცნიერებები იმით განსხვავდებიან გონის-მეცნიერებებისგან, რომ ამ უკანასკნელის საგანი ბუნების მოვლენა კი არ არის, არამედ ისეთი არსებულება, რომელსაც ადამიანის გონითი მოღვაწეობის კვალი ატყვია, რომელშიც რაიმე ფორმით გამოხატულია ადამიანის შემეცნებითი და პრაქტიკული ქმედება. ბუნებისმეცნიერებას ეძლევა გრძნობადი მასალა და ახსნის საშუალებით იგი ცდილობს, დაადგინოს კანონები – მიზებობრივი კავშირები. გონების მეცნიერებათა წარმომადგენელსაც ეძლევა გრძნობადი მასალა, მაგრამ ამ შემთხვევაში მეცნიერის მიზანი არ არის ზოგადი კანონის ჩამოყალიბება. გონისმეცნიერება გრძნობად მასალას განიხილავს როგორც რაღაცის გამოვლენას, გამოსახულებას. ამ შემთხვევაში გრძნობადი არის გარეგანი, რომელშიც გამოსახულია შინაგანი. ეს შინაგანი არის თავად სიცოცხლე, საზრისის შემცველი განცდა. შინაგანი ანუ სიცოცხლე, განცდა ყოველთვის გამოვლენილია გარეგანში – გამოსახულებაში. დილთაის მიხედვით, გონისმეცნიერებათა ამოცანაა ამ სინამდვილის გამოვლენათა განცდა და მათი გააზრება, წვდომა, გაგება. დილთაის აზრით, ბუნებისმეცნიერების სფერო – ეს არის ახსნის სარბიელი, ხოლო გონისმეცნიერებისა – გაგების სარბიელი.

If one follows the historical development of scientific knowledge, it turns out that man, first of all, tried to understand what the natural world in which he lives is. The theoretical interest of the first philosophers was to understand what nature is, so they were called “physics”. Human being and his world seemed to fall out of the field of cognitive interest. It is true that in Late Antiquity different fields of natural sciences (medicine, physics, chemistry, astronomy) and humanitarian sciences (historiography, philology) emerged, but later natural sciences developed faster than humanitarian ones.

The first differentiation of science into separate sciences belongs to Aristotle, who systematized natural objects. The first philosophers, each in his own way, made nature the subject of research.

As a result of the development of natural sciences in the Age of Enlightenment, an idea of the world arose, according to which all events are caused by purpose and must be explained in accordance with the laws of mechanics. Philosophers called such a view of the universe the causal-mechanical image of the universe. Thus, theology and metaphysics were banished from scientific thought as pseudo-sciences.

In the philosophy of the new age, the classification of sciences was based on the understanding of the principal difference between nature and the human world, culture. Cultural sciences or historical sciences entered the scientific space from the middle of the nineteenth century. These are the sciences that study the creations of man, the formations of culture and the field of culture as a whole. The expression “science about the mind” was first used by the German scientist Schill, who translated John Stuart Mill’s “Logic” from English in 1849, and is a translation of the expression “science of morals”.

For the philosophy of science, the separation of human sciences and natural sciences is an important problem, in which the opposition between rational and irrational appears.

The famous German philosopher Wilhelm Dilthey draws a sharp line between human sciences and natural sciences. Determining the difference between natural sciences and human sciences led philosophers to understand the opposition of their methods: since nature and culture, as realities, are fundamentally different from each other, their research methods must also be different, which can be determined by epistemological analysis of the goals and results of these sciences. This analysis was first conducted by the German philosopher Wilhelm Dilthey.

Natural sciences are scientific disciplines which, despite different subjects, study natural occurrence and their regularities. Natural sciences differ from intellectual sciences in that the subject of the latter is not a natural phenomenon, but an existing one, which has left the traces of human intellectual activity. Natural science is given sensible material and by means of explanation it tries to establish laws – causal relations.

A representative of the mental sciences is also given sensible material, but in this case the goal of the scientist is not to establish a general law.

Cognitive science considers sensitive material as a manifestation, an image of something. In this case, the sensible is the external, in which the internal is depicted. This inwardness is life itself, the feeling containing the sense. The inner, the feeling is always revealed in the outer image. According to Wilhelm Dilthey. The task of the intellectual sciences is to experience the manifestations of this reality and to comprehend, access, and understand them. According to Wilhelm Dilthey, the field of natural science is the field of explanation, and the field of human science is the field of understanding.

**გუსტავ შტრეზემანი – ვაიმარის რესპუბლიკის  
საგარეო პოლიტიკური კურსის მთავარი  
ფიგურა**

**GUSTAV STRESEMANN – THE MAIN FIGURE OF THE  
FOREIGN POLICY OF THE WEIMAR REPUBLIC**

**ფატი შეკლაშვილი**  
**Pati Sheklashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** გუსტავ შტრეზემანი, ვაიმარის რესპუბლიკა,  
ვერსალის ხელშეკრულება, რურის ოლქი, ლოკარნოს  
კონფერენცია

**Keywords:** Gustav Stresemann, Weimar Republic, Versailles Treaty,  
RuhrDistrict, Locarno Conference

გერმანიის ისტორიის რთულ მონაკვეთებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდია. 1919-1924 წლებში ვაიმარის რესპუბლიკის მწვავე საგარეო ვითარებას თან ახლდა ვერსალის შეზღუდვებით დამძიმებული ქვეყნის შიდა პოლიტიკური მდგომარეობაც. არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ფონი მტკივნეულად აისახა გერმანიის საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

არსებული ვითარება, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში ითხოვდა სწრაფ და გონივრულ გათვლებს. საჭირო იყო მოქნილი დიპლომატია. ასეთ გადამწყვეტ მომენტში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გუსტავ შტრეზემანიმა. შემთხვევითი არაა, რომ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდს 1923-იდან 1929 წლამდე ისტორიკოსთა უმრავლესობა „შტრეზემანის ერად“ მოიხსენიებს. ამ პიროვნების პოლიტიკური საქმიანობის განსხვავებული შეფასებების მიუხედავად, ერთი უდავოა – მან მოახდინა ძლიერი გავლენა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე.

გუსტავ შტრეზემანი დაიბადა ბერლინში 1878 წლის 10 მაისს. ბავშვობიდან აღტაცებული იყო ნაპოლეონით და ბისმარკით. მის ადრეულ პოლიტიკურ განათლებაზე დიდი გავლენა მოახდინა 1848 წლის რევოლუციის შესახებ მემკვიდრეობით დატოვებულმა წიგნების კოლექციამ. შემდეგში ბერლინისა და ლაიფციგის უნივერსიტეტებში შეისწავლა ლიტერატურა, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფია, სამართალი. 1903 წლიდან ნაციონალ-ლიბერალური პარტიის წევრობით დაიწყო პოლიტიკური კარიერა. გახდა ბრწყინვალე ორატორი. პირველ მსოფლიო ომში მხარს უჭერდა იმპერიის ოფიციალურ პოლიტიკას.

ომში დამარცხებისა და არსებული რეჟიმის კრახის შემდგომ იწყება შტრეზემანის პოლიტიკური მოღვაწეობის ახალი ეტაპი. იზრდება საგარეო პოლიტიკის მიმართ ინტერესი. თავის გამოსვლებში ხშირად აკრიტიკებს ვერსალის ხელშეკრულებას და, რაც მთავარია, რეაქციულ იდეებსა და საბოტაჟში ვერ ხედავს არსებული ვითარებიდან გონივრულ გამოსავალს.

1923 წელს, ყველაზე კრიზისულ პერიოდში, გახდა კანცლერი. „ვალდებულებების შესრულების“ და წინა საგარეო პოლიტიკური კურსის სრული რევიზიის საშუალებით ესწრაფოდა შეერბილებინა



საფრანგეთსა და ინგლისთან დაძაბული ურთიერთობა. ცდილობდა ლიბერალ-დემოკრატებისა და მემარჯვენე რესპუბლიკური ძალების გაერთიანებით კონსტიტუციური წყობის დაცვას. მას მალე მოუხდა კანცლერობიდან გადადგომა, მაგრამ შეინარჩუნა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

ჯერ მთავრობის, შემდეგ კი (1923 წელს) გერმანიის საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის, პერიოდში შტრეზემანს შეექმნა არა იმდენად საერთაშორისო ასპარეზზე რაიმე კურსის გატარების პრობლემა, არამედ, როგორც ასეთი, კურსის არარსებობა. ქვეყანა არსებითად დაიშალა ცალკეულ ნაწილებად, ვითარების განვითარების ტენდენციები საპირისპირო მიმართულებით წავიდა: თუ გერმანიის სამხრეთი მემარჯვენე ექსტრემისტების ხელში იყო, აღმოსავლეთით მემარცხენე ძალები სწრაფად იზრდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ჯერ კიდევ არ ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს და იყო კანცლერი, შტრეზემანს შიდა პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ურთიერთობის ლოგიკაზე დაყრდნობით, რომლითაც შეძლებდა, სწრაფად მორგებოდა სიტუაციას.

საგარეო პოლიტიკაში შტრეზემანის წინაშე დადგა ამოცანა, ეპოვა საფუძველი ყოვლისმომცველი დიალოგის დასაწყებად იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშვა გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ. შტრეზემანმა მიატოვა სამხედრო დაპირისპირების ლოგიკა და დაასრულა „პასიური წინააღმდეგობა“. ფაქტობრივად, მიაღწია მორალურ უპირატესობას, რაც აღმოჩნდა საკმაოდ ეფექტური საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი.

1923-1929 წლების პერიოდი უდავოდ მნიშვნელოვანი ეტაპია გერმანიის საგარეო პოლიტიკაში. მისი ორიგინალობა ემყარება გუსტავშტრეზემანისმიდგომებისორიგინალობასადადახვეწილობას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაში.

შტრეზემანის დამსახურებით საფრანგეთმა და ინგლისმა გერმანიის ინიციატივას ერთა ლიგაში განვევრიანებაზე მხარი დაუჭირეს. საფრანგეთმა გაიყვანა მებრძოლები რურის ოლქიდან, 1925 წელს ლოკარნოს კონფერენციაზე გადაწყდა გერმანიის ერთა

ლიგაში მიღების საკითხი, ასევე დაიდო რაინის საგარანტიო პაქტი.

გერმანიამ გონივრულად გამოიყენა დასავლეთის ქვეყნების შიში – ცენტრალურ ევროპაზე საბჭოური ექსპერიმენტის გავრცელებისა. ამ მიზანს ემსახურებოდა 1926 წლის 24 აპრილს გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება თავდაუსხმელობასა და ნეიტრალიტეტზე. შტრეზემანის გათვლებმა გაამართლა, გერმანია ერთა ლიგაში მიიღეს. მისი ძალისხმევით შედეგია, დაუესისა და იუნგის გეგმების დამტკიცებით, გერმანიისთვის დაკისრებული რეპარაციების შემსუბუქებაც. მთავარი მიზანი, გერმანია დაეხსნა საერთაშორისო იზოლაციიდან, მიღწეულ იქნა.

შტრეზემანი მხარს უჭერდა ევროპის კონფედერაციის იდეას. დიპლომატიური წარმატებები დიდი ძალისხმევით, საკუთარი სიმშვიდისა და ჯანმრთელობის გაღების ფასად მიიღო. 1929 წლის 3 ოქტომბერს ინსულტით გარდაიცვალა. შტრეზემანი ისტორიული ფიგურაა, რომლის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იზრდება. ის დარჩა გერმანიის ისტორიაში როგორც პატრიოტი, პრაგმატული პოლიტიკოსი და დიპლომატი.

One of the most difficult times in German history occurred in the aftermath of World War I. From 1919 to 1924, the Weimar Republic faced severe foreign pressures compounded by internal political challenges, heavily influenced by the constraints imposed by the Treaty of Versailles. The unstable political and economic environment deeply affected Germany's approach to foreign policy during this period.

The circumstances at that time, both domestically and in foreign policy, required swift and prudent decision-making. Flexible diplomacy was crucial, and Gustav Stresemann emerged as a pivotal figure during this critical period. It is not without reason that historians commonly label the years 1923 to 1929 in the Weimar Republic as the “Stresemann Era”. Despite varying interpretations of his political career, one undeniable fact is his significant impact on Germany's foreign policy.

Gustav Stresemann was born in Berlin in 1878 on May 10. Since childhood, he was fascinated by Napoleon and Bismarck. His early political education was greatly influenced by a legacy of books about the 1848 revolution.

Later, he studied literature, history, political economy, philosophy, law at Berlin and Leipzig universities. In 1903, he started his political career as a member of the National Liberal Party. He became a brilliant orator. In the First World War he supported the official policy of the empire.

After experiencing defeat in the war and the downfall of the current regime, Stresemann enters a new phase of political engagement. He increasingly focuses on foreign policy. In his speeches, he frequently condemns the Treaty of Versailles and, crucially, rejects reactionary ideologies and sabotage as viable solutions to the present circumstances.

In 1923, in the most critical period, he became chancellor. By means of “fulfilment of obligations” and a complete revision of the previous foreign policy course, he sought to soften the strained relations with France and England. He tried to protect the constitutional order by uniting liberal-democrats and right-wing republican forces. He soon had to resign from the chancellorship, but retained the post of foreign minister.

While leading the government and later, in 1923, heading the German Foreign Policy Department, Stresemann encountered not so much the challenge of pursuing a consistent international course, but rather the absence of such a course altogether. The country had effectively fragmented into separate factions, with developments heading in divergent directions: while right-wing extremists controlled the south of Germany, left-wing forces were gaining momentum in the east. Despite not formally leading the Foreign Ministry and serving as Chancellor, Stresemann had to navigate domestic policy based on the dynamics between autonomous territorial entities, swiftly adapting to evolving circumstances.

In the realm of foreign policy, Stresemann confronted the challenge of establishing a foundation for extensive dialogue concerning the issues arising between the victorious and defeated parties following the Treaty of Versailles. Stresemann abandoned the strategy of military confrontation and ceased “passive resistance”. Instead, he achieved moral ascendancy, proving to be a remarkably effective tool in foreign policy.

The period 1923-1929 is undoubtedly an important stage in the German foreign policy. Its originality is based on the originality and sophistication of Gustav Stresemann’s approaches in shaping the country’s foreign policy course.

Thanks to Stresemann, France and England supported Germany's initiative to join the League of Nations. France withdraws fighters from the Ruhr area in 1925. At the Locarno Conference, the issue of Germany's admission to the League of Nations was decided, and the Rhineland Guarantee Pact was signed.

Germany astutely exploited the apprehensions of Western countries regarding the spread of Soviet influence in Central Europe. On April 24, 1926, the German-Soviet Union treaty on non-aggression and neutrality served this strategic aim. Stresemann's calculations proved prescient, leading to Germany's acceptance into the League of Nations. As a result of his efforts, reparations imposed on Germany were alleviated through the Dawes and Young plans. The primary objective, to rescue Germany from international isolation, was successfully accomplished.

Stresemann supported the idea of a European confederation. He became successful as a diplomat at the cost of great efforts, his own peace and health. He died of a stroke on October 3, 1929. Stresemann is a historical figure whose importance grows over time. He remains in German history as a patriot, pragmatic politician and a diplomat.

ბერძნულ და სირიულენოვან წყაროებში  
დაცული ცნობები ეფრემ ასურის  
ცხოვრების შესახებ

INFORMATION ABOUT THE LIFE OF EPHRAIM  
THE SYRIAN PRESERVED IN GREEK AND SYRIAC  
SOURCES

მარიამ ჩაჩიბაია

Mariam Chachibaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ეფრემ ასური, სირიული წყაროები, ეპიფანე,  
იერონიმე

**Keywords:** Ephraim the Syrian, Syriac sources, Epiphany, Hieronymus

ბერძნულ და სირიულენოვან წყაროებში დაცულია ცნობები წმინდანის ცხოვრების შესახებ; ბერძნული თხზულებების დიდ კოლექციას, რომელიც მას მიეწერებოდა, პირობითად ეწოდებოდა “Ephraim Graecus”. სირთულე ისაა, რომ პიროვნება, ჩვეულებრივ, გაიგივებული წმ. ეფრემთან, მოვიდა, რათა დამკვიდრებულიყო ბერძნულენოვან ეკლესიაში, როგორც ძალზე დიდი მნიშვნელობის და ძლიერი გავლენის მქონე.

ერთი შეხედვით, სხვადასხვა წყაროში დაცული ბიოგრაფიული მასალა დიდ შესაძლებლობებს იძლევა კვლევისათვის. ყველაზე ადრეული ალუბია ეფრემის თხზულებების შესახებ დასტურდება არასირიულ ტექსტებში, ეპიფანეს ანარიონში [2], თუმცა პირველი ცნობები მისი ბიოგრაფიის შესახებ დაცულია იერონიმეს *De viris illustribus*-ში.

მკვლევართა უდიდესი ნაწილისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ეფრემ ასურის ბიოგრაფიის დეტალების უმეტესი ნაწილი ლეგენდურია, ან, უკეთეს შემთხვევაში, არ არის სარწმუნო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს ცნობები არ არის ანგარიშგასაწევი. ეს თხზულებები შეიქმნა ბერძნულ ენაზე და ყველაზე ადრეული ნაწარმოებები ხშირად გავლენას ახდენდა სირიული „ცხოვრების“ ტექსტზე. იბადება მარტივი კითხვა – რატომ შეიქმნა ისინი? პასუხი ცხადია, ეფრემის სტატუსი და რეპუტაცია ძალზე დიდი იყო ბერძნებს შორის. ამგვარ მასალაზე იყო მოთხოვნა, რათა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ცნობისმოყვარეობა მისი პიროვნების მიმართ.

რაც შეეხება წმ. ეფრემის ცხოვრების ბერძნულ ტექსტს, ვფიქრობ, Ephraim Graecus-ის კორპუსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი სამონასტრო ცხოვრებისა და სტილის (რასაკვირველია, უფრო ბერძნული, ვიდრე სირიული დედნის მოდელის მიხედვით) საგანგებო ხაზგასმა არ არის მხოლოდ მწერლების შემოქმედების ნაყოფი, რომლებიც ადასტურებენ მის ცხოვრებას ცნობილი თუ სავარაუდო ტექსტების მოდელების მიხედვით, არამედ შესაძლოა ასახავს საკუთრივ Ephraim Graecus-ის კორპუსის ხასიათს.

Greek and Syriac sources contain information about the saint's life; the large collection of Greek works attributed to him was conventionally called "Ephraim Graecus". The difficulty lies in the fact that the person usually identified with St. Ephraim came to be established in the Greek Church as a very significant and highly influential person.

At first glance, the biographical material preserved in various sources provides great opportunities for research. The earliest allusion to the writings of Ephraim is confirmed in non-Syriac texts, in Panarion by Epiphany [2], although the first information about his biography is preserved in "De viris illustribus" by Hieronymus.

For the majority of researchers, it is well known that most of the details of the biography of Ephraim the Syrian are legendary or, at best, unreliable. However, this does not mean that these reports are not to be reckoned with. These writings were created in the Greek language, and all the earliest works often influenced the text of the Syriac "Life", a simple question arises – why were they created? The answer is obvious, Ephraim's status and reputation were really great among the Greeks. Such material was in demand to satisfy their curiosity about his personality.

As for the Greek text of the Life of St. Ephraim, to my mind, it should be noted in connection with the corpus of "Ephraim Graecus" that special emphasizing of his monastic life and style (of course, more according to the Greek model than the Syriac original) is not only the result of the work of writers who ascertain his life according to the models of the known or probable texts, but may reflect the character of the corpus of "Ephraim Graecus" proper.





ვიდრე წინდებულის პლეონასტურად  
გამოყენება თანამედროვე ქართულ  
სალიტერატურო ენაში

THE PLEONASTIC USE OF THE PREPOSITION *VIDRE*  
IN THE MODERN GEORGIAN LANGUAGE

ლელა ციხელაშვილი

Lela Tsikhelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ვიდრე წინდებულის, პლეონასტური  
გამოყენება, მიწვევითობა

**Keywords:** preposition *vidre*, pleonastic use, allative case

ძველ ქართულ ენაში ვიდე უდეტერს ახასიათებდა პოლისემიურობა და გამოიყენებოდა ზმნიზედის, თანდებულისა და კავშირის ფუნქციით. კ. დანელიამ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს და გამოყო ვიდე უდეტერის ექვსი ფუნქცია: 1. ზმნიზედის ფუნქციით მიმართულების აღნიშვნა სივრცეში („სად“, „საითკენ“): უფადო, ვიდე ხუად [ი. 13: 36]; 2. თანდებულის ფუნქციით მიწვევითობა-ზღვრულობის აღნიშვნა სივრცეში -მდე თანდებულიან სახელებთან: ვიდე ბეთედემდმე [ლ. 2: 15]; 3. თანდებულის ფუნქციით მიწვევითობა-ზღვრულობის აღნიშვნა დროში -მდე თანდებულიან სახელებთან: ვიდე მესამედ დედმდე [მ. 27: 64]; 4. თანდებულური კავშირის ფუნქციით ზღვრულობის აღნიშვნა დროში -მდე თანდებულიან საწყისთან: მუნ დაადგეხით ვიდე გამოსდვამდე მიეხ [მ. 10: 11]; 5. დროის კავშირის ფუნქციით რთულ ქვეწყობილ წინადადებაში: წაჩიპახეს იგი, ვიდე ჩუენ მეძინა [მ. 28: 13]; 6. ვითარებით-შედარებითი კავშირის ფუნქციით ა) სხვაობითი შედარებისას: უმჯობეს ახს ჩემდა ჯედთა მისთაგან სიკუდიდი, ვიდე ჩემი და მისი შეკებად [შუშ. 14: 9], ბ) ხარისხში განსხვავებისას: უმოდხინეს იყოს ქუეყანად იგი სოდომისა და გომოხისა და დესა საშჯედისასა, ვიდე ქადაქი იგი [მ. 10: 15]. ავტორის აზრით, ჩამოთვლილთაგან რამდენიმე ფუნქცია (2, 3, 4, 6) ქართული წარმომავლობის ვიდე უდეტერს დაეკისრა უცხო ენათა (ბერძნული, სირიული, სომხური) წინდებულების ზუსტად გადმოსაცემად.

მიწვევითობის ორი გრამატიკული საშუალებით გადმოცემა – ქართულისთვის ბუნებრივი -მდე თანდებულითა და ბერძნული წინდებულის (ξως, ἄχρι, πρὶν...) ზუსტად, წინდებულთვე გადმოტანის მიზნით ვიდე უდეტერით – წარმოადგენს მორფოლოგიურ პლეონაზმს და უცხო ენათა (უმთავრესად, ბერძნულის) გავლენით დამკვიდრებულ სინტაქსურ კალკს. XII საუკუნიდან, საერო ლიტერატურის დამკვიდრებისა და მნიგნობრულ ქართულზე ბიბლიურ წიგნთა თარგმანების ენობრივი გავლენის შესუსტების შემდეგ, ვიდე-ს აღნიშნული ფუნქციით გამოყენება მკვეთრად იზღუდება და, ბოლოს, სულადიკვეთება. როგორც კ. დანელია შენიშნავს, „ვეფხისტყაოსანში“ ვიდე მხოლოდ დროის კავშირის ფუნქციით გამოიყენება: ვიხე მომკვდევეს, მოვკვებები [582: 3].

საინტერესოა, რომ დროსა და სივრცეში მიწვევითობა-ზღვრულობის გამოხატვის ფუნქციით ვიდე წინდებულის ქარბად, პლეო-

ნასტურად გამოყენება-მდე თანდებულთან ერთად არც თანამედროვე ქართულისთვისაა უცხო. მართალია, იშვიათად, მაგრამ ენაში მაინც დასტურდება ამ ტიპის კონსტრუქციები: *კონსტანტინეპოლისა და ადექსანდრიის დაცემის თითქმის მეოხე დღიდან, ვიდრე ქახთღ-კახეთის ხუსეთთან შეეხებობის წინა დღემდე – ეს აჩის სუღხან-საბა ოხბედიანის ბიოგრაფია...* (აბაშიძე); *მოიცავს დიგეხაგუხათმცოდნეობითი აზროვნების განვითარების საფეხუხებს ადრეული ეპოქებიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე* (სჯანი); *ამ დროიდან ვიდრე XVI საუკუნის ბოლომდე საქართველოში პაქტიკუდად შეჩეხდა მწეხლობის, კუღუხისა და მეცნიეხების განვითარება* (ლიტ. ძიებანი); *დიაღოვის დახუღებიდან ვიდრე ფინადამდე, მწიხის სიკვიდრის ეპიზოდამდე, ავტოხი მკითხველს დაანახებს მწიხის მძაფხ სუღიეხ განცდებს* (ლიტ. ძიებანი); *ბუაჩიძიდან ... მოყოღებული ვიდრე დემეღხაძემდე ხადხის მღეხები იყვენენ მწეხადთა კავშიხის ხეღმძღვანეღობაში* (ლიტ. ძიებანი)...

დროსა და სივრცეში მიწევნითობის გამოსახატავად ქართულისთვის ბუნებრივ -მდე თანდებულთან ერთად ვიდრე წინდებულის გამოყენება მორფოლოგიურად ჭარბია, გრამატიკულად გაუმართლებელია, ამიტომ უნდა ვერიდოთ ამ ტიპის კონსტრუქციების გამოყენებას.

თუკი ძველ მნიგნობრულ ქართულში ვიდრე წინდებულის პლეონასტურად გამოყენებას უცხო ენებიდან (არსებითად, ბერძნულიდან, ასევე, სირიულიდან და სომხურიდან), როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმობრივი თვალსაზრისით, ზუსტი თარგმანის შესრულების მოთხოვნა განსაზღვრავდა, ახალ/თანამედროვე ქართულ ენაში ამ ტიპის კონსტრუქციების არსებობა შესაძლოა, ძველი მნიგნობრული ენის ტრადიციების გარკვეულ სტილიზაციად, ერთგვარ „გრამატიკულ არქაიზმად“ (დანელია) მივიჩნიოთ, თუმცა ანგარიში უნდა გაეწიოს ქართული ენის ურთიერთობას ისეთ ენებთანაც, რომელთათვისაც წინდებულია დამახასიათებელი (შდრ.: რუს. *до вечера, до университета*; ინგ. *until evening, to the university...*).

In Old Georgian, the invariant word *vidre* was polysemantic. It was used as an adverb, preposition and conjunction. K. Danelia dedicated a special research to this issue and distinguished six functions of the word

*vidre*: 1. In the function of an adverb, it denotes direction in space (“where”): *vidre khual* “where are you going?” [Jn. 13: 36]; 2. In the function of a preposition, it denotes direction in space when used with nouns followed by a postposition -mde (function of the allative case): *vidre betlemdmde* “to Bethlehem” [Lk. 2: 15]; 3. In the function of a preposition, it denotes direction in time with the nouns followed by the postposition -mde: *vidre mesamed dghedmde* “until the third day” [Matt. 27: 64]; 4. In the function of a prepositional conjunction, it denotes direction in time when used with a masdar followed by a postposition -mde: *vidre gamoslvamde* “until your leaving” [Matt. 10: 11]; 5. In the function of a conjunction of time it is found in complex sentences: *tsaripares igi, vidre chuen medzina* “Stole him away while we slept” [Matt. 28: 13]; 6. It also performs the function of a conjunction of manner and comparison: *umjobes ars ... sikudili, vidre ... shekrebay* “better to die than to be together” [Shush. 14: 9]. According to the author, some of the above-mentioned functions were performed by *vidre* of Georgian origin, because it served as a correlate of foreign (Greek, Syriac and Armenian) prepositions.

The allative case was expressed in Old Georgian by two grammatical means: postposition -mde, which is natural for Georgian, and the exact translation of Greek preposition (ἔως, ἄχρι, πρὶν...) by means of *vidre*. This represents a morphological pleonasm and a syntactic calque influenced by foreign languages (mostly Greek). Beginning from the 12th century, when secular literature became popular and there was less influence of the translations of the Bible on the literary Georgian language, the above-mentioned function of *vidre* was restricted and, finally, it disappeared altogether. As K. Danelia notes, in “The Knight in the Panther’s Skin”, *vidre* is used only as a conjunction of time: *vire momklevdes, movkvdebi* [582: 3] “I will die before he kills me”.

Interestingly enough, Modern Georgian also makes excessive, pleonastic use of the preposition *vidre* in the function of the allative case with the postposition -mde. Such constructions are rare, but they are still found in the language: *adreuli epoqebidan vidre me-20 saukunemde* “from the earliest eras to the 20th century” (Sjani,); *am droidan vidre XVI saukunis bolomde* “from this time to the end of the 16th century” (Lit. Dziebani);

*dialogis dasrulebidan vidre pinalamde* “from the end of the dialogue to the finale” (Lit. Dziebani)...

The use of the preposition *vidre* in the function of the allative case with the natural Georgian postposition –*mde* is morphologically excessive and grammatically incorrect. Therefore, we should avoid using such constructions.

In Old literary Georgian, the pleonastic use of the preposition *vidre* was due to the necessity of exact translation of both content and form from foreign languages (mostly from Greek, and also from Syriac and Armenian). However, in New/Modern Georgian, the existence of such constructions may be considered as a kind of stylized continuation of the traditions of the old literary language, a kind of “grammatical archaism” (Danelia). Yet, in addition to the above-mentioned, we should bear in mind the close contacts of the Georgian language with the languages where prepositions are widely used (cf. Rus. *до вечера, до университета*; Eng. *until evening, to the university...*).



ფერი და მისი ნატიფი ნიუანსები:  
ფერის მნიშვნელობა მეოცე საუკუნის  
10-20-იანი წლების ქართულ პოეზიაში  
(პაოლო იაშვილის ლექსების მაგალითზე)

COLOR AND ITS SUBTLE NUANCES: THE  
SIGNIFICANCE OF COLOR IN GEORGIAN  
POETRY OF THE EARLY TWENTIETH CENTURY  
(ON THE EXAMPLE OF PAOLO IASHVILI'S POEMS)

ნინო წერეთელი

Nino Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები : პოეზია, პაოლო იაშვილი, ფერი.

Keywords: poetry, Paolo Iashvili, color.

მეოცე საუკუნის დასაწყისი გამორჩეულია ხელოვნების ყველა სფეროს ესთეტიკის გასაოცარი ცვლილებებით. „მუსიკა, უპირველეს ყოვლისა, ფერი და მისი ნატიფი ნიუანსები“ – პოლ ვერლენის ეს სიტყვები ქართველი პოეტებისთვისაც დეკლარაციასავით ჟღერს. როგორც ლია სტურუა აღნიშნავს: იმპრესიონისტებმა აღადგინეს „ხაზით და და სილუეტით დათრგუნული ფერის ძალმომრეობა, პოეტებმა პირდაპირ შუბლში ქვასავით დამიზნებული სიტყვა უმაღლეს ესთეტიკურ ფენომენად აქციეს და მშვენიერის ყოველგვარ გამოვლინებას დახარბებულებმა ფერი და მუსიკა შეუშხაპუნეს სისხლში“.

მეოცე საუკუნის დასაწყისი ახალი ქართული პოეზიის დაფუძნების პერიოდი. ცნობილმა ქართველმა პოეტმა პაოლო იაშვილმა რთული, წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი გზა განვლო. მან შეძლო მსოფლიო პოეზიის გამოწვევების კვალდაკვალ ქართული სიტყვის ამოუნურავი შესაძლებლობები წარმოეჩინა ისე, რომ ეროვნული და თვითმყოფადი არ დაეკარგა.

პაოლო იაშვილის შემოქმედებაში ფერთა გამა ძალზე მრავალფეროვანი და შთამბეჭდავია. 1916 წელს დაწერილ ლექსში „ფარშევანგები ქალაქში“, რომელშიც პოეტური სახეების განსაკუთრებული სიმრავლეა, დომინანტურია წითელი ფერი. როგორც შარლ ბოდლერი ესეში „ბოროტების ყვავილები“ აღნიშნავს: „მხატვარმა დაბადებიდან იცის ფერთა გამა, ტონის ძალა, ფერთა შეზავების შედეგი და მთელი სიბრძნე კონტრაპუნქტისა, ისე, რომ შეუძლია წითელი ფერის ოცი სხვადასხვა ნაირსახეობის შექმნა.“

პაოლო იაშვილის ამ ლექსში ქალაქი ცხელი და დამთრგუნველია, ფიქრებს მზე აწვალავს, რომელსაც წითელი გველების შემოკრება შეუძლია, ეტლები მზეს ემდურებიან, კატები მზეს შეჭხარიან. ქარხნების ხმა, ინდუსტრიული გუგუნი იმდენად უჩვეულოა, რომ პოეტის წარმოსახვაში ქუჩებში სწეული ძაღლები ყრია, ფერადი კატები სახურავებზე კნავიან, მონასტრების გუმბათები ცისკენ მიიწევენ და ცხენები ქარხნის საყვირების რიტმში ცაცხახით დადიან. თვალშისაცემია პოეტის მიერ დანახული ფერთა გამა – მწვანე და წითელი ქოლგები ქალაქში. ლექსის კულმინაციაა ქალაქში წითელი ფარშევანგების გამოჩენა, რომელთა ფრთებზე სპილენძი



დულს და ტანი სისხლისფრად ელავს. ბინას ვერ პოულობენ, ცისფერ ხორცს ეტანებიან და ქალაქში ქაოსი შემოაქვთ. ქალაქში ტრამვაი ყვირილით მიდის და მაღალი სახლებიდან კატები ცვივა, ქვაფენილები წითელია, ქარიც წითელი, ქალაქსაც წითლად ეძინება. იისფერ ნისლში კი ველები „სისხლისფერ ჩვრებად“ მოჩანს.

მოხსენებაში განხილულია პაოლო იაშვილის პოეზიის ნიმუშები, სადაც წითელ ფერს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

The beginning of the twentieth century is marked by amazing changes in the aesthetics of all forms of art. The formula, made by Paul Verlaine “Music before all things, color and its subtle nuances” – seems to apply to Georgian poets as well. According to the famous Georgian poet, Lia Sturua, the Impressionists restored “the power of color suppressed by line and silhouette, the poets turned direct straightforward word into the highest aesthetic phenomenon, and those thirsting for every manifestation of beauty introduced color and music into poetry”. The symbolist poet, Paul Valery – “mathematician of words and pictures”, defined poetry as a unity of the sound and picture. The early 20th century is the period of formation of a new Georgian poetry. Paolo Iashvili went through a difficult and controversial creative path. Following the challenges of world poetry, he succeeded in presenting the inexhaustible possibilities of the Georgian word, without losing its identity and uniqueness.

“Red” is a dominant color in the poem “Peacocks in the City” (*Parshevangebi Qalaqshi*) written in 1916, which has a particularly rich abundance of poetic images. As Charles Baudelaire points out in his essay *The Flowers of Evil*: “An artist knows from birth the range of colors, the power of tone, the result of mixing colors, and all the wisdom of counterpoint, so that he can create 20 different varieties of red.”

In this poem by Paolo Iashvili, the city is hot and oppressive; the sun torments the thoughts, which can gather red snakes, the carts are offended by the sun, the cats rejoice in the sun. The sound of the factories, the industrial hum is so unusual that in the poet’s imagination sick dogs bark on the streets, colorful cats meow on the roofs, the domes of the

monasteries rise into the sky, and the horses gallop to the rhythm of the factory horns. The culmination of the poem is the appearance of red peacocks with blood-red bodies and copper-boiling wings in the city. They cannot find a shelter, eat blue flesh and bring havoc throughout the city. There are roaring trams, cats falling from skyscrapers, red paving stones, red wind, and a sleeping crimson metropolis all around the city. Fields look like “bloody rags” in the purple fog.

This paper deals with the specimens of Paolo Iashvili’s poetry in which the “red” color has a particular connotation.

ჰუმბოლდტი, ენა როგორც კულტურის  
მსოფლხედვა

HUMBOLDT, LANGUAGE AS A WORLDVIEW OF CULTURE

არჩილ ხატაშვილი  
Archil Khatashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi state university

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ენა, მსოფლხედვა, აზროვნება, კულტურა  
**Keywords:** language, worldview, thinking, culture

ენისა და სამყაროს შესაბამისობის საკითხი ახალი დროის ფილოსოფიაში მკაფიოდ არის დასმული ჰუმბოლდტის ენის ფილოსოფიაში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ახალი გზის გამკვლევის ენის არსის, ენერგეტიკული თვალსაზრისით, რაც გულისხმობს, სახელდობრ, ენის ენერგიად წარმოქმნას და არა ერგონად, უპირისპირდება ფიხტეს მოსაზრებას, რასაც იგი თავის თხზულებაში „ენობრივი უნარისა და ენის წარმოშობის შესახებ“ ავითარებს და იგი გახდა ჰუმბოლდტის ერთგვარი რეაქცია, ფიხტეს მიერ ზემოაღნიშნულ თხზულებაში მოცემული ენის არსის ერგონისტული გააზრების მიმართ. ნიშანდობლივია ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ფიხტე ვერ ასცდა ფილოსოფიურ ტრადიციათა დოგმების გავლენას (არისტოტელე, სტოელები, ლოკი, ლაიბნიცი, კანტი), რომელთა მიხედვითაც ენა მხოლოდ პირობით ნიშანთა ერთობლიობა და აზრის ბგერითი გამოხატვის ინსტრუმენტია. ჰუმბოლდტის მცირე ზომის ნაშრომი „აზროვნებისა და მეტყველების შესახებ“ მთელი მისი ენის ფილოსოფიური და ენათმეცნიერული კვლევის აკუმულირებას წარმოადგენს, რომლის პრიზმიდანაც იგი უცვლელად ავითარებს და აღრმავებს თავის მსოფლმხედველობას ენისა, სოციუმის მსოფლმხედვისა და კულტურის საკვანძო საკითხებს: იქნება ეს ენის ონტოლოგიური არსის გააზრება, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართება, აზროვნებისა და ენობრივ ნიშანთა ცნებების დეფინიცია თუ არტიკულაციის არსის განსაზღვრა.

ჰუმბოლდტი ეჭვს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომლის მიხედვით, ენა წარმოშობის საწყის ეტაპზე, თავიდანვე, სრულყოფილი და დახვეწილი ყოფილიყო და იქვე დასძენს, რომ ამ ყოველივეს ერები მრავალი წლის განვითარების შედეგად აღწევენ დიალექტებისა და ენების ურთიერთგავლენის პირობებში და უშვებს ჰიპოთეზას, სადაც აღნიშნავს, რომ მრავალი დიალექტისა თუ ენათა კავშირების დადგენა მანამ, სანამ მათი კვალი შესამჩნევი გახდება, უნდა შემოწმდეს ყოველი ცალკეული ენა, კერძოდ, არის იგი დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული, თუ მის გრამატიკულ ან ლექსიკურ წყობაში შეიმჩნევა სხვა ენასთან შერევის კვალი და თუ შეიმჩნევა, უნდა დადგინდეს, როგორია ეს შერევა, რადგან ითვალისწინებს იმას, რომ ნებისმიერი პრიმიტიული ტომი თუ თუნდაც განვითარებული საზოგადოება განიცდის ერთმანეთთან შერწყმას, შერევას (იქნება ეს დაპყრობები თუ კულტურული ზეგავლენები), რაც, თავის მხრივ,

ბუნებრივი მოვლენაა და ენებზე აისახება. ჰუმბოლდტი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს მოსაზრებას ენის მიმართებას კულტურასთან, კერძოდ: შესწევს თუ არა ყოველ ენას თუნდაც რაღაც მნიშვნელობის კულტურის შექმნის უნარი, ან ხომ არ არსებობს რაიმე ენობრივი ფორმები, რომლებიც, პირველ რიგში, უნდა დაიყოს, განცალკევდეს, რათა ერებმა მეტყველების საშუალებით კაცობრიობის უმაღლეს მიზნებს მიაღწიონ. ჰუმბოლდტი ამ კითხვებზე პასუხისას გამოთქვამს დებულებას, რომელიც, შესაძლოა ითქვას, რომ მისი აზრის ძირეულ ქვაკუთხედს წარმოადგენს ენის ფენომენის კვლევაში და იგი მყარად იცავს იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც ენა, როგორც ონტოლოგიური ხდომილება, ადამიანში იმთავითვეა ჩადებული და ის არაა გონების შექმნილი. ენა არ არის ერთი კონკრეტული ადამიანის თავისუფალი წარმონაქმნი, იგი ეკუთვნის მთელ ერს, რომელიც შემდგომ თაობებს წინა თაობებისგან გადაეცემა, ენაში მიმდინარეობს შერევა, შერწყმა, ადამიანთა წარმოდგენები ინმინდება და გარდაიქმნება, ენა სუბიექტურობის ობიექტურობაზე გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი იარაღი ხდება, შეზღუდული ინდივიდუალურობიდან თავის თავში ყველაფრის ერთდროულად მომცველ არსებობაზე.

ჰუმბოლდტის მიხედვით, ყოველი ენა ადამიანის ზოგადი ბუნების გამოდახილია, ხოლო ეს ენათა ერთობლიობა ვერ ასახავს სრულყოფილად ადამიანის სუბიექტურობას, მიუხედავად ამისა, ენები ამ მიზანს მეტ-ნაკლებად უახლოვდებიან და მთელი კაცობრიობის სუბიექტურობა თავის თავში რაღაც ობიექტურობად იწყებს გადაქცევას.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ენის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჰუმბოლდტის მოსაზრებას, რაც ფენომენის გააზრების ძირეულ საკითხს წარმოადგენს და რომელმაც, შეიძლება ითქვას, მთლიანად გახსნა ახალი დროის ენის ფილოსოფიისა და ენათმეცნიერების კვლევის მიმართულება. ჰუმბოლდტი თავის მოსაზრებაში წამოჭრის და შემდგომ მეთოდოლოგიურად ავითარებს ენის ენერგეისტულ თვალსაზრისს, რაც გულისხმობს მის მიერ ენის ფილოსოფიის საკვანძო საკითხების განხილვას, იქნება ეს ენის ონტოლოგიური არსის გააზრება, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართება, რეფლექსიისა და ენობრივ ნიშანთა დეფინიცია თუ არტიკულაციის არსის განსაზღვრა.

The question of the compatibility of language and the world in the philosophy of the new age is clearly stated in Humboldt's philosophy of language. It can be said that he is a researcher of a new way of the essence of language, from the energetic point of view, which implies the creation of language as energy, not as ergon, opposes Fichte's opinion, which he develops in his essay "On Linguistic Ability and the Origin of Language", and it became a kind of reaction of Humboldt to the ergonistic understanding of the essence of language given by Fichte in the above-mentioned essay. In this case, the fact that Fichte could not miss the influence of dogmas of philosophical traditions (Aristotle, Stoics, Locke, Leibniz, Kant) is significant, according to which language is only a set of conditional signs and a tool for sound expression of thought. Humboldt's small work *On Thought and Speech* is the accumulation of his entire philosophical and linguistic study of language, from the prism of which he invariably develops and deepens his outlook on the key issues of language, social outlook and culture: Be it the understanding of the ontological essence of language, the relationship between language and thinking, the definition of the concepts of thinking and linguistic signs, or the definition of the essence of articulation.

Humboldt doubts that language was perfect and refined from the very beginning, and adds that all these things are achieved by nations as a result of many years of development under the conditions of mutual influence of dialects and languages, and he hypothesizes, where he notes that establishing the connections of many dialects or languages before their traces become visible, each separate language must be examined, in particular, whether it is independently formed, if there are traces of admixture with another language in its grammatical or lexical structure; and, if so, what this admixture is must be determined, because it takes into account that any primitive tribe or even a developed society experiences fusion, mixing with each other (be it conquests or cultural influences), which, in turn, is a natural phenomenon and finds reflection in languages. Humboldt also pays a lot of attention to the idea of the relationship between language and culture, namely: Does every language have the ability to create a culture of some significance, or are there any language forms that must first be divided, separated, so that nations can achieve the highest goals of humanity through speech? In response to these

questions, Humboldt expresses a statement that can be said to be the cornerstone of his thought in the study of the phenomenon of language, and he firmly defends the position according to which language, as an ontological possibility, is inherent in man and is not created by the mind. Language is not a free creation of one specific person, it belongs to the whole nation, which is passed on to the next generations from the previous generations, in the language there is mixing, fusion, people's ideas are purified and transformed, Language becomes the most important tool for transforming subjectivity into objectivity, from a limited individuality to an all-encompassing existence in itself.

According to Humboldt, every language is an echo of the general nature of a person, and this set of languages cannot perfectly reflect the subjectivity of a person, nevertheless, languages approach this goal more or less, and the subjectivity of the whole humanity begins to turn into some kind of objectivity in itself.

In conclusion, we note that Humboldt's opinion occupies an important place in the philosophy of language, which is the fundamental issue of understanding the phenomenon and which can be said to have completely opened the direction of language philosophy and linguistics research of the new era. In his opinion, Humboldt raises and further methodologically develops the energetic point of view of language, which consists in his discussion of the key issues of the philosophy of language, whether it is the understanding of the ontological essence of language, the relationship between language and thought, the definition of reflection and linguistic signs, or the definition of the essence of articulation.





**სენტენცია – „ღმერთი, სამშობლო, მოყვასი“ –  
თანამედროვეობის თეოლოგიურ დისკურსში**

**MAXIMA – “GOD, MOTHERLAND, EXIGENCES”, IN THE  
THEOLOGICAL DISCOURSE OF MODERNITY**

**დემურ ჯალაღონია**

**Demur Jalaghonia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, გელათური  
აზროვნება

**Keywords:** God, Motherland, Exigences, “Gelatian thinking”

„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.“  
შოთა ხუსთავედი

“He who does not seek a friend, is his own enemy.”  
Shota Rustaveli

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ღვთისმეტყველური, ფილოსოფიური აზროვნებით თავის ეპისტოლეებში ცდილობს, სიღრმისეულად წარმოაჩინოს ღმერთის, სამშობლოსა და მოყვასის ფენომენი, გვაძლევს კონცეპტუალურ გააზრებას და საკითხისადმი ქრისტიანული მიდგომის ორიგინალურ დაფუძნებას.

მისი თეოლოგიურ-საღვთისმეტყველო აზროვნება სამ საუნჯეს ეფუძნება: „ღმერთი, სამშობლო და მოყვასი“.

მის სენტენციაში სამშობლო გაგებულია თეოლოგიურ წრილში, როგორც „ჩემი, ასევე შენი“ საუფლო, უფლის მიერ შექმნილი სამყარო. ჩემი, შენი ყოფნის განცდამ უნდა გვაქციოს ჩვენად. ჩვენად ყოფნა კი მოყვასია, ხოლო „მოყვასი“ – ეს არის, პირველ რიგში, „ჩემი“, „შენი“ ახლობელი, ადამიანი-საზოგადოება, რომელიც ზრუნავს, უვლის, ეფერება და ლოცულობს მინის ნაჭერზე, რომელსაც სამშობლო ჰქვია, რომელიც გვარგუნა უფალმა ჩვენდა სამკვიდროდ. ჩემი, შენი, ჩვენი, საბოლოოდ, ჩვენი სამშობლოს სახეა. სამშობლო მამულია, ჩვენი შობის ადგილი. შობა დაბადებაა, შობის ადგილი მარადიულია, რადგან შობა უფლისმიერია.

„ქართველი ყველაფერს საუკეთესოს სხვისთვის, მოყვასისათვის, სტუმრისათვის, გარეშეთათვის იმეტებდა. „საუცხოო“, ე.ი. უცხოისათვის მისაცემი – ასე უწოდებს იგი ყველაზე ღამაზს, მშვენიერს, კარგს. ჩვენი ცხოვრების წესადაა ქცეული გამოთქმა: სტუმარი ღვთისაა, ვინც არ უნდა იყოს იგი – ქართველი და არაქართველი, ქრისტიანი თუ არაქრისტიანი, მტერი თუ მოყვარე. თუ ის სტუმარია, ის მოყვასია, მისი პატივისცემა პიროვნების, ოჯახის ერის ღირსებად ითვლება.“

„ღმერთთან, სამშობლოსა და მოყვასთან“ ურთიერთობა ენაა. ენა იდუმალეაა, მისტიკურია. ენა ურთიერთობაა ერთმანეთთან და ღმერთთან. ენა სამშობლოს საზღვარია, ენა ჩუმი ლოცვაა, ენა დედაა, დვრიტა მამულის, გულის კარია და დიდი საიდუმლო. „ენა ყოფიერების სახლია“. შესაქმნეს წიგნში უფალი ამბობს: „იქმენინ

ნათელი და იქმნა ნათელი“. ეს თაური ენაა, ენა, რომელიც დღეს არ გვესმის. „მრავალი საიდუმლო არს დაფლული ქართულსა ენასა შინა“. ადამიანი ცოდვით დაცემის შემდეგ მხოლოდ ნაწილობრივ ფლობს ამ ენას, „ლოგოსს“.

პიროვნება როდესაც თავისუფლდება შურის, შიშის, ბოროტებისა და სხვა ვნებებისაგან, მას უყვარს ყველა. ყველა ხდება მოყვასი და ცდილობს, დაუახლოვდეს ღმერთს. ესაა „გელათური აზროვნების“ ამოსავალი პრინციპი.

კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორესთან „გელათური აზროვნება“ არის ფუძე, საძირკველი ქართული სულიერებისა, რომელიც, როგორც ითქვა, სამ საუნჯეშია დავანებული „ღმერთი, სამშობლო, მოყვასი“.

ილია მეორის ქადაგებები, ეპისტოლეები, საღვთისმეტყველო განაზრებანი ამ ტრიადის („ღმერთი, სამშობლო, მოყვასი“) ვექტორში ტრიალებს, სადაც კარგად ჩანს მისი სულიერი, ზნეობრივი, თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა. მან მოახერხა ამ ტრიადის ერთ სისტემაში მოქცევა, უჩინო სულიერი ძაფების აჟღერება, საუკუნეობით გულის კარის გახსნა. დაცემული, ძილბურანში მყოფი, მთვლემარე საქართველოს გამოფხიზლება, ფეხზე წამოყენება, ტიტანური ენერჯის გამოვლენა... მან შეუძლებელი შეძლო, სუდარა გადაფარებულ ეკლესიას საუფლო დანიშნულება დაუბრუნა.

ბუნებრივად დგება საკითხი, როგორ არის შესაძლებელი ამ ტრიადის ერთ სისტემაში მოქცევა, ანუ რწმენისა და ცოდნის ერთიანობა.

საქართველოში ამის დიდი ტრადიცია არსებობდა. ეს ტრადიცია ცნობილია „გელათური აზროვნების“ პრინციპის სახელით.

XI–XII საუკუნეებში, როცა საქართველოს ოქროს ხანა ედგა, მეფე დავით აღმაშენებელმა ააშენა გელათის აკადემია. გელათის თეოლოგიურ-ფილოსოფიური აკადემია იქცა ახალ იერუსალიმად და მეორე ათენად, ანუ სულიერებისა და მეცნიერული კვლევის ცენტრად. ის იყო სიბრძნისა და რწმენის ტაძარი.

იერუსალიმისა და ათენის უნივერსალური სინთეზისა და ერთობის „პარადიგმატულ მეტაფორას“ შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში გელათის აკადემია (იოანე პეტრიწი), ხოლო ახალი დროის ქართულ თეოლოგიურ აზროვნებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II წარმოადგენს.

„გელათი“ იქცა სიმბოლოდ ქართული ეროვნული იდეის და ეს იდეა ედო საფუძვლად შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფოს სიძლიერეს.

ჩვენ უნდა გავხედეთ შემწყნარებელი. შემწყნარებლობა შეიძლება, შევადაროთ ხიდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გადავიდეთ ეჭვიანობის, სიძულვილის, დაპირისპირებისა და ძალადობის ნაწილიდან ურთიერთგაგების, მხარდაჭერის, შეთანხმებული მოქმედებისა და კეთილგანწყობის სანაპიროზე.

ქეშმარიტი თავისუფლება არის ზნეობრიობის საფუძველი. ისეთი არჩევანი, როდესაც მუდმივად გიყურებს „მესამე თვალი“ – სინდისის ხმა და შენი ქცევა განსაზღვრულია ამით, ამის გარეშე რა არის თავისუფლება?

დეჰუმანიზებული პლანეტარული კულტურა ჩვენი საერთო ბედისწერაა. ჩვენი ვალია, მას დავუბრუნოთ ჰუმანური სანყისი.

ილია II-ის აზრით, თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებამ უნდა აღიაროს აუცილებლობა იმისა, რომ, ჩვენი განსწავლულობისა და აზრთა პლურალიზმის მიუხედავად, უნდა ვისწავლოთ სიყვარული ღვთისა, სამშობლოსი და პატივისცემა მოყვასისა, ესაა მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველი.

ამიტომაც XXI საუკუნის დასაწყისში უფრო აქტუალური ხდება მოყვასის ფენომენის ცივილიზაციათა ფონზე გააზრება, რომელიც ხალხებს საშუალებას მისცემს, გააერთიანონ ძალები დღეს არსებული გლობალური და ლოკალური საკითხების გადასაჭრელად. ეს გზა გადის თავისუფლებასა და ღმერთის სიყვარულზე.

Catholicos Patriarch of All Georgia Ilia II, with theological and philosophical thinking, in his epistles tries to present in depth the phenomenon of God, Motherland and Exigences, gives us conceptual reasoning and an original, Christian approach to the issue.

His theological thinking is based on three principles: “God, Motherland, Exigences”.

In his sentence, the Motherland is understood theologically as “mine, also yours”, the world created by the Lord. The feeling of my, your presence should make us. To be us is a neighbor, and an “Exigence” is, first of all,

“my”, “your” exigence, a human community that cares, patronizes, caresses, and prays for a piece of land called the Motherland, which the Lord granted us as our heritage. This is the face of mine, yours, ours, and, finally, our Motherland. The Motherland is the estate, the place of our birth. Christmas is a birth, the place of birth is eternal, because birth belongs to the Lord.

“The Georgian always kept the best for others, for his exigences, for guests, for strangers, “excellent”, i.e. to be given to a stranger is what he calls the most beautiful, excellent, good thing. The expression that has become our way of life sounds like this: a guest is from God – whoever he is Georgian and not Georgian, Christian or not Christian, enemy or lover, if he is a guest this means that he is an Exigence, his respect is considered the dignity of a person, a family, a nation” (2.214).

Language is a relationship with “God, Motherland and Exigences.” The language is mysterious, mystical. Language is relationships with each other and with God. Language is the border of the Motherland, language is a silent pray, language is a mother, the gate of the estate, the door of the heart and the great secret. “Language is the house of existence.” In the Book of Job the Lord says, “Let there be light, and there was light.” Once there existed the Taurian language, a language that we do not understand today. “There are many secrets hidden in the Georgian language.” Having fallen into sin, a person only partially speaks this language “Logos”.

When a person is freed from envy, fear, anger and other passions, he loves everyone. Everyone becomes a neighbor and tries to become closer to God. This is the starting principle of “Gelatian thinking.” According to Catholicos-Patriarch Ilia II, “Gelatian thinking” is the basis, the foundation of Georgian spirituality, which, as it was said, is buried in three treasures: “God, Motherland, Exigences.”

Sermons, messages, theological thoughts of Ilia II revolve in the vector of this triad (“God, Motherland, Exigences”), where his spiritual, moral, theoretical and practical activities are clearly visible. He managed to bring this triad into one system, sound the invisible spiritual threads, open the door of the heart for centuries. Awakening the fallen, slumbering Georgia, raising it to its feet. Manifesting titanic energy... He did the impossible, the church covered with shroud of turin restored its rightful purpose.

The question arises as to how it is possible to bring this triad into one system, that is, the unity of faith and knowledge.

There was a great tradition of this in Georgia. This tradition is known as the principle of “Gelatian thinking”.

In the 11th-12th centuries, when the golden age of Georgia was approaching, King David the Builder built Gelati Academy. The Theological and Philosophical Gelati Academy became the new Jerusalem and the second Athens, that is, the center of spirituality and scientific research. It was a temple of wisdom and faith.

The “paradigmatic metaphor” of the universal synthesis and unity of Jerusalem and Athens is represented in medieval Georgian thought by Gelati Academy (Ioane Petritsi), and in Georgian theological thought of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II.

“Gelati” became a symbol of the Georgian national idea and this idea was the basis of the strength of the Georgian state in the Middle Ages.

We must become tolerant. Tolerance can be compared to a bridge that allows us to move from the area of jealousy, hatred, confrontation and violence to the shores of mutual understanding, support, concerted action and goodwill.

True freedom is the ground of morality. Such a choice, when the “third eye” is constantly watching you – the voice of conscience and your behavior are determined by it, without it what freedom is!?

A dehumanized planetary culture is our common destiny. It is our duty to restore him to his humane origins.

According to Ilia II, despite our education and pluralism of opinions, the modern world community must recognize the necessity that we must learn to love God, Motherland and respect our exigences, this is the basis for peaceful coexistence (2.218).

Therefore, at the beginning of the 21st century, understanding the phenomenon of exigences against the backdrop of civilizations becomes more relevant, which will allow people to join forces to solve global and local problems that exist today.

This path leads to freedom and love of God.

თურქიზმები მეგრულ ანთროპონიმიკონში  
TURKISMS IN MEGRELIAN ANTHROPONYMS

მარია ჯიქია  
Marika Jikia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ანთროპონიმიკონი, მეგრელების საკუთარი  
სახელები, ნასესხობები თურქული ენებიდან

**Keywords:** anthroponymicon, proper names of Megrelians, borrowings  
from Turkic languages

ანთროპონიმია სესხებისათვის ყოველთვის ღია იყო. ამიტომაც ყველა ენაში ეროვნული საკუთარი სახელების გვერდით აღმოჩნდა უცხოური საკუთარი სახელები, რომელთა დამკვიდრება უკავშირდება რელიგიას, პოლიტიკურ მდგომარეობას, ლიტერატურულ გავლენას, ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობებს, ხალხთა კონტაქტებს და სხვ.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, არქეოლოგი აკაკი ჭანტურია (1881-1949), დაინტერესებული იყო მშობლიური კუთხის ეთნოგრაფიული, ტოპონიმური, ანთროპონიმული და სალექსიკონო მასალების მოპოვებით. მეგრულ პირსახელთა და გვარსახელთა ჩანერა-აღნუსხვა მას ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაუწყია და გაუგრძელებია XX ს.-ის 20-იან-30-იან წლებში.

აკაკი ჭანტურიას მიერ აღნუსხულ მეგრელთა პირსახელებში შეგვხვდა თურქული წარმომავლობის ლექსიკური ერთეულები.

**ასლამ, ასლამბეი, ასლამბიი, ასლანგერი < /aslan/ 'ლომი'.**

ზოოფორული სახელების გამოყენება ადამიანთა საკუთარ სახელად ანთროპონიმთა ისტორიის უძველეს ეტაპზე ხდებოდა. ასლანი თურქებშივეა დიდი ხნის წინ ანთროპონიმობეული.

**ალა < / aya/ 'ბატონი, უფროსი'.** ეს თურქული სოციალური ტერმინი ფიგურირებს სახელში **ალაია** და თხზული სახელის – **ალუბაშის** – 'მთავარი ბატონი' პირველ კომპონენტად. ალა პოლისემიური ტიტული იყო. ოსმალეთში იგი ეძლეოდა როგორც უმცროსსა და საშუალო ოფიცრებს, ისე წვრილ ხელოსანთა და მოხელეთა შორის დაწინაურებულებსა და თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით – ზოგიერთ უფროსს.

**ბეგი < / beg / 'თავადი, ფეოდალი; ბატონი; წარჩინებული.**

სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო დარგის მაღალი თანამდებობის მოხელე; მაღალი თანამდებობის პირთა საპატიო ტიტული, რომელიც დაერთვოდა დიპლომატების, თარჯიმნებისა და დიდი მოხელეების სახელებს. დროთა განმავლობაში იგი მიმართვის ფორმის კომპონენტად იქცა. მეგრულისათვის უპირატესია ფორმები: ბეგი, ბეი, ბი და ბიი, რომლებიც თხზული სახელის პირველი ან მეორე კომპონენტია: **ბიასლანი, ასლამბეი, ასლამბიი, ალბეგი, თიარბიი, კადგრბეგი, კადგრბეი, კადგრბიი, მაჰარბეი, მიზარბეგი, მუთურბეგ, მუხარბეგ, სეიდბი, ქაჯალბეი, ქაჯალბიი, ქელემბეი, ხალიბეი,**



**ჯამბეგი, ჯანბეგი, ჰალიბეი, ჰაჯალბეი, ჰაჯალბიი** და სხვ.

**ებე** </ebe/ 'ბებიაქალი';

**თემუია, თემურგია, თემური, თემურყვა, თემუყვა, თემურყია, თემეყვა** </temür/ 'რკინა'. დრომ წაშალა თემურ ლენგის უსასტიკესი ლაშქრობების კვალი და პირსისხლიანი მხედართმთავრის სეხნიები სამეგრელოში დღეს მრავლადაა.

**თენგეზი** </teniz/ '**ზღვა**'. თურქულენათათვის დამახასიათებელი უკანაენისმიერი ხშული ნაბალი /**ი**/ თანამედროვე თურქულ ენათა უმრავლესობას აღარ შემორჩა. წინარიგისმიერი ხმოვნების გარემოცვაში /**ი**/ >/ng/. ავ. ჭანტურიას დადასტურებული აქვს აგრეთვე **თენზიგ** სახელიც, რომელშიც /გ/-სა და /ზ/-ს მეტათეზისი მეგრულის ნიადაგზეა მომხდარი.

თურქული წარმომავლობის ანთროპონიმებში წარმოჩენილია ყივჩაღური და ოღუზური ენების განმასხვავებელი ძირითადი ფონეტიკური თავისებურება – მჟღერი და ყრუ ანლაუტი. ამ თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირდება **თემური** და **დემური, თენგიზი** და **დენიზა**, რომელთა ყრუანლაუტიანი ვარიანტები უპირატესად ყივჩაღური ჯგუფის ენათაგან უნდა გვექონდეს შეთვისებული, ხოლო მჟღერი – ოღუზური ფუძეენის მქონე თურქული ენებიდან.

**კაია** </kaya/ 'კლდე';

**კამიშია** </kamiş/ 'ლერწამი';

**ურუმი, ურუმი** </urum/ 'ურუმი'. საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვან ბერძნებს წალკელ ურუმებს უწოდებენ.

**ქიში** </kişi/ 'კაცი, ადამიანი';

**ყაზანა** </kazan/ 'ქვაბი';

**ყარა, ყარაია** </kara/ 'შავი';

**ჩანთა** </çanta/ 'ჩანთა';

**ჩირქინია** </çirkin/ 'უშნო';

**ხანი** </xan / '**მეფე, იმპერატორი**'. ყარახანიდების მმართველობის პერიოდში (X საუკუნიდან) ეს ტიტული მოედო ირანს, ავღანეთსა და ინდოეთს. ამ ქვეყნებში ხანი ამშვენებდა ჩინოვნიკებისა და მხედართმთავრების სახელებს. შუა აზიასა და ოსმალეთში ხანის ტიტული ეძლეოდა მხოლოდ სულთანს, ტახტის მფლობელს, ფადიშაჰს. ეს ტიტული თხზულ სახელთა პროდუქტიული

კომპონენტი: **ალმასხანი, ბურდუხანი, დალამხანი, დარგსხანი, დუდუხანი, დუდხანი, დუდგხანი, ედიშხანი, თელაშხანი, თელიბსხანი, კაზგრხანი, კარამხანი, როსტახან, სადახანი, სადგრხანი, სელემხანი, სელგმხანი, სერხანი, უსთახანი, უშახანი, ყაზგრხანი, ცაშხან, ჯარამხანი, ჯარიმხანი, ჯარგმხანი** და სხვ.

უსრული წინადადების უმარტივესი მოდელი ორ უშუალო შემადგენელს შეიცავს: ქვემდებარეს ან დამატებას (რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიხატება არსებითი სახელით ან მისი სუბსტიტუტით) და შემასმენელს (რომელსაც ზმნა ან ზმნის შემცველი კონსტრუქცია გამოხატავს). აკაკიჭანტურიას მიერ შეკრებილ მეგრულ პირსახელებში შეგვხვდა ასეთი სტრუქტურის ორი თურქული მაგალითი:

**ანავერდი < ana verdi** 'დედამ გვიბოძა';

**ჯანვერდი < can verdi** 'სული მისცა'.

განხილულ სახელებში წარმოიჩენილია ყველა ის ფონეტიკურ-ფონოლოგიური პროცესი, რომელიც ახლავს თურქიზმების დამკვიდრებას მეგრულ ენაში.

Anthroponyms have always been open to borrowing. That is why, in all languages foreign proper names appeared next to national proper names, the establishment of which is related to religion, political situation, literary influence, economic-cultural relations, people contacts, etc.

Archaeologist Akaki Chanturia (1881-1949), director of the Zugdidi Historical-Ethnographic Museum, was interested in finding ethnographic, toponymic, anthroponymic and lexicographical materials of his native area. He started recording and distinguishing Megrelian first names and surnames in his youth and continued in the 20s and 30s of the 20th century. In the proper names of the Megrelians listed by Akaki Chanturia, we encountered lexical units of Turkish origin.

**Aslam, Aslambei, Aslambii, Aslanger < /aslan/** 'lion'. The use of zoophoric names as proper names of people took place in the most ancient stage of the history of anthroponyms. Aslan was anthroponymized in Turks a long time ago.

**Ağa < /aya/** 'lord, chief'. This Turkish social term figures in the name /**ayaya**/ and as the first component of the fictional name /**ayubaş**/ 'main lord'. **Ağa** was a polysemous title. In the Ottoman Empire, it was given to

both junior and middle officers, as well as to those who were promoted among petty artisans and officials, and to some seniors.

**Beg < / bey / 'prince, feudal lord'**. Mr. excellent High-ranking official of various civil and military fields; honorary title of high-ranking persons, which was attached to the names of diplomats, translators and great officials. Over time, it became a component of the appeal form. For Megrelian, the forms /beg, bei, bi and bii/ are preferred, which are the first or second components of the written name: Biaslan, Aslambey, Aslambii, Albegi, Tiarbii, Kadirbegi, Kadirbei, Kadirbii, Maharbei, Mizarbeg, Muturbeg, Mukharbeg, Seydbi, Kajalbei, Kajalbii, Kelembei, Khalibei, Jambegi, Janbegi, Halibei, Hajalbei, Hajalbii, etc.

**Ebe </ebe/ 'midwife';**

**Temuia, Temurgia, Temur, Temurqva, Temukva, Temurkia, Temiqva < / temür/ 'iron'**

**Tengizi </tenjiz/ 'sea'.**

The back-end nasal /ŋ/ characteristic of Turkic languages is no longer present in the majority of modern Turkic languages. /ŋ/ >/ng/ when surrounded by frontal vowels. Ak. Chanturia has also confirmed the name **Tenzig**, in which the metathesis of /g/ and /z/ happened on the basis of Megrelian.

In the anthroponyms of Turkic origin, the main phonetic feature distinguishing the Kipchak and Oghuz languages is presented – voiced and nonvoiced initial sound. From this point of view, **Temur** and **Demur, Tengiz** and **Deniz** are opposed to each other, whose voiced variants should have been assimilated mainly from the languages of the Oghuz group, and with nonvoiced initial sound are from the Turkic languages with Kipchag base language.

**Kaia </kaya/ 'rock';**

**Kamishia </ kamaş/ 'reed';**

**Urum, Urumia < / urum/ 'Urum'**

Turkish-speaking Greeks living in Georgia are called Urums from Tsalka.

**Kishi < /kişi/ 'man, person';**

**Kazan </kazan/ 'pot';**

**Kara, Karaia < /kara/ 'black';**

**Chirkinia </çirkin/ 'ugly'.**

**Khan < / xan /** ‘king, emperor’. During the rule of the Karakhanids (from the 10th century), this title spread to Iran, Afghanistan and India. In these countries, the khan adorned the names of officials and knights. In Central Asia and the Ottoman Empire, the title of khan was given only to the sultan, the holder of the throne, Fadishah. This title is a productive component of the written names: **Almaskhani, Burdukhan, Dalamkhan, Dudukhan, Dudkhan, Dudkhan, Edishkhan, Telashkhan, Karamkhan, Rostakhan, Sadakhani, Sadkhani, Selemkhani, Selimkhani, Serkhani, Ustakhani, Ushakhani, Kazirkhani, Tsashkhan, Jaramkhani, Jaramkhani, Jarimkhani** and others. The simplest model of an incomplete sentence contains two immediate constituents: the subject or object and the predicate. The subject or object is usually expressed by a noun or its substitute, and the predicate is usually expressed by a verb or a construction containing a verb. It is the most common type of sentence.

In the Megrelian personal names collected by Akaki Chanturia, we found two Turkish examples of such a structure:

**Anaverdi < /ana verdi/** ‘Mother gave (it)’;

**Janverdi < /žan verdi /** ‘(He) gave (his) spirit’.

All the phonetic-phonological processes accompanying the establishment of Turkisms in Megrelian anthroponyms are presented in the discussed names.

## სარჩევი Table of Contents

<b>მარინე ალექსიძე</b> .....	3
პარენტეზა მხატვრულ ტექსტში და მისი გადმოცემა თარგმანში <b>Marine Aleksidze</b> Parenthesis in Literary Text and its Transmission during Translation	
<b>თამარ ანთაძე</b> .....	7
ერნესტ ლავისის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო ინგლისის რევოლუციაზე <b>Tamar Antadze</b> The Manual of New History by Ernest Lavisse Concerning the English Revolution	
<b>თინათინ ბოლქვაძე</b> .....	13
ჯგუფი μ-ს „ზოგადი რიტორიკის“ ადგილი პოეტური ენის ლინგვისტურ თეორიებში <b>Tinatin Bolkvadze</b> Place of “General Rhetoric” by Group μ and its Place among the Linguistic Theories on Poetics	
<b>ნანა გაფრინდაშვილი</b> .....	15
მხატვრული ლიტერატურა და სოცრეალიზმის მანკიერებანი <b>Nana Gaprindashvili</b> Fiction and the Vices of Social Realism	
<b>მარიამ გობიანიძე</b> .....	19
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების მიმოხილვა (მთარგმნელთა შემოქმედებითი გადაწყვეტილებები თარგმანთა წინასიტყვაობების მიხედვით) <b>Mariam Gobianidze</b> A Review of English Translations of Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin” (creative decisions of translators according to the prefaces of the translations)	

<b>გიორგი გოგოლაშვილი</b> .....	25
რას ნიშნავს, „ნაწარმოები დაწერილია მეორე პირში“?	
<b>Giorgi Gogolashvili</b>	
What is a Second-Person Narration?	
<b>ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა</b> .....	27
ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა დასაწყისის	
პრობლემატიკის შესახებ (წმ. შუშანიკის, წმ. ევსტათი მცხეთელის,	
ცხრა ყრმა კოლაელთა „წამებათა“ და „დავითისა და ტირიქანის	
საკითხავის“ მიხედვით)	
<b>Nana Gonjilashvili, Nestan Sulava</b>	
About the Problems of the Beginning of Georgian Hagiographic Works	
(According to the “Martyrdoms” of St. Shushanik, St. Eustathius of Mtskheta,	
the Nine Children of Kola and “The Reading of David and Tirichani”)	
<b>ნანა გულიაშვილი</b> .....	31
ფრ. შელინგი – ხელოვნების ფილოსოფია	
<b>Nana Guliashvili</b>	
Fr. Schelling – Philosophy of Art	
<b>ირინე დემეტრადე</b> .....	37
რელიგიური კონცეპტები სამეტყველო ეტიკეტის ფორმულებსა	
და შორისდებულებში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)	
<b>Irine Demetradze</b>	
Religious Concepts in Speech Etiquette Formulae and Interjections	
(On the Material of English and Georgian languages)	
<b>მამუკა დოლიძე</b> .....	41
იურგენ ჰაბერმასის კომუნიკაციური მოქმედების თეორია	
და შაირობა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით	
<b>Mamuka Dolidze</b>	
Communication Theory by Habermas and “Shairoba” according	
to the poem by Shota Rustaveli “The Knight in the Panther’s Skin”	
<b>ეკა ვარდოშვილი</b> .....	47
ცის მნიშვნელობის საკითხი რომანტიკოსთა პოეზიაში	
<b>Eka Vardoshvili</b>	
The Question of the Meaning of <i>the sky</i> in Romantic Poetry	
<b>ინგა ზაბახიძე</b> .....	51
იორდანის კრიზისი და პალესტინელი ლტოლვილების	
პრობლემა ისრაელსა და არაბული ქვეყნების ომის შემდეგ	

**Inga Zabakhidze**

The Jordanian Crisis and the Palestinian Refugee Problem  
after the 1<sup>st</sup> War between Israel and Arab Countries

**ანასტასია ზაქარიადე** ..... 55

ზნეობრივი აღზრდის მოდელი გვიან მოდერნში  
(ნმ. მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე )

**Anastasia Zakariadze**

The Model of Moral Education in the Late Modern  
(Holy Hierarch Saint Gabriel Kikodze)

**რუსუდან ზეკალაშვილი** ..... 59

პროფ. კორნელი დანელია ძველი ქართული ენის ბრუნვების შესახებ

**Rusudan Zekalashvili**

Prof. Korneli Danelia about the Cases of Nouns in Old Georgian

**დარეჯან თვალთვაძე** ..... 65

როგორ ჩამოყალიბდა „საქმე მოციქულთა“  
ეფრემ მცირისეული რედაქცია?

**Darejan Tvaltvadze**

How was Ephrem Mtsire’s Edition of “The Acts of the Apostles” Formed?

**მაია თუხარელი** ..... 69

პროზაული მინიატურის ჟანრი რუსულ ლიტერატურაში  
(XX საუკუნის მეორე ნახევარი)

**Maya Tukhareli**

The Genre of Prose Miniature in Russian Literature  
(second half of the 20th century)

**მერაბ კალანდაძე** ..... 75

დimitრი უზნაძე რუსეთის ისტორიის პერიოდიზაციაზე

**Merab Kalandadze**

Dimitri Uznadze on the Periodization of the Russian History

**ნაპო კვარაცხელია** ..... 81

ანტიკური სკეპტიციზმის არსი

**Napo Kvaratskhelia**

The Essence of the Ancient Scepticism

**მაია ლომია** ..... 85

„ბედის“ სინონიმური რიგი იოსებ ყიფშიძის ლექსიკონში

**Maia Lomia**

A Synonymic Set of the Word “Fate” in Ioseb Kipshidze’s Dictionary

**კახაბერ ლორია** ..... 89

ეგნატე ნინოშვილის პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსის განსაზღვრისათვის

**Kakhaber Loria**

For the Determination of Egnate Ninoshvili’s Political-ideological Stance

**ხვთისო მამისიმედიშვილი** ..... 93

მუხის ჭვართან დაკავშირებული ჩეჩნური საკულტო რიტუალი

**Khvtiso Mamisimedishvili**

Chechen Cult Ritual Related to the Oak Cross

**ქეთევან მარგიანი** ..... 99

ინფერენციული ნაწილაკები და მათი განაწილება სვანური ზმნის პარადიგმაში

**Ketevan Margiani**

Inferential Particles and their Distribution in the Svan Verb Paradigm

**ეკატერინე მიხელიძე** ..... 103

განწყობა და ემოცია, როგორც უმთავრესი დამხმარე საშუალება, ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის, კითხვის სწავლების პროცესში

**Ekaterine Mikhelidze**

The Role of Mood and Emotion as Crucial Support Mechanisms in Teaching Georgian as a Foreign or Second Language

**ეკატერინე ნავროზაშვილი** ..... 109

აბრაამ ეფროსის ერთი თარგმანის შესახებ

**Ekaterine Navrozashvili**

About one Translation of Abraham Ephros

**რამაზ ქურდაძე** ..... 113

იუბილე და იუბილარი სიტყვების მნიშვნელობათა შესახებ ქართულში

**Ramaz Kurdadze**

The Meaning of the Words იუბილე / iubile “jubilee” and იუბილარი / iubilari “somebody celebrating a jubilee” in Georgian

**ვალერიან რამიშვილი** ..... 117

ნარმოუდგენელის აუტანელობა



**Valerian Ramishvili**

Intolerableness of the Unimaginable

**ქეთევან სიხარულიძე** ..... 123

მითოლოგიური ელემენტების ფოლკლორიზაცია  
ამირანის ეპოსში

**Ketevan Sikharulidze**

Folklorization of Mythological Elements in Amiran’s Epic

**მამია სურმავა** ..... 129

ფენომენი და ენა (ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიიდან  
ჰერმენევტიკულ ფენომენოლოგიამდე)

**Mamia Surmava**

Phenomenon and Language (from Transcendental Phenomenology to  
Hermeneutic Phenomenology)

**მარიამ ფილინა** ..... 133

მიხალ ანჯეიკოვიჩ-ბუტოვტი – დევნილი პოლონელი  
ლიტერატორი

**Mariam Filina**

Mikhal Anjekovich-Butovt – Exiled Polish Writer

**მარინე ფუთურიძე** ..... 139

სამხრეთ კავკასიისა და ირანის ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის დასაწყისის  
ერთი ძეგლის არქეოლოგიური კონტექსტის ანალოგებისათვის

**Marine Puturidze**

For the Analogues of Archaeological Context of South Caucasian  
and One Iranian Site of the Beginning of the 3rd Millennium BC.

**მაია ქერქაძე** ..... 145

მეცნიერებათა კლასიფიკაცია ახალი დროის ფილოსოფიაში

**Maia Kerkadze**

Classification of Sciences in Modern Philosophy

**ფატი შეკლავილი** ..... 151

გუსტავ შტრეზემანი – ვაიმარის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური  
კურსის მთავარი ფიგურა

**Pati Sheklashvili**

Gustav Stresemann – The Main Figure of the Foreign Policy  
of the Weimar Republic

<b>მარიამ ჩაჩიბაია</b> .....	157
ბერძნულ და სირულენოვან წყაროებში დაცული ცნობები ეფრემ ასურის ცხოვრების შესახებ	
<b>Mariam Chachibaia</b>	
Information about the Life of Ephraim the Syrian Preserved in Greek and Syriac Sources	
<b>ლელა ციხელაშვილი</b> .....	161
ვიძეხე წინდებულის პლეონასტურად გამოყენება თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში	
<b>Lela Tsikhelashvili</b>	
The Pleonastic Use of the Preposition <i>Vidre</i> in the Modern Georgian Language	
<b>ნინო წერეთელი</b> .....	167
ფერი და მისი ნატიფი ნიუანსები: ფერის მნიშვნელობა მეოცე საუკუნის 10-20-იანი წლების ქართულ პოეზიაში (პაოლო იაშვილის ლექსების მაგალითზე)	
<b>Nino Tsereteli</b>	
Color and its Subtle Nuances: the Significance of Color in Georgian Poetry of the Early Twentieth Century (on the example of Paolo Iashvili's poems)	
<b>არჩილ ხატაშვილი</b> .....	171
ჰუმბოლდტი, ენა როგორც კულტურის მსოფლხედვა	
<b>Archil Khatashvili</b>	
Humboldt, Language as a Worldview of Culture	
<b>დემურ ჯალაღონია</b> .....	177
სენტენცია – „ღმერთი, სამშობლო, მოყვასი“, თანამედროვეობის თეოლოგიურ დისკურსში	
<b>Demur Jalaghonia</b>	
Maxima – “God, Motherland, Exigences”, in the Theological Discourse of Modernity	
<b>მარიკა ჯიქია</b> .....	183
თურქიზმები მეგრულ ანთროპონიმიაში	
<b>Marika Jikia</b>	
Turkisms in Megrelian Anthroponyms	

**გამოცემაზე მუშაობდნენ:**

თამარ გაბელაია

ნანა კაჭაბავა

ნინო ვარციშვილი

